პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 3—81.

ხელისმომწერთ ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ამხ. ლიტვინოვი ჟენევიდან დაბრუნდა მოსკოვში.
- კონფლიქტი ინგლისის ქურქლეულობის მრეწველობაში.
- მემაღაროეთა გაფიცვა ამერიკაში.
- რუშდი-ბეის თათბირი მუსოლინთან და საბერძნეთის ელჩთან.
- მოლაპარაკება სპარსეთ-ავღანისტანის საზღვრების გადასინჯვის შესახებ.
- ტერორი რუმინეთში.
- სპარსეთის ქვეშევრდომთა საპროტესტო მიტინგი (ბაქოში) ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

კვირა, 8 აპრილი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 82 (2125)

სამომხმარებლო კოოპერაციის უახლოესი ამოცანები

დღეს სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე როგორც მორიგი ამოცანა დგას საკუთარი შესაძლებლობათა გაძლიერება და ბაზრის შემდგომი ენერგიული დაპყრობა. არსად ისე ძლიერი არ იყო და არის კერძო კაპიტალი, რამდენადაც შეიძლება ლაპარაკი მის შედარებით ძლიერებაზე ჩვენს პირობებში, როგორც ვაჭრობის დარგში. განსაკუთრებით საგრძნობი იყო კერძო კაპიტალის მეტოქეობა [illegible] საქონლის ბაზარზე.

მთელ რიგ ღონისძიებათა მეოხებით, კერძო კაპიტალი უკანასკნელ ხანებში თვალ და თვალ იკვეცება. სამომხმარებლო კოოპერაციის წინ აქ იშლება მოქმედების ფართე ასპარეზი. საჭირო ხდება კერძო კაპიტალის განდევნის შემდეგ დარჩენილ თავისუფალ ადგილის დროულად და უმტკივნეულოდ დაჭერა, აუცილებელი ხდება საქონლის განაწილების, ბაზრის ორგანიზაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორეთ ეხლა, როცა ზოგიერთ საქონლის ნაკლებობას, თან ერთვის საქონლის განაწილების მოუწესრიგებლობაც.

სამომხმარებლო კოოპერაციას აქ პირველი ადგილი უნდა დაეთმოს. მან უნდა შესძლოს ამ ამოცანის გადაჭრა. პარტია ამას მოითხოვს მისგან.

იმისათვის კი, რომ კოოპერაციამ შესძლოს ამ რთული სადღეისო ამოცანის წარმატებით გადაჭრა და კვლავ მტკიცე განვითარების გზით განაგრძოს წინსვლა, საჭიროა, რომ მას ჰქონდეს სამისო მატერიალური და ორგანიზაციული შესაძლებლობანი. მართალია ამ მხრივ სამომხმარებლო კოოპერაციას უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. სამომხმარებლო კოოპერაცია დღემდე ისევ განაგრძობს უმთავრესად სახელმწიფო კრედიტით მუშაობას. საკუთარი თანხა სამომხმარებლო კოოპერაციას გაცილებით ნაკლები აქვს, ვიდრე სახელმწიფო სესხი. აქედან დასკვნა ასეთია, საჭიროა მტკიცეთ შევითვისოთ ის აზრი, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია უნდა დადგეს საკუთარ ფეხზე. სახელმწიფოს წინაშე დგას მთელი რიგი სხვა გადაუდებელი სამეურნეო საკითხები, რომელთა მოგვარება მატერიალურ ძალთა დიდ მობილიზაციას ითხოვს. უნდა ამოწურულ იქნას ყველა შესაძლებლობანი, რათა ჩვენმა სამეურნეო ორგანიზაციებმა და მათ შორის სამომხმარებლო კოოპერაციამ შესძლოს საკუთარი ფინანსიურ საფუძველზე დადგომა, რომ განთავისუფლებული სახელმწიფო თანხები მოხმარდეს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის გადაუდებელ საჭიროებას.

სამომხმარებლო კოოპერაციის შესაძლებლობათა გაძლიერების წყაროები უნდა გაგებულ იქნას, ერთი მხრივ, როგორც წევრთა მატერიალურ მონაწილეობის გაძლიერება კოოპერატივის საკუთარ ფონდის შექმნაში და როგორც საკუთარ აპარატის რაციონალიზაცია, ხოლო მეორე მხრივ კოოპერატიულ საზოგადოებრიობის და თვითმოქმედების გაძლიერება მშრომელ მასაში.

საპაიო თანხის გადიდების კამპანია, რომელიც ამხანად მიმდინარეობს ჩვენში, სწორედ ისე უნდა იქნას გაგებული.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციულ ზრდის მხრივ სამომხმარებლო კოოპერაციამ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში დიდი ნაბიჯები გადადგა წინ, ჯერ კიდევ ბევრი რჩება მას აქ გასაკეთებელი. როგორც ქალაქად, ისე სოფლად მშრომელთა საკმაოთ დიდი ფენები კოპერაციის გარეშეა დარჩენილი. საჭიროა საპაიო თანხის გადიდების კამპანიის ჩატარება გამოყენებულ იქნას კოოპერაციაში მუშებისა და გლეხების ახალ კადრების ჩასაბმელადაც. ეს არც ისე ადვილი ამოცანაა, განსაკუთრებით იქ, სადაც კოოპერაციის მუშაობა მოიკოჭლებს და არ არსებობს ისეთი ეკონომიური სტიმულები, რომელიც ხელს შეუწყობს კოოპერაციის წევრთა მასიურად ზრდას.

ამიტომ საპაიო თანხის გადიდების კამპანია არ არის მხოლოდ კოოპერატივების კამპანია. მის გატარებაში ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიის, პროფკავშირის, კომკავშირის ორგანიზაციებმა, სკოლის, კლუბების და ყველა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მუშაკებმა.

საკითხი ეხლა უკვე კონკრეტიულად და პირდაპირ სდგას. აქვთ თუ არა ადგილობრივ ორგანიზაციებს გეგმა სამომხმარებლო კოოპერაციის საპაიო კამპანიის ჩატარებისათვის? დაწყებულია თუ არა პრაქტიკული მუშაობა, კამპანიის განსახორციელებლად? რა ნაყოფი გამოიღო უკვე ჩატარებულ მუშაობამ? რაში გამოიხატება თვითეული ორგანიზაციის მონაწილეობა კამპანიის ჩატარებაში და სხვა.

ყველა ეს საკითხები მოითხოვს გარკვეულ და გადაუდებელ პასუხს. ადგილობრივ ორგანიზაციებს ნათლად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი ამ კამპანიის მთელი მნიშვნელობა და ის პასუხისმგებლობა, რომელსაც მათ აკისრებს ამ შემთხვევაში პარტია. ჩვენი მიზანია საკუთარი თანხით მომუშავე კოოპერაციის შექმნა, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამ მიზანს. ამისათვის კი უახლოესი პერიოდის განმავლობაში საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს სამომხმარებლო კოოპერაციის საპაიო თანხების გადიდების კამპანიას.

თემის ბიუჯეტი და თვითდაბეგვრა*)

ბიუჯეტი არის საბჭოების გამოცოცხლების სამეურნეო ბაზა. არ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი საბჭოების გამოცოცხლებაზე, თუ მათ არ გააჩნიათ მტკიცე მატერიალური საძირკველი. ცაკის 1925 წ. 17 ივლისის დადგენილებით, თემებს მიენიჭა დამოუკიდებელ ბიუჯეტის შემოღების უფლება. მიმდინარე სამეურნეო წელს სათემო მნიშვნელობის ყველა ხარჯები უკვე ტარდება თემის ბიუჯეტის სავალდებულო ნაწილში. პირველი და მეორე საფეხურის მასწავლებელთა ხელფასი, სასოფლო ამბულატორიისა, საფერშლო პუნქტისა და სხვა დაწესებულებათა შესანახი ხარჯები, რაც აქამდე ტარდებოდა სამაზრო ბიუჯეტში, 1927 წ. 1-ლ ოქტომბრიდან გადატანილია თემის ბიუჯეტში. ამ ღონისძიებას უნდა მოჰყვეს თემსაბჭოს სამეურნეო მოღვაწეობის გაჯანსაღება. საბჭო ვალდებული ხდება თვითონვე გამონახოს და გაამრავლოს შემოსავლის წყაროები, თვითონვე გაითვალისწინოს და განსაზღვროს აუცილებელ საჭიროებათა ფარგალი და ადგილობრივი ხარჯების რაოდენობა.

თემსაბჭო უნდა გახდეს სოფლის საწარმოო ცხოვრების ორგანიზატორად. საბჭო მოაწყობს სხვადასხვა მომგებიან საწარმოს. წლიდან - წლამდის თემის ბიუჯეტით აგების დროს უნდა ავირჩიოთ ისეთი გეზი, რომ სისტემატიურად შევამციროთ თემის საგადასახადო შემოსავალი და გავაძლიეროთ არასაგადასახადო შემოსავალი.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საბიუჯეტო საშუალებათა მიზანშეწონილად და მომჭირნეობით ხარჯვას. ამ მხრივ თემსაბჭოებს დახმარებას გაუწევენ თემის სარევიზიო კომისიები, რომელნიც გასული წლიდან უკვე არსებობენ ჩვენში. სარევიზიო კომისიები კონტროლს უწევენ საბჭოების სამეურნეო - საფინანსო საქმიანობას. სარევიზიო კომისია არის გლეხობის საზოგადოებრივი კონტროლის ორგანო. თემის ბიუჯეტის ზრდასთან ერთად ამაღლდება სარევიზიო კომისიების მნიშვნელობაც. სარევიზიო კომისია არ ექვემდებარება თემსაბჭოს, მაგრამ მუშაობს მასთან სრული კონტაქტით; ის გამოიკვლევს თემაღმასკომისა და მის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულება - საწარმოთა ფინანსიურ - სამეურნეო მდგომარეობას და თავის დასკვნას წარუდგენს საბჭოს. ამასთანავე ის დაკავშირებულია საფინანსო კონტროლის ორგანოებთან. საფინანსო - საკონტროლო ორგანოებმა უნდა გაუწიონ ჯერ კიდევ ნორჩ და გაუმაგრებელ სარევიზიო კომისიებს ცოცხალი ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება. სარევიზიო კომისიები მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებული ამომრჩევლებთან, რათა პოპულიარობა მოიპოვონ თავის საზოგადო მოღვაწეობას და აქტიურად დააინტერესონ ისინი საბჭოს ყოველდღიური მუშაობით. ამ მიზნით ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული საბჭოების ანგარიშების მიმდინარე კამპანია. საბჭოს ანგარიშებას თან უნდა ახლდეს სარევიზიო კომისიის თანამოხსენება.

სოფლის ყველა საჭიროებათა დაკმაყოფილება თემის ბიუჯეტით შეუძლებელია დღევანდელ პირობებში. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას საქართველოზე, სადაც თემის ბიუჯეტის შედგენას სპეციფიური დაბრკოლებები ხვდება. სოფლის შეუჩერებელ კულტურულ ზრდას, ახალ საზოგადოებრივ საჭიროებათა აღმოცენებას და ამ საბიუჯეტო წესით მათი დაკმაყოფილების შეუძლებლობას შედეგად მოჰყვა ის, რომ ჩვენი გლეხობა დიდი ხანია ახორციელებს მეორე, ფაქტიურ ბიუჯეტს, რომელიც არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული ბიუჯეტის გვერდით. ეს მეორეგვარი ბიუჯეტი არის მოსახლეობის ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრა. ცაკის 1927 წ. 12 იანვრის დადგენილებით, სოფლის მოსახლეობას უფლება აქვს საკუთარი სახსარით, თვითდაბეგვრის საშუალებით, დაიკმაყოფილოს თავისი ადგილობრივი საჭიროებანი კეთილმოწყობისა და კულტურულ-სამეურნეო სფეროში, როგორიცაა, მაგალითად, გზათა მშენებლობა, სკოლების აგება, ჯანმრთელობა, წყალსადენის გაყვანა და სხვა. მოქალაქეთა კრების დადგენილებას თვითდაბეგვრის შესახებ საბოლოოდ დაამტკიცებს სამაზრო აღმასკომი. მთავრობის დამატებითი დადგენილებით. რომელიმე თემისა თუ სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრით მიღებული თანხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო - სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამს, რომელიც შეწერილია ამ თემში, თუ სოფელში შემავალ ყველა მეურნეობაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა ამ საზღვრითი ნორმის გადიდება მაზრების ზოგიერთ თემისათვის, სადაც განსაკუთრებით მოიკოჭლებს თემის ბიუჯეტი და შეფერხებულია ადგილობრივ მშენებლობის ტემპი. თვითდაბეგვრის ნორმის განსაზღვრა ასეთ შემთხვევაში უნდა დაეკისროს სამაზრო აღმასკომს. რა თქმა უნდა, ამასთანავე გაძლიერებული უნდა იქნას მუშაობა თემის ბიუჯეტის განსამტკიცებლად, რაც დაკავშირებულია საერთოდ სახალხო მეურნეობის განვითარებასთან.

თვითდაბეგვრას ეძლევა მიზნობრივი დანიშნულება. თვითდაბეგვრის წესით აკრეფილი თანხა, როგორც ვსთქვით, ხმარდება კულტურულ-სოციალურ საჭიროებებს და სოფლის კეთილ - მოწყობას. არ შეიძლება ამ თანხის დახარჯვა, მაგალითად, მოსამსახურეთა შტატის შესანახად, სამივლინებო ხარჯების გასასტუმრებლად, საკანცელარიო საჭიროებისათვის და, სხვა, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგიერთ მაზრებში; თვითდაბეგვრის განსახორციელებლად მოქალაქეთა საერთო კრება ირჩევს განსაკუთრებულ კომისიას. კრება ირჩევს აგრეთვე სარევიზიო კომისიას მეთვალყურეობის გასაწევად აკრეფილი სახსრის დახარჯვასა და იმ სამუშაოს შესრულებაზე რისთვისაც თვითდაბეგვრა იყო შემოღებული. ჩვენის აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ მოქალაქეთა საზოგადო კრების დადგენილება თვით დაბეგვრის შესახებ განახორციელოს თემის საბჭომ თავისი საკუთარი ძალებით. საქმე ისაა, რომ თვითდაბეგვრის გატარების დროს სავალდებულოა სწორი კლასობრივი ხაზის დაცვა. კრების მიერ დამტკიცებული თანხის შეწერის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყოველი ცალკე მეურნეობის სიძლიერე და საშუალებანი, თანხის განაწილება უნდა ხდებოდეს პროპორციონალურად სასოფლო - სამეურნეო და სხვა გადასახადების ჯამთან შეფარდებით, ხოლო სოფლის მოსახლეობის ქონებრივი დაყოფის საკითხში ყველაზე უფრო კომპეტენტური და მცოდნე ორგანო არის სათემო საბჭო. თვითდაბეგვრით შეკრებილი თანხის სწორად დახარჯვისა და განზრახული სამუშაოს შესრულებას შეამოწმებს თემის სარევიზიო კომისია. ვერავინ იტყვის, რომ გლეხობა მეტი ნდობით მოეკიდება მოქალაქეთა საზოგადო კრებაზე შემთხვევით არჩეულ კომისიას. ვინემ საბჭოს, რომელსაც აწევს ორმაგი პასუხისმგებლობა: ამომრჩეველთა და ზემდგომი ორგანოების წინაშე. ის საზოგადოებრივი სამუშაო, რისთვისაც გატარებული იქნა თვითდაბეგვრა, შესრულებული იქნება საბჭოს სათანადო სექციისა და მთლიანად საბჭოს უშუალო მონაწილეობით. საბჭოს სექციები იკრებენ თავის გარშემო სოფლის ყველა აქტიურ და საზოგადოებრივად მოაზროვნე ელემენტებს. საზოგადო საქმის ყველა გულშემატკივართათვის, მოწინავე და შეგნებული გლეხობისათვის გზა ხსნილია სექციებში და საბჭოშიაც. ხოლო თვითდაბეგვრის განხორციელების ყოველ ცალკე შემთხვევაში მოქალაქეთა საზოგადო კრების მიერ განსაკუთრებული კომისიის შექმნა ხელ - ფეხს შეუბორკავს გამოცოცხლების გზაზე შემდგარ საბჭოს სექციებს და შექმნის პარალელიზმს, რომელიც საზოგადო წამოწყებისათვის მხოლოდ საზიანო იქნება.

აქვე რამოდენიმე სიტყვა თვითდაბეგვრის შესახებ იმ სამაზრო ქალაქებში, სადაც აღმასრულებელი კომიტეტები მოქმედებენ თანახმად დებულებისა სათემო საბჭოებისა და სათემო აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ. ამ ქალაქების უმეტესობის ბიუჯეტი ძალზე შეკვეცილია, ის შეიძლება დახასიათებულ იქნას, როგორც ღატაკი და უმწეო ბიუჯეტი. მთავრობის დადგენილებით, თვითდაბეგვრის უფლება ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მინიჭებული აქვს მხოლოდ სოფლის მოსახლეობას, ამასთან, მოქალაქეთა საზოგადო კრების გადაწყვეტილება თვითდაბეგვრის შესახებ სავალდებულოა უმცირესობისთვის, თუ გინდ ის ამის წინააღმდეგი იყოს. ფაქტიურად მოქალაქეთა თვითდაბეგვრა კეთილმოწყობისა და კულტურულ - სოციალურ საჭიროებათათვის დიდი ხანია შემოღებულია თითქმის ყველა სამაზრო ქალაქებში. მაგრამ, როგორც ცაკის საორგანიზაციო განყოფილება განმარტავს, „ქალაქის მცხოვრებთა საერთო კრებას არ შეუძლია ხმების უმრავლესობით გადასწყვიტოს თვითდაბეგვრის განხორციელება იმნაირად, რომ კრების უმრავლესობის გადაწყვეტილება სავალდებულო იყოს მისი უმცირესობისათვის". სამაზრო ცენტრების უმეტესობა ჩვენში არ წარმოადგენს ნამდვილ ქალაქებს ამ ცნების თანამედროვე გაგებით (ინდუსტრია, პროლეტარიატი). ამ „ქალაქების" ბიუჯეტი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სავსებით უკუვაგდოთ განსაზღვრული მიზნით (კეთილმოწყობა, წყალსადენის გაყვანა, სასკოლო შენობების მოწყობა და სხვ.) მოსახლეობის თვითდაბეგვრის იდეა, ქალაქებად წოდებულ ერთეულებში ცხოვრობს მნიშვნელოვანი რიცხვი სასოფლო - მეურნეობაში ჩაბმული მოსახლეობისა. თვით ეს „ქალაქები" ზოგიერთ შემთხვევაში, გარდა სახელწოდებისა, არ განსხვავდებიან სოფლების რიცხვში შემავალი მოზრდილი დაბებისაგან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სავსებით მიზანშეწონილი იქნება ამგვარი ტიპის „ქალაქებში" თვითდაბეგვრის წესების დამტკიცება იმ სახით, რომ საზოგადო კრების დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ სავალდებულო იყოს კრების უმცირესობისათვის.

დ. ქუჩულორია.

ინგლისელი ეკონომისტი კეინსი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

სპარსეთის პრესა და განიარაღების საბჭოთა პროექტი

გაფთრებული ბრძოლა ჩან-ძო-ლინისა და ნანკინის ჯარებს შორის.-ნანკინის არმიის გამარჯვება

უთანხმოება ჩან-კაი-შისა და ფინ-იუ-სიანს შორის.-მოელიან ჩან-კაი-შის გადადგომას

კეინსი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ლენინგრადი, 7 აპრილი. ინგლისიდან მოვიდა ცნობილი ეკონომისტი კეინსი, ლიბერალური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს კეინსმა განაცხადა:

„ინგლისისა და საბჭოთა კავშირის შორის წესიერი ეკონომიური ურთიერთობის უქონლობა მე მიმაჩნია არა მარტო ინგლისის ექსპორტის განვითარების შემფერხებელ მოვლენად, არამედ იგი მიმაჩნია აგრეთვე ისეთ გარემოებად, რომელიც გავლენას ახდენს ევროპის საერთაშორისო მდგომარეობაზე და აბრკოლებს სრული [illegible] და მშვიდობიანობის ატმოსფერის დამყარებას. ახლა კონსერვატორთა შორის არსებობს მრეწველობის წარმომადგენელთა ძლიერი ჯგუფი, რომელიც ინგლის - რუსეთის ურთიერთობის განახლების წინააღმდეგი არ იქნება".

ინგლისის ეკონომიკის პერსპექტივების შესახებ კეინსმა სთქვა, რომ ნახშირის მრეწველობის კრიზისი მას ხანგრძლივ მოვლენად მიაჩნია.

სპარსეთის პრესა და განიარაღების საბჭოთა პროექტი

„სეტარეე" განიარაღების კომისიის შესახებ

თეირანი, 6 აპრილი. თეირანის გაზეთმა „სეტარეე"-მ რამოდენიმე წერილი უძღვნა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სხდომებს. ერთ-ერთ ამ წერილში გაზეთი სწერს:

„ჯერ კიდევ თავის დროზე, როცა ლიტვინოვმა წინასწარ კომისიაში შეიტანა საბჭ. მთავრობის ცნობილი წინადადება საყოველთაო განიარაღების შესახებ, ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ის დაცინვა, და ზერელე დამოკიდებულება, რომელიც მაშინ გამოიჩინეს ამ პროექტის მიმართ, დაუშვებელი იყო თუგინდ „ფორმალური მხარის" დაცვის თვალსაზრისით. ყოველ შემთხვევაში შეიძლებოდა ამ წინადადების ყურადღებით განხილვა და მასზე უარყოფითი პასუხის გაცემა მხოლოდ ამის შემდეგ. ეხლა ირკვევა, რომ ჩვენი თვალსაზრისი სწორი იყო. ერთა ლიგის საბჭოს წევრებმა გაიგეს თავისი მაშინდელი შეცდომა და ამ შემთხვევაში უკვე გადასწყვიტეს, შეასრულონ „სათანადო ფორმალობა".

ლიტვინოვმა წარმოსთქვა მეტად შინაარსიანი სიტყვა, რომელიც ჩვენ, მისი დიდი მნიშვნელობის გამო, მოგვყავს მთლიანად".

კონფერენციის შედეგების შესახებ გაზეთი სწერს შემდეგს:

„გრაფ ბერნსდორფმა კომისიის უკანასკნელ სხდომაზე თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს კონფერენცია სრულიად უშედეგოთ დამთავრდა.. ჩვენის აზრით, გაცილებით უფრო გასაკვირი იქნებოდა, რომ ამ კონფერენციას მოეცა რამე, თუგინდ სრულიად მცირე, შედეგი. სახაცილო შთაბეჭდილებას სტოვებს ეს კონფერენცია, სხვადასხვა ქვეყნის ეს სერიოზული სახელმწიფო მოღვაწეები, რომელნიც შემოსხდომიან კონფერენციის მაგიდას და იხილავენ საკითხს განიარაღების შესახებ, იმ დროს, როცა აღნიშნულ სახელმწიფო მოღვაწეების მიერ წარმოდგენილი სახელმწიფოები ერთი მეორეს ეჯიბრებიან შეიარაღების გაძლიერებაში, თავისი საჰაერო, საზღვაო და ხმელეთის სამხედრო ძალების გადიდებაში.

რაღა აზრი აქვს ამის შემდეგ ამ ლაპარაკს განიარაღების შესახებ? ჩვენ ვამბობდით და ვიმეორებთ: სპარსეთმა ერთა ლიგის იმედით არ უნდა დაივიწყოს თავისი უფლებები. იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ერთა ლიგას, მართლაც, სურს დახმარება და მფარველობა გაუწიოს სუსტ ეროვნებებს, ის ამას არ გააკეთებს სანამ არ დაინახავს, რომ ეს სუსტი ერები თვით გამოდიან თავიანთ უფლებების დასაცავად. შესაძლოა აგრეთვე, რომ ერთა ლიგის სხდომები, პირიქით, საფრთხეს წარმოადგენდეს სუსტ ეროვნებათათვის... ამიტომ საჭიროა, რათა სუსტმა ერებმა მაგალითი აიღონ დიდი სახელმწიფოებისაგან—საბჭოთა კავშირისა და შეერთებულ შტატებისაგან და თვალყური ადევნონ იმას, რაც ხდება ჟენევაში.

ეხლა, როცა კომისიის სხდომების უარყოფითი შედეგი სავსებით ნათელი გახდა და როცა ჩვენ აშკარად ვხედავთ, თუ რაში გამოიხატება დიდ სახელმწიფოების „მშვიდობიანობის მოყვარეობა", ჩვენ ვალდებული ვართ არ დავუჯეროთ ევროპიელთა პროპაგანდას და რაც შეიძლება ჩქარა და ენერგიულად შევუდგეთ ჩვენი ნაციონალური ძალების გადიდებას".

დიდი ბრძოლა

ჩან-ძო-ლინსა და ფინ-იუი-სიანის ჯარებს შორის

მოელიან ჩან-კაი-შის გადადგომას

შანხაი, 6 აპრილი. კერძო ცნობების მიხედვით ნანკინის წრეებში ახლო მომავალში მოელიან ჩან-კაი-შის გადადგომას იმ უთანხმოების გამო, რომელიც ჩან-კაიშისა და ფინ-იუ-სიანს შორის არსებობს. (ადს).

„დიდი მოვლენა ჩინეთის დიპლომატიის ისტორიაში"

ტოკიო, 6 აპრილი. „სიმბუნ რენგოს" სააგენტოს (შანხაიდან) ცნობით, ნანკინის მთავრობის წრეებში ჩინეთ-ამერიკის შეთანხმებას ნანკინის ინციდენტის მოწესრიგების შესახებ სთვლიან „დიდ მოვლენად ჩინეთის დიპლომატიის ისტორიაში". მთავრობის წრეები აღნიშნავენ, რომ შეთანხმება მიღწეულია ორივე მხარის სრული თანასწორობის საფუძველზე. (ადს).

რევოლიუციონურ რაზმების გამარჯვება

პეკინი, 6 აპრილი. პრესის ცნობით, რევოლიუციონურმა რაზმებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, ხელში ჩაიგდეს ჩანშანის და უშანის მაზრები. ჩუეზიანის და ცზიანსუს პროვინციის საზღვარზე.

მუკდენის ჯარები კონტრ-შეტევაზე გადავიდნენ

პეკინი, 6 აპრილი. მუკდენის ჯარებმა მიიღეს ბრძანება გადავიდნენ კონტრ-შეტევაზე ჩან-კაიშისა, ფინ-იუ-სიანისა და ენ-სი-შანის წინააღმდეგ. ყველა ფრონტებზე გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს. (ადს).

შანხაი, 6 აპრილი. იუწყებიან, რომ მთელ ფრონტზე მედგარი ბრძოლა სწარმოებს შანსისა და მუკდენის ჯარებს შორის. პინშანის რაიონში, ჩჟილის პროვინციის დასავლეთით, მუკდენელების 8 დივიზიამ იერიში მიიტანა შანსის ჯარებზე, მაგრამ მუკდენელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ დიდი ზარალით. ნანკინის სააგენტოს ცნობით, ფინ-იუ-სიანის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს მუკდენის ჯარები ტაიანის რაიონში, შანდუნის პროვინციის მთავარ ქალაქ ცზინანფუდან 250 კილომეტრის დაშორებით და დაიკავეს ცზინინი. (ადს).

პეკინში დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების ბედი

ფოკსი საზოგადოებრივ აზრს მიმართავს

პეკინი, 6 აპრილი. პეკინში არსებულ იაპონიის მისიის ორგანო „ნორტ ჩაინა სტანდარტ"-ი აქვეყნებს ინტერვიუს ამ ერთი წლის წინად სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე თავდასხმის დროს დაპატიმრებულ 15 საბჭოთა მოქალაქის დამცველ ფოკსთან. ფოკსი აღნიშნავს, რომ დაპატიმრებულთა საქმის გარჩევა იმავე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიც დაპატიმრების დროს იყო. დამცველებს არა ერთხელ აღუძრავთ შუამდგომლობა დაპატიმრებულთა თავდებ ქვეშ განთავისუფლების შესახებ, მაგრამ სასამართლო ყოველთვის უარყოფდა თხოვნას სხვადასხვა საბაბით. მრავალჯერ მიმართეს აგრეთვე პეკინის მინისტრსაც, მაგრამ ის მუდამ ერთდაიმავეს იმეორებდა—საქმე სასამართლოს ხელშია და სამინისტროს არ შეუძლია ჩარევაო.

ვექილი აცხადებს, რომ ის იძულებულია მიმართოს ვექილისათვის უჩვეულო საშუალებას—მიმართოს პრესას თხოვნით მიაქციონ ყურადღება დაპატიმრებულთა საქმეს. (ადს).

საფრანგეთის მუშათა პარტია

პარიზი, 6 აპრილი. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის შემთანხმებლურ პოლიტიკის გამო, გახშირდა მუშების გამოსვლა პარტიიდან. სოციალისტური პარტიიდან გამოსული მუშები აწყობენ ახალ პარტიას, რომლის სახელწოდება იქნება „საფრანგეთის მუშათა პარტია". ახალ პარტიას, როგორც სჩანს, განზრახული აქვს გაატაროს მთლიანი მუშათა ფრონტის ტაქტიკა. ახალ პარტიის დასახასიათებლად საინტერესოა მისი ტაქტიკა ბორდოში. მუშათა პარტიამ ბორდოში წამოაყენა თავისი კანდიდატი, რომელსაც პარლამენტის მომავალ არჩევნებში მეტოქეობა უნდა გაეწია სოციალისტების კანდიდატისათვის; შემდეგ **მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც პროტესტს აცხადებს კომუნისტ დეპუტატების დაპატიმრების წინააღმდეგ** და აღნიშნა, რომ ხსნის თავის კანდიდატს კომპარტიის კანდიდატის პიშონის სასარგებლოთ, „რომელიც (პიშონი), ამგვარათ, მუშათა პარტიის ერთად - ერთ კანდიდატათ რჩება ბორდოში". (ადს).

ალბანეთ-სამხრეთ სლავიის საზღვარზე

საზღვრის დაკეტვა

ვენა, 6 აპრილი. ბელგრადში გავრცელებულია ხმები, რომ ალბანეთის საზღვრის დაკეტვა მიზნად ისახავს ჯარების კონცენტრაციის და კომიტაჯების მოქმედების დაფარვას და რომ გრძელდება იტალიის იმპერიალისტურ გეგმების განხორციელება იტალია - ალბანეთის საბაჟო ხელშეკრულების სახით და სხვ. ამასთან დაკავ- [illegible] ათავსებს თავისი ტირანელი კორესპონდენტის საუბარს ტირანში მყოფ ინგლისელ პოლკოვნიკ სტერლინგთან და ალბანეთის გარეშე საქმეთა მინისტრის მდივანთან — ლიოუკთან, რომელნიც უარყოფდნენ ცნობებს იმის შესახებ, რომ თითქოს ალბანეთის ტერიტორიაზე მზადდება სამხრეთ - სლავიის საწინააღმდეგო გამოსვლა. მიუხედავად ამისა, **სტერლინგმა განაცხადა, რომ ალბანეთის მთავრობის მიერ საზღვრის დაკეტვა შესაძლებელია მიზნად ისახავს არა მარტო სანიტარულ, არამედ თავდაცვის მიზნებსაც.** სტერლინგის სიტყვით, ალბანეთში ფიქრობენ, რომ სამხრეთ - სლავიაში მცხოვრები ალბანელი ემიგრანტები აპირებენ ალბანეთში დაბრუნებას იმ მიზნით, რომ [illegible] გაუწიონ [illegible] წინააღმდეგ.

ვენა, 6 აპრილი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, ალბანეთის რწმუნებულმა სამხრეთ - სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრს აცნობა, რომ 6 აპრილს ალბანეთის საზღვარი კვლავ გაიხსნება. (ადს).

ბრატიანუს „მტკიცე" კურსი

ვენა, 6 აპრილი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, შესდგა რუმინეთის პარლამენტის მთავრობის მომხრე უმრავლესობის კრება, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე ლიბერალურ პარტიის სხვადასხვა პროვინციალურ ორგანიზაციების ხელმძღვანელები. მოხსენებით გამოვიდა ბრატიანუ, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობა არ აპირებს გადადგომას და დარჩება ხელისუფლების სათავეში მაშინაც კი, თუ ვერ მოახერხა სესხის აღება საზღვარგარეთ. (ადს).

ტიტულესკუ იარაღს ჰყრის

ვენა, 6 აპრილი. ტიტულესკუმ რუმინეთის მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც პასუხს იძლევა პარლამენტში მისი საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ გალაშქრებაზე და აცხადებს, რომ ის ყოველ წუთში მზადაა გადადგეს. (ადს).

მონღოლეთის სახ. რევ. პარტიის ცეკას პლენუმი

ულან - ბატორ, 6 აპრილი. გაიხსნა მონღოლეთის სახალხო რევოლიუციონურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმი. ცეკას თავმჯდომარემ **დამბა დორჯიმ** თავის სიტყვაში აღნიშნა კაპიტალისტურ ქვეყნის შინაგან წინააღმდეგობათა გაღრმავება და იმპერიალისტების ბრძოლის გაძლიერება მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. ცეკას საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გაძლიერდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხე. (ადს).

ფაშისტებსაც გადააჭარბეს

საბერძნეთის სვე-ბედის გამგებელნი — გამყიდველი პოლიტიკანები, როგორც სჩანს, ბოლოს და ბოლოს შეუთანხმდნენ ჩემბერლენსა და მუსოლინის იმ საფასურის შესახებ, რომელიც მათ უნდა გადაიხადონ ინგლის-იტალიის მფარველობისათვის. ეს მფარველობა საბერძნეთის მესვეურებს იმისთვის ესაჭიროებათ, რომ შესაძლებელი გახდეს საბერძნეთის მონაწილეობა ბალკანეთის ანტი - საბჭოთა ბლოკში, რომლის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ამ დღეებში ხელმოწერილი საბერძნეთ - რუმინეთის „სამეგობრო" ხელშეკრულება. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო კომუნისტებისათვის „კისერის მოტეხა" და მათი გავლენიდან მუშათა მასების გამოგლეჯა. მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო ხელი შეეშალა საბერძნეთის ბურჟუაზიისათვის, რომ არ ჩაბმულიყო რომელიმე ახალ ანტი - საბჭოთა ან ანტი-თურქულ ავანტიურაში. ამიტომ მთავრობა ეშურება, რომ პარლამენტში შეიტანოს „არსებული სოციალური და რელიგიური წყობილების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობისათვის სასჯელის" კანონპროექტი.

საბერძნეთის ბურჟუაზიამ გადააჭარბა კიდეც უაღრესად განვითარებულ ფაშისტურ ნიმუშებს: კომპარტიის წევრობისათვის ადამიანი დამშეული უნდა მოკვდეს, რადგან, ახალი კანონის თანახმად, წარმოების არც ერთის პატრონს უფლება არა აქვს ისეთი მუშა ჰყავდეს, რომელიც დამნაშავედ არის ცნობილი კომპარტიის წევრობისათვის.

ამიერიდან საბერძნეთის რევოლიუციონერ მუშებს თავს დაატყდებათ თეთრი ტერორი. რასაკვირველია, ტერორისტული კანონები ვერ შეაჩერებს საბერძნეთის მუშათა მოძრაობას. მან შეიძლება ფარული ხასიათი მიიღოს, მაგრამ იგი ამით არც დასუსტდება, არც ნაკლებ საშიში გახდება საბერძნეთის ბურჟუაზიისათვის. პირიქით, დევნა - შევიწროვება უფრო სწრაფად განავითარებს საბერძნეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ კლასობრივ შეგნებას.

„პრავდა"-ს პოლიტმიმოხილვიდან, 7 აპრილი.

უკანასკნელი ცნობები

ამხ. ლიტვინოვის დაბრუნება

მოსკოვი, 7 აპრილი. 6 აპრილს ჟენევიდან ჩამოვიდა ამხ. ლიტვინოვი. სადგურზე ამხ. ლიტვინოვს შეხვდნენ გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები და აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გირსა. (ადს).

მემაღაროეთა გაფიცვა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. კომუნისტურ „დეილი უორკერ"-ის ცნობით, გაიფიცა პიტსბურგის ქვანახშირის სამრეწველო კომპანიის 10.000 მუშა. კომპანია ეკუთვნის ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების ფინანსთა მინისტრ მელონს. (ადს).

ბრძოლა ნავთის ბაზარზე

ლონდონი, 7 აპრილი. ინგლისის ნავთის წარმოებები აცხადებენ, რომ კიდევ ამცირებენ ნავთის ფასებს, რაც გამოწვეულია რომ-ის (რუსეთის ნავთის პროდუქტებით მოვაჭრე საზოგადოების) დაბალი ფასებისათვის კონკურენციის გაწევის მისწრაფებით. მაგრამ რომ-ის ფასები ისევ ბევრად უფრო იაფი რჩება. (ადს).

მაღაროს მეპატრონეები ამოკლებენ შტატებს

ლონდონი, 7 აპრილი. ლანკაშირის მაღაროს მეპატრონეები მემაღაროეთა რიცხვს ამცირებენ 20 პროცენტით. (ადს).

კაპიტალისტების უტიფარი გამოსვლა

ლონდონი, 7 აპრილი. ინგლისის ქურქლეულობის მრეწველობაში წარმოიშვა კონფლიქტი სამუშაო ხელფასის საკითხის გარშემო. ქურქლეულობის მრეწველობის მუშათა კავშირმა წარუდგინა მოთხოვნილება ხელფასის 11—15 პროცენტით გადიდების შესახებ. ამის საპასუხოდ მწარმოებლებმა მუშათა უმრავლესობას ჩაბარეს ინდივიდუალური უწყებები ხელფასის შემცირების შესახებ 25—75 პროცენტით. ხელფასის არაჩვეულებრივმა შემცირებამ ძლიერი მღელვარება გამოიწვია მუშებში. (ადს).

ინგლისის ბიუჯეტი

ლონდონი, 7 აპრილი. ბირმინგამში გამართულ კრებაზე დეპუტატმა გრეხემმა (მუშათა პარტია) აღნიშნა, რომ ინგლისის ბიუჯეტიდან, რომელიც მიმდინარე წელში უდრის 830 მილიონ გირვანქა სტერლინგს, 530 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადადებულია მსოფლიო ომთან დაკავშირებულ ხარჯების დასაფარავად, და აგრეთვე მიმდინარე სამხედრო ხარჯებისათვის. გრეხემმა განაცხადა, რომ მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს სამხედრო ხარჯების შემცირებისათვის. (ადს).

ნიუ-იორკის პრესა ზუგრების ანტისაბჭოთა გამოსვლების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. ჰერსტის პრესა სასტიკად ილაშქრებს ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებში დაწყებულ ანტისაბჭოთა პროპაგანდის წინააღმდეგ. პროპაგანდის მაგალითად გაზეთებს მოჰყავთ დეტერდინგის ცდა ხელი შეეშალა კონტრაქტის დადებისათვის ამერიკის კომპანია „სტანდარტ ოილ"-სა და ნავთის სინდიკატს შორის და საფრანგეთის ბანკის პრეტენზია საბჭოთა ოქროზე. „თუ უცხოეთის პროპაგანდა და უცხოეთის დიპლომატია—სწერენ გაზეთები,—შესძლებს დაგვაჯეროს იმაში, რომ არ ვიყიდოთ საბჭოთა ნავთი და არ მივიღოთ ოქრო და სხვა საქონელი საბჭოთა კავშირიდან, შეუძლებელი იქნება ვაჭრობის გაგრძელება საბჭოთა კავშირთან". (ადს).

დამსჯელი ექსპედიცია წითლების წინააღმდეგ

შანხაი, 7 აპრილი. კანტონიდან მიღებული ცნობით, მთავრობის ჯარებმა იჩანის რაიონში, ხუბეის პროვინციის დასავლეთით დაამარცხეს რევოლიუციონერების რაზმი, რომელიც შესდგებოდა 2000 კაცისაგან. რაზმს ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები. (ადს).

მოითხოვენ ბამბის მრეწველობის ნაციონალიზაციას

ლონდონი, 7 აპრილი. უკანასკნელი დღეების განმავლობაში შესდგა ბამბის ქსოვილების მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ორი კონფერენცია. კონფერენციებმა იქონია მსჯელობა სამრეწველო კრიზისთან დაკავშირებულ მდგომარეობაზე. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ მთავრობამ დანიშნოს კომისია საფეიქრო მრეწველობის მდგომარეობის გამოსაკვლევად. გამოსული ორატორები ხაზს უსვამდნენ ბამბის ქსოვილების მრეწველობის ნაციონალიზაციის საჭიროებას. (ადს).

თესვის კამპანიის დროს ჩატარებულ საუკეთესო მუშაობის კონკურსი

მოსკოვი, 7 აპრილი. ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის ჟურნალმა „სელსკო ხოზიასტვენი კრედიტ"-მა გამოაცხადა თესვის კამპანიის დროს ჩატარებულ საუკეთესო მუშაობის კონკურსი. კონკურსის პირობების თანახმად, ჯილდო მიეცემა იმ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს, რომლებიც თესვის კამპანიის დროს უფრო სრულად და საუკეთესო შედეგებით ახორციელებენ სოფლის სოციალისტური სექტორის გაძლიერების პოლიტიკას. დანიშნულია 45 ჯილდო. მუშაობის აღწერის წარდგენის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 1928 წლის 1 ივნისი. (ადს).

საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსში

ბერლინი, 6 აპრილი. ბრემენში შესდგა საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის აღმასკომის სხდომა.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა გენერალურ მდივნის მეის წერილის შესახებ, რომელიც დაბეჭდილი იყო ალიანსის ბიულეტენში და მიმართული იყო საბჭოთა კოოპერაციის წინააღმდეგ. ამ წერილს პასუხი გასცა „ცენტროსოიუზ"-ის თავმჯდომარემ ლიუბიმოვმა.

პაუსონმა საფრანგეთის კოოპერაცი[illegible] წინააღმდეგ, რომელიც ბიულეტენს ხდის ანტი - საბჭოთა ორგანოთ და ცდილობს ალიანსში განხეთქილების გამოწვევას.

კისინმა (საბჭოთა კავშირი) მოითხოვა, რათა ბიულეტენში დაებეჭდათ ლიუბიმოვის პასუხი მისი პირვანდელი რედაქციით.

ალიანსის მიერ ერთა ლიგის ეკონომიურ კომისიასთან არსებულ სათათბირო კომიტეტში ექსპერტების გაგზავნის საკითხის გამო, კისინმა შეიტანა კონტრ - წინადადება ერთა ლიგის ორგანოებთან ალიანსის თანამშრომლობის უარყოფის და საკუთარი ეკონომიური კომისიის შექმნის შესახებ.

რუსული ენა [illegible] ალიანსის [illegible] ოფიციალურ ენად, საბჭოთა წარმომადგენლებს უფლება მიეცათ ილაპარაკონ რუსულ ენაზე. (ადს).

ავღანისტანის ფადიშაჰი პარიზში

პარიზი, 6 აპრილი. ავღანისტანის ფადიშაჰი ინგლისიდან ჩამოვიდა პარიზში. (ადს).

ორი ფაშისტის შეხვედრა

ვენა, 6 აპრილი. „პესტი ნაპლო" იუწყება, რომ უნგრეთის პრემიერი ბეტლენი გაემგზავრა მილანში, სადაც მას საიდუმლო შეხვედრა ექნება მუსოლინთან. (ადს).

მოგზაურობა დედამიწის გარშემო

ტოკიო, 6 აპრილი. გაზეთი „დოჰიდზი" აწყობს შეჯიბრების ხასიათის მოგზაურობას დედამიწის ირგვლივ. შეჯიბრში მონაწილეობას იღებს ორი იაპონელი სპორტსმენი მაცუი და არაკი. გაიმარჯვებს ის, ვინც მოგზაურობას ჩაატარებს უფრო მოკლე ვადაში და ნაკლები ხარჯით. არაკი ზღვით გაემგზავრა ამერიკისაკენ, მაცუი მიემგზავრება საბჭოთა კავშირისაკენ.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

აზნავთის გამგეობას საყვედური გამოეცხადა

მოსკოვი, 7 აპრილი. უკანასკნელ ხანებში საკონტროლო ორგანოებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი იმის შემოწმებას, თუ რამდენად მიზანშეწონილად ახდენენ დაკვეთებს საზღვარ-გარეთ ჩვენი სამეურნეო ორგანოები.

საქმე იმაშია, რომ უცხოეთის პროდუქციის ღირსებაზე ბევრ ჩვენს სამეურნეო ორგანოებში განმტკიცდა გაზვიადებული წარმოდგენა. საზღვარ-გარეთ იგზავნება დაკვეთები ისეთ მანქანებზე და მოწყობილობაზე, რომელნიც მზადდება საბჭოთა კავშირში. ამასთანავე ეს მანქანები, რომელნიც დამზადებულნი არიან ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, თავისი თვისებით არა თუ ისეთივეა, როგორც უცხოეთის ნაწარმოები, არამედ ზოგჯერ ამ მხრივ გაცილებით წინ უსწრებს მათ. ამის და მიუხედავათ ბევრი სამეურნეო ორგანო მაინც განაგრძობს დაკვეთების გაცემას საზღვარ-გარეთ, რაშიაც ხარჯავს უცხოეთის ვალიუტას და რითაც აყენებს დიდ ზიანს ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს, რომელნიც ხშირად სრული დატვირთვით ვერ მუშაობენ. ამიტომ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რომ საზღვარ გარეთ იცემოდეს დაკვეთები ისეთ იარაღებზე და ნაწარმოებებზე, რომელნიც საბჭოთა კავშირში არ მზადდება.

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ინსპექციამ ამ მხრივ შეამოწმა აზნავთის მუშაობა. გამოირკვა, რომ აზნავთი არაჩვეულებრივად აჭიანურებს ბაქო-ბათომის ნავთსადენისათვის დიზელების დაკვეთას ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში.

იმ მიზნით, რომ დაკვეთები საზღვარ-გარეთ გადაეცა, აზნავთი განზრახ აჭიანურებდა მოლაპარაკებას ჩვენს ტრესტებთან დიზელების დამზადების შესახებ. სათბობი მასალის მთავარ სამმართველომ იცოდა ეს და არ მიიღო ზომები იმისათვის, რომ დაეჩქარებია აზნავთის დაკვეთების გადაცემა საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნებისათვის.

ასეთი უმოქმედობისა და არსებულ დირექტივების გვერდის ახვევისათვის აზნავთის გამგეობას გამოეცხადა საყვედური.

ამხ. ნ. კრუპსკაია წერა-კითხვის უცოდინარობის სტაბილიზაციის შესახებ

მოსკოვი, 7 აპრილი. „პრავდა"-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია ამხ. ნ. კრუპსკაიას წერილი წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის შესახებ.

ამხ. კრუპსკაია აღნიშნავს, რომ, თუ ასეთივე პირობებში გაგრძელდა წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა, როგორც ეს დღემდე არის, აქედან დიდ ვერაფერს ნაყოფს მივიღებთ. ავტორს მოჰყავს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობები, რომელთა მიხედვით ასკვნის, რომ ყოველწლიურად საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე წერა-კითხვას სწავლობს ერთი მილიონი კაცი. ამავე დროს, თვითეული წლის განმავლობაში საბჭოთა რუსეთს ემატება წერა-კითხვის უცოდინართა ამდენივე რაოდენობა.

დასკვნა აქედან ასეთია, საჭიროა გაძლიერებული იქნას წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა მოსახლეობის იმ კადრებში, რომელიც ყოველწლიურად იძლევა წერა-კითხვის უცოდინართა ახალ მილიონს.

ამხ. მელნიჩანსკი საქართველოს პროფკავშირის შესახებ

მოსკოვი, 7 აპრილი. საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. მელნიჩანსკი, რომელიც თავის სიტყვაში სხვათა შორის შეჩერდა პროფკავშირთა ნაციონალურ პოლიტიკაზე. ამხ. მელნიჩანსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა ნაციონალურ რესპუბლიკების პროფკავშირების ურთიერთობა აგებულია ნამდვილ პროლეტარულ სოლიდარობის პრინციპზე. ჩვენ ეს სოლიდარობა გვწამს არა მარტო როგორც დეკლარატიული დებულება, არამედ როგორც ყოველდღიური, პრაქტიკულ მუშაობის ამოცანა.

ამ აზრის დასამტკიცებლად ამხ. მელნიჩანსკის მოხსენებაში მოყვანილია სხვათა შორის ფაქტი იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატა საბჭოთა კავშირის პროფორგანოების დახმარება საქართველოს პროფესიონალურ კავშირისადმი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, განაცხადა ამხ. მელნიჩანსკიმ, საქართველოს კავშირმა უმუშევართა დახმარებისათვის ცენტრიდან მიიღო 6.000 მანეთი და კლუბის ასაშენებლად 30.000 მანეთი.

„სად დაჰქრის ალტშულერის აჩრდილი".

მოსკოვი, 7 აპრილი. დღეს „კომსომოლსკაია პრავდა"-ში მოთავსებულია სპეციალური განყოფილება, რომელიც ეხება ლიტერატურულ მუშაკების ზნე-ჩვეულებას და ყოფა-ცხოვრებას. განყოფილების სათაურია: „იქ, სადაც დაჰქრის ალტშულერის აჩრდილი".

ალტშულერი, როგორც უკვე გადმოგცემდით, მწერალთა ფედერაციის ყოფილი მდივანია, რომელიც დაპატიმრებულია კომკავშირელ სტუდენტ ქალის ისლამოვის გაუპატიურებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა ისლამოვის ქალის თვითმკვლელობა.

გაზეთის სიტყვით, გერცენის სახელობის სახლის სარდაფში მოთავსებულია რესტორანი, რომელიც მოსკოვის ლიტერატურულ ბოჰემის მთავარ ბუდეს წარმოადგენს. აქ ხდება დაუსრულებელი ქეიფი, იმართება ჩარლსტონის საღამოები, ხდება დაუსრულებელი ჩხუბი და დავიდარაბა.

ასეთ „დროს ტარებაში" მონაწილეობას იღებს მთელი რიგი გამოჩენილი ლიტერატორები და სცენის მუშაკნი.

გაზეთი მოუწოდებს კომკავშირის შეგნებულ ნაწილს, რომ მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ლიტერატურულ ბოჰემშინას საზოგადოთ და განსაკუთრებით შეებრძოლოს ამ სენს პროლეტმწერლების რიგებში.

---

*) ავტორის წინადადებები თვითდაბეგვრის შესახებ მიდის საკითხის გარჩევის წესით. რედ.

რუშდი-ბეი რომში

რუშდი - ბეის შეხვედრა მუსოლინთან და მიხალოკოპულოსთან

ანგორა, 6 აპრილი. ანატოლიის სააგენტო იუწყება, რომ ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ტევფიკ-რუშდი - ბეის მუსოლინთან მილანში ჰქონდა რამოდენიმე საუბარი, რომლის დროს წამოყენებულ იქნა ორივე მხარისთვის საინტერესო საკითხები. მიღწეულია შეხედულებათა სრული თანხმობა მშვიდობიანობის შენარჩუნების და განმტკიცების საკითხში.

ტევფიკ - რუშდი - ბეის და საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრის მიხალოკოპულოსის შეხვედრის დროს განხილულ იქნა მთელი რიგი ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი საკითხები. ამ საკითხების განხილვა გაგრძელდება ანგორაში. (ადს).

ტერორი რუმინეთში

ჩხრეკა გლეხთა ნაციონალურ პარტიის ორგანოს რედაქციაში

ვენა, 6 აპრილი. ბუქარესტიდან მიღებულ ცნობით, კლაუზენბურგში გაჩხრიკეს გლეხთა ნაციონალურ პარტიის ადგილობრივ ორგანოს რედაქციის შენობა. ჩხრეკის დროს, პოლიციის ცნობით, აღმოჩენილ იქნა გლეხთა ნაციონალურ პარტიის მოწოდება. მოწოდება შეეხებოდა პარტიის კონფერენციას. აღმოჩენილ საბუთებს პოლიციამ კონფისკაცია უყო. (ადს).

ვენა, 6 აპრილი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, ქიშინევში ციხის ადმინისტრაციამ კვლავ ჩასვა საკანში სტეფანოვი და 8 სხვა პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც სამი დღის წინად გადაყვანილი იყვნენ ჩვეულებრივ კამერებში საკანიდან, სადაც ისინი იმყოფებოდნენ დიდი ხნის განმავლობაში. (ადს).

საბჭოთა კავშირის ახალი კონსული თავრიზში

თეირანი, 5 აპრილი. საბჭოთა კავშირის გენერალურ კონსულად თავრიზში დაინიშნა ამხ. თუმანოვი, რომელიც უკვე გაემგზავრა თავრიზში.

საბჭოთა შაქარმა პანიკა გამოიწვია

თეირანი, 5 აპრილი. ბუშირიდან იუწყებიან, რომ ბუშირში საბჭოთა შაქრის გაგზავნის შესახებ გავრცელებულმა ხმებმა, შაქრის ბაზარზე გამოიწვია პანიკა. ვაჭრები, რომელთაც ევროპის შაქარი აქვთ, ცდილობენ სასწრაფოდ გაყიდონ ის. ბელგიის შაქრის ფასები ეცემა. (ადს).

ავღანისტან-სპარსეთის საზღვრების გადასინჯვა

თეირანი, 5 აპრილი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სპარსეთის მთავრობისა და ავღანისტანს შორის სწარმოებს მოლაპარაკება საზღვრების გადასინჯვის შესახებ, განზრახულია სპეციალური კომისიის დანიშვნა ამ საკითხის დასამუშავებლად.

სპარსეთში

ინგლისის მფარველობით

თეირანი, 5 აპრილი. ბუშირიდან იუწყებიან, რომ ხენგამის კუნძულზე სპარსელ მოხელეობას აწიოკებენ არაბთა შეიხები, რომლებიც აცხადებენ, რომ კუნძული არაბებს ეკუთვნის. (ადს).

ინგლისელები ნავთს დაეძებენ

თეირანი, 5 აპრილი. კერმანშაჰიდან იუწყებიან, რომ ქუტ-ელ ამარის რაიონში ინგლისელები აწარმოებენ ახალ ნავთიან ადგილების გამოკვლევას. (ადს).

საბჭოთა კავშირში

პროფესორი გედროიცი — ნიადაგის მცოდნეობის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტი

ლენინგრადი, 7 აპრილი. სამეცნიერო აკადემიამ ნიადაგის მცოდნეობის საერთაშორისო კომიტეტისაგან მიიღო ცნობა, რომ გარდაცვლილ აკადემიკოს გლინკას ნაცვლად ნიადაგის მცოდნეობის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტად არჩეულია პროფესორი გედროიცი. (ადს)

საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოწაფეების გამოგონება

არტემოვსკი, 7 აპრილი. კონსტანტინოვის ქიმიური ქარხნების საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოწაფეებმა ზდლეიერმა და დოროფეევმა გამოიგონეს მექანიკური მილი შუშის ნაწარმოებთა გასაბერავად. სპეციალისტების შემოწმებამ გამოარკვია, რომ მილი მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მუშების შრომას. მილი გამოყენებული იქნება შუშის მრეწველობის ქარხნებში. (ადს).

საბჭოთა კავშირის თურქოლოგიური ინსტიტუტი

ლენინგრადი, 7 აპრილი . სამეცნიერო აკადემიაში შესდგა საბჭოთა კავშირის ახალ თურქოლოგიურ ინსტიტუტის წევრთა საორგანიზაციო კრება. ინსტიტუტმა უნდა აწარმოოს საბჭოთა კავშირის განაპირა ოლქებში მცხოვრებ თურქ ხალხების ენის, ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების და სხვა მეცნიერული გამოკვლევა. ახალი ინსტიტუტის წევრებად შევიდნენ აკადემიკოსები ბარტოლდი, მარი, პროფ. სამოილოვიჩი, ვლადიმირცევი, მალოვი და საბჭოთა სხვა ორიენტალისტები. (ადს).

საკავშირო გეოლოგიური ყრილობა

ლენინგრადი, 7 აპრილი. გერმანიიდან საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან და ინგლისიდან ჩამოდიან მთელი რიგი გეოლოგები მესამე საკავშირო გეოლოგიურ ყრილობაზე დასასწრებლად. ყრილობა გაიხსნება ტაშკენტში. მოელიან 20-მდე სტუმრებს, რომლებიც გაეცნობიან გეოლოგიურ კომიტეტს, მუზეუმს და ლენინგრადის სხვა დაწესებულებებს და შემდეგ გაემგზავრებიან ტაშკენტში, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ყრილობა გაიხსნება 20 მაისს, მაგრამ 13 მაისიდან დაიწყება მთელი რიგი გეოლოგიური ექსკურსიები შუა აზიის გეოლოგიასთან გასაცნობად. ყრილობაზე მონაწილეობას მიიღებს რუსეთის 200-მდე გეოლოგი. (ადს).

არა „ღმთის", არამედ რევოლუციის ნება

კიევი, 7 აპრილი. სოფელ სტრიჟევკას გლეხმა დოვგალმა მიიღო წერილი ამ სოფელში მდებარე მამულის ყოფილ მფლობელ გრაფ პოტოცკისაგან. ამ წერილში გრაფი „აბარებს" თავის ყოფილ მსახურს, რომ ის პოლონეთში შეიძინა მამული და სახლი 8 ოთახით. „რაც შეეხება უკრაინაში გლეხების მიერ გაძარცულ მამულებს,—სწერს გრაფი,— ეს ღვთის ნებაა".

დოვგალმა ასეთი პასუხი გაუგზავნა პოტოცკის: „თქვენ სცდებით გრაფო, ეს ღვთის ნება კი არ არის, არამედ რევოლუციის, მუშებისა და გლეხების ნებაა. მათ გაგაძევეს თქვენ უკრაინიდან. შორს აღარ არის ის ჟამი, როდესაც პოლონელი გლეხები გაგაძევებენ თქვენ პოლონეთიდანაც".

სრულიად რუსეთის ცაკის სესია

ამხ. კალინინის სიტყვა.—სესიის დახურვა

მოსკოვი, 7 აპრილი. საბჭოთა რუსეთის ცაკის სესიის დახურვის წინ ამხ. კალინინმა ცაკის წევრებს მიმართა სიტყვით, რომელშიაც ჯამი გაუკეთა სესიის მუშაობას.

„სესიის მიერ შემუშავებული დებულება საოლქო კომიტეტების შესახებ,—ამბობს ამხ. კალინინი,—გვიჩვენებს იმ ხაზის სისწორეს, რომელსაც მთავრობა ატარებს რაიონებათ დაყოფის საქმეში. მთელი საბჭოთა კავშირი დაყოფილ იქნება არა გუბერნიებათ, არამედ ოლქებათ. ამ დებულების დამტკიცება არის შემდეგი ნაბიჯი საბჭოთა კავშირის ტერიტორიალურ დანაწილებისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად.

სესიაზე სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვას არაფერი პრინციპიალურად ახალი არ მოუცია. კომისიაში ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია საოლქო აღმასკომებისათვის გადასახადის გაწერის უფლების მინიჭების საკითხმა. ეს წინადადება გადაცემულია საბჭოთა რუსეთის ცაკის პრეზიდიუმში საკითხის არსებითად განსახილველად. მე ვფიქრობ, რომ მიმდინარე წელს ან უახლოეს წლებში საოლქო ორგანოები და სხვა გაერთიანებები მიიღებენ გადასახადის გაწერის უფლებას.

ამ სესიაზე ჩვენ პირველად განვიხილეთ სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის მოხსენება. თუმცა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეთერთმეტე წელზე ჩვენი მატერიალური და კულტურული მიღწევები არ არის განსაკუთრებით დიდი, მაგრამ ამ მიღწევებმა მაინც მოგვცეს ჩვენ საშუალება დიდი გაუმჯობესება შეგვეტანა მიმდინარე წელს სოციალურ უზრუნველყოფის საქმეში. მიმდინარე წელს ხარჯები სოციალურ უზრუნველყოფაზე თითქმის ერთი ორად გაიზარდა წარსულ წელთან შედარებით".

აღნიშნა რა გერმანელთა ავტონომიური რესპუბლიკის მიღწევები ვოლგის მხარეში, ამხ. კალინინმა საბჭოთა რუსეთის ცაკის წევრებს მიმართა მოწოდებით მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება თესვის კამპანიას.

„უნდა მოვიქცეთ ისე,—ამბობს ამხ. კალინინი,—რომ მიწის არც ერთი თავისუფალი ნაკვეთი არ დარჩეს დაუმუშავებელი. მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა რუსეთის ცაკის წევრები, რომელთაც ესმით მომენტის ამოცანები, შეასრულებენ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე".

ამხ. კალინინის სიტყვა დაიფარა მქუხარე ტაშით. (ადს).

მოსკოვი, 7 აპრილი. 6 აპრილს შესდგა რ. ს. ფ. ს. რ. ცაკის სესიის საბოლოო სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა კომისიების მიერ შემუშავებული დადგენილებანი იმ მოხსენებათა შესახებ, რომლებიც მოისმინა სესიამ. დაამტკიცა აგრეთვე სრულიად რუსეთის ცაკის საბიუჯეტო კომისია 60 კაცის შემადგენლობით. (ადს).

სრულიად რუსეთის ცაკის წევრებისა და კანდიდატების თათბირი

მოსკოვი, 7 აპრილი. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმი 7 აპრილს იწვევს სრულიად რუსეთის ცაკის წევრებისა და კანდიდატების თათბირს საბჭოებისა და აღმასკომების სხდომების ქვორუმის დაწესების და მოხუცებულ ღარიბ გლეხების უზრუნველყოფის საკითხებზე, 9 აპრილისათვის მოწვეულია თათბირი გვალვიან ოლქებსა და ცენტრალურ რაიონში სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ და ცენტრალურ ოლქის ეკონომიურ რაიონებად დაყოფის შესახებ. (ადს).

საყვედურის გამოცხადება „აზნავთის" გამგეობისათვის

მოსკოვი, 7 აპრილი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერს ამხ. კოსიორი, აზნავთის გამგეობას ეცხადება საყვედური საქმის გაჭიანურების გამო ბაქო - ბათომის ნავთსადენისათვის საჭირო დიზელების დაკვეთის დროს. აზნავთი ცდილობდა დაკვეთა გადაეცა საზღვარგარეთ, თუმცა მისი შესრულება ჩვენს ქარხნებსაც შეეძლო. აზნავთმა არ მოიხსენია დაკვეთის ტეხნიკური პირობები, რის გამოც დაგვიანდა მისი გადაცემა. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ დიზელების დაკვეთის ისტორია არ არის ერთეული მოვლენა, სამეურნეო ორგანოებს აქვთ გარკვეული ტენდენცია დაკვეთები გადასცენ საზღვარგარეთ. ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმი ავალებს სამეურნეო ორგანოებს ყურადღებით მოეპყრან დაკვეთების ჩვენი ქარხნებისათვის გადაცემის შესაძლებლობის საკითხს, რათა ეს დაკვეთები მუდამ არ ეძლეოდეს უცხოეთის ფირმებს. (ადს)

კონფერენცია ტუბერკულოზთან ბრძოლის საკითხებზე

[illegible] ბერკულიოზთან ბრძოლის საკითხებზე. კონფერენციას დაესწრნენ თბილისის დისპანსერების ტუბერკულიოზთან მებრძოლ უჯრედების, სოციალური დახმარების საბჭოების და სხვ. სამკურნალო დაწესებულება-ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. გ. კუჟაიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენში ტუბერკულიოზთან ბრძოლის საქმე პირველ რიგში უნდა იქნას მოგვარებული, ვინაიდან ტუბერკულიოზი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ სახალხო სენათ. ტუბერკულიოზთან ბრძოლაში ჩაბმულ უნდა იქნეს მშრომელთა ფართო მასა და საბჭოთა საზოგადოებრიობა, როგორც ამ კონფერენციას, ისე მომავალ სრულიად საკავშირო ყრილობას ტუბერკულიოზთან ბრძოლის საკითხებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, სახალხო ჯანმრთე[illegible], რომ მომავალი საკავშირო ყრილობისათვის წინასწარ მომზადდეს მასალები საქართველოში ჭლექის გავრცელებისა და მასთან ბრძოლის შესახებ.

ამხ. კუჟაიძის სიტყვის შემდეგ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა ექ. აბაკელია, რომელიც შეეხო თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების დისპანსერის მუშაობას ჭლექთან ბრძოლის დარგში.

ექ. ლ. ნაზარეტიანმა კონფერენციას გააცნო საკავშირო ყრილობის მოწვევის დღის წესრიგი და მიზნები.

რკინის გზის დისპანსერის სახელით ვრცელი მოხსენება გააკეთა ექ. დავთიანმა, რომელმაც განმარტა, თუ რა მეთოდით აწარმოებს დისპანსერი ჭლექიანთა მკურნალობას და ან რა შედეგებია მიღწეული ამ დარგში. მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე, რომ დისპანსერში მკურნალობის შემდეგ გაუმჯობესება ეტყობა ავადმყოფთა თითქმის მთელ ას პროცენტს.

წყალდიდობა თბილისში

ღამის ცნობები

გუშინ ღამის 12 საათზე, მტკვარში წყალმა კვლავ მოიმატა. პირველ საათისათვის პეტრიწის მოედანი მთლიანათ დაფარული იყო წყალით. მიმოსვლა მთელი დღე და ღამის განმავლობაში ნავებით სწარმოებდა. წყლის სიღრმე ალაგ-ალაგ ორ მეტრს აღემატებოდა.

ღამის 1 ნახ. საათზე წყალი შეიჭრა ტულუხის შესახვევში და დაჰფარა ეზოები და ქუჩები.

წყლით დაფარული იყო აგრეთვე რიყის მთელი უბანი. მიუხედავათ ამისა, ტრამვაის მოძრაობა არ შეჩერებულა.

გუშინ, ღამის 1 ნახ. საათისათვის ხარფუხის ხიდი ორთაჭალაში წალეკილი არ იყო.

წყალით სავსებით დაიფარა აგრეთვე ახალი სანაპირო ქუჩა (ახალი გზატკეცილი). დღეს დილის ორი საათისათვის წყლის დონე გზატკეცილის კედელს აღწევდა.

სპეციალისტთა კომისიამ გამოირკვია, თუ რომელ სახლს მოელის წალეკვა მოსალოდნელ უბედურების დროს. სპეციალისტთა დასკვნით, რიყის უბანში საშიშროება მოელის მტკვრის ნაპირას მდებარე სამ სახლს.

გუშინვე ხსენებულ ბინებში მცხოვრებნი ჩასახლებულნი იქნენ მათთვის მიჩნეულ თავშესაფარში კახეთისა და საბჭოს ქუჩაზე.

საფრთხე მოელის აგრეთვე პეტრიწის მოედანზე მარჯვენა მიმართულებით მდებარე სახლებს.

ყველა საფრთხილო ადგილებიდან გაყვანილია მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.

წყალდიდობასთან მებრძოლ რესპუბლიკანურ კომისიის სახელზე გუშინ ღამით ბორჯომიდან მიიღეს დეპეშა—მდინარე შავი-წყალის და მდ. ბორჯომის ადიდების შესახებ. წყალს ბორჯომში დაუზიანებია რკინის გზის ხიდი. მიმოსვლა შეწყვეტილია. საფრთხე მოელის ელექტრონის სადგურს.

გუშინ ღამით წყალდიდობასთან მებრძოლ რესპუბლიკანურ კომისიის წევრმა ამხ. ხმალაძემ შემოწმა საფრთხილო ადგილებში მდებარე საგუშაგოები.

მოსალოდნელ უბედურების დროს მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენათ ღამით გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმის 50 თანამშრომელი, წითელი არმიის ნაწილები და ცხენოსანი მილიცია.

მტკვარზე გაძლიერებული იქნა წყალზე დახმარების პუნქტები. გარდა ამისა, აღრიცხულია ყველა სანაოსნო ჰურჭლები და სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც საჭიროების დროს გამოყენებული იქნება მცხოვრებთა დასახმარებლად.

მტკვრის ნაპირიდან გადმოსვლის დროს შენობების დანგრევას ადგილი არ ჰქონია.

ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

დღეს დილის ორი საათზე მტკვარში წყლის ადიდება გრძელდებოდა.

ადგილებზე

ხაშური, 7 აპრილი. წყალდიდობა დიდ საფრთხეს უმზადებს ხაშურს. თითქმის ნახევარი ქალაქი დაფარულია წყალით. წყლით დაფარულია აგრეთვე ხაშურის ახლო მდებარე სოფლებიც. წყალდიდობით გამოწვეული ზარალი მნიშვნელოვანია. ადგილობრივი ხელისუფლება ენერგიულ ზომებს ღებულობს მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულთა დახმარება

ბათომი, 6 აპრილი. სახკომსაბჭომ დაამტკიცა 38.000 მან. კრედიტი ზემო - აჭარისა, ქობულეთისა და ბათომის მაზრების მთიანი ნაწილის იმ გლეხების დასახმარებლად, რომლებიც წელს დაზარალდნენ სტიქიური უბედურებისაგან: წყალდიდობისაგან, მეწყერისაგან და სხ. განზრახულია დაბლობ ადგილას 95 ოჯახის გადასახლება, თვითეულ ოჯახს მიეცემა 400 მან. გარდა ამისა დაზარალებულ გლეხების მიწათ - მოწყობისათვის სასოფლო - სამეურნეო ბანკი გრძელვადიანი კრედიტის სახით გასცემს 106.000 მან. (ადს).

საქართველოს ინვალიდთა კოოპერატ. არტელების რწმუნებულთა პირველი ყრილობა

გუშინ საღამოს გლეხთა სახლში გაიხსნა საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების პირველი ყრილობა.

ყრილობის პრეზიდიუმი

ყრილობის პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ასვაზოვი, კ. ხომერიკი, ალ. ჯაფარიძე, ათაბეგოვ-ტუმანი, ახალაძე, ლექვთაძე, ტუხაშვილი, დოლგი, მანჯგალაძე და დეკანოსიძე.

დღის წესრიგი

შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული კავშირი და მისი წესდება. 2) ინვალიდთა კოოპერაციის საორგანიზაციო მშენებლობა, 3) ინვალ. — კოოპერატ. კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა და 4) მიმდინარე საკითხები.

სრ. საქართველოს ინვალ. - კოოპერატიული კავშირი და მისი წესდება

(მომხსენებელი ამხ. ათაბეგოვ - ტუმანი).

მომხსენებელი მოკლე მიმოხილვას უკეთებს ინვალიდთა არტელების წარმოშობას და მათ განვითარებას საქართველოში. მომხსენებლის გადმოცემით, ინვალიდთა არტელების პირველი ორგანიზაცია იწყება 1923 წლიდან. ორი-სამი წლის განმავლობაში ინვალიდთა არტელები საგრძნობლად გამრავლდენ, მათ სახელმძღვანელოდ საჭირო შეიქნა ერთი ცენტრის შექმნა. მოეწყო საქ. ინვალიდთა კოოპერატივი, რომელმაც გადაუხვია კოოპერაციის პრინციპებს და გადაიქცა წმინდა სავაჭრო-კომერციულ დაწესებულებათ. ამის გამო მოხდა მისი ლიკვიდაცია და შემდეგ ინვალიდთა არტელები ცალკე სექციის სახით შევიდენ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის — ცეკავშირის სისტემაში. მაგრამ ინვალიდთა არტელების მუშაობის ხასიათი მოითხოვდა მათთვის ცალკე სახელმძღვანელო ცენტრის მოწყობას. ამ მიზნით სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატთან დაარსდა ინვალიდ - არტელების საბჭო, რომელიც დღემდე უწევდა ხელმძღვანელობას და იცავდა მათ უფლებრივ - ქონებრივ მდგომარეობას, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ინვალიდთა არტელები იმდენად გაიზარდენ, როგორც რიცხობრივად, ისე ორგანიზაციულად, რომ საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო ინვალიდთა არტელების კოოპერატ. კავშირის დაარსება და დაამტკიცა კიდეც მისი წესდება. ამიერიდან ინვალიდთა არტელები აღიარებული არიან კოოპერატიულ ორგანიზაციებად და როგორც ასეთნი, სარგებლობენ ყოველივე იმ უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ დანარჩენ კოოპერატ. დაწესებულება-წარმოებებს. ინვალიდთა კოოპერატ. კავშირის მთავარი დანიშნულება იქნება ხელმძღვანელობა გაუწიოს მასში შემავალ ინვალიდთა არტელებს დაიცვას მათი უფლებრივი მდგომარეობა, შეიძინოს ყოველ- [illegible] გაუწიოს კონტროლი და მეთვალყურეობა ინვალიდთა ნადებს, აწარმოოს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა თავის წევრებს შორის, მოიწვიოს თათბირები და კონფერენციები ყოველდღიურ მუშაობაში წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხების განსახილველად და სხვა. მაგრამ კავშირს არა აქვს უფლება ხელი მოჰკიდოს და აწარმოოს უშუალო სავაჭრო ოპერაციები. იმ მოსაზრებით, რომ კავშირი არ ასცდეს თავის პირდაპირ დანიშნულებას და არ გადაიქცეს დამოუკიდებელ კომერციულ დაწესებულებად, კავშირში შესვლა შეუძლია ინვალიდთა ყოველგვარ არტელს, რომლის წესდებაც სათანადო ორგანიზაციების რეგისტრაციაში არის გატარებული და რომელიც თანხმობას განაცხადებს დაიმორჩილოს კავშირის წესდებას.

მოხსენების შესახებ გაიმართა აზრთა გაცვლა - გამოცვლა, რომლის დამთავრების შემდეგ პირველი სხდომა დაიხურა.

პარტიული ცხოვრება

კავშირს სწყვეტენ ოპოზიციასთან

[illegible] ორგანიზაციის მუშათა ჯგუფმა შეიტანა განცხადება ოპოზიციიდან ჩამოშორების შესახებ. განცხადებას ხელს აწერენ: ამხ. ბახუშვილი, პარტიის წევრი 1912 წლიდან, სეფერთელაძე ვლადიმერ—1917 წლიდან, მექვაბიშვილი ვლადიმერ—1917 წლიდან, ჩანტლაძე ლუკა—1917 წლიდან, ქორფაძე კონსტანტინე—1920 წლიდან, მამალაძე გაბო—1918 წლიდან, და ბერძენიშვილი ვასილ—1925 წლიდან. ამხანაგები აცხადებენ, რომ ამიერიდან უარჰყოფენ ოპოზიციის შეხედულებებს, სწყვეტენ კავშირს ოპოზიციასთან და გმობენ ოპოზიციის მოქმედებებს. ისინი აცხადებენ აგრეთვე, რომ მომავალში არავითარ იდეურ და ორგანიზაციულ მუშაობას არ აწარმოებენ პარტიის წინააღმდეგ და ყოველგვარი საშუალებით შეუწყობენ ხელს მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ოპოზიციიდან ჩამოშორების შესახებ განცხადება შეიტანეს აგრეთვე: პავლე ალიფოვმა—მუშა, პარტიის წევრი (თბილისის ორგანიზ.) 1926 წლიდან, გურგენ არუთინოვმა—მუშა, პარტიის წევრი (თბილ. ორგანიზ.) 1925 წლიდან, ივანე ბალანჩივაძემ—მოსამსახურე, პარტიის წევრი (თბილ. ორგანიზ.) 1926 წლიდან.

ტროცკისტების გამორიცხვა

(საქ. კომპ. ცენტრ. საკონტროლო კომისიის ცნობა)

ქვემოჩამოთვლილი პირნი, როგორც ტროცკისტული ოპოზიციის მომხრენი, გამორიცხულნი არიან საქართველოს კომპარტიის (ბ) რიგებიდან:

სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციიდან: ევგენი ნიკოლოზისძე ხიხარაძე.

ქუთაისის ორგანიზაციიდან: ოლღა ბენედიქტეს ასული წოწნავაძე.

შორაპნის ორგანიზაციიდან: მინა ქაიხოსროსძე აბაშიძე

თბილისის ორგანიზაციიდან: ივანე ალექსის ძე ცინცაძე, პანტელეიმონ მელიტონისძე ჩხიკვაძე, გრიგოლ გიორგისძე გრიგორიანი. მკრტიჩ დავითისძე მარქაროვი, სევერიან თომასძე არსენიძე, ბარნაბა ბეგლარისძე მიქაია, მიხეილ ერმოლოსძე ჯაფარიძე, ამბროსი ბადონისძე ჩხეიძე, ნიკოლოზ პარმენისძე ცინცაძე, ევგენია კარაპეტის ასული ალავერდოვა, ნატალია კლიმენტის ასული თოხელიანი, ნიკოლოზ ივანესძე კოკნაძე, ლეონტი შიოსძე მუმლაძე, ალექსანდრე ონისიმესძე შანიძე, ილია მიხეილისძე მახარაძე, აგრაფინა იოსების ასული კუკულაძე, გიორგი ნიკოლოზისძე ბეგიჯანოვი.

პარტორგანიზაც. და ანტირელიგიური პროპაგანდა

აღდგომის დღესასწაულის მოახლოების გამო პარტიის უჯრედების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და განსაკუთრებით ურწმუნოთა ორგანიზაციის წინაშე სდგას მეტად სერიოზული ამოცანა შრომელთა ყურადღების ჩამოშორება ამ დღესასწაულისაგან და ანტი - რელიგიური პროპაგანდის გაძლიერება.

რელიგია, თავის წარმოშობის მომენტიდანვე იყო კონსერვატიზმის, შავი რეაქციის და „მირონცხებულთა", მშრომელი ხალხის მჩაგვრელთა და მუვლეფელთა დასაყრდენი. „თუ გარტყამენ მარჯვენა ლოყაში, მოუშვირე მარცხენა"-ო, — გვასწავლის რელიგია და მაშასადამე თუ ღვთისმოსავ კაპიტალისტ მიაქვს შენი შრომის ნაწილი, სავსებით დაემონე მას. რელიგია საუკეთესო საშუალებაა ხალხის გაღატაკებისა და მაშასადამე დამონავებისათვის. მაქსიმალური მატერიალური სარგებლობის მიღების მიზნით რელიგიის მსახურნი —სამღვდელოება არაფრის წინაშე არ იხევს. საკმაოა მოვიგონოთ ახლო წარსული — მდიდარი მონასტრები, სამღვდელოების ფუფუნებით ცხოვრება. საკმაოა მოვიგონოთ „წალკის სასწაულთ-მოქმედთა" ან ახალი ათონის ბერების საქმე, რომლებიც მასიურად ჰყიდდენ გლეხებზე უბრალო წყლის წვეთებს „ღვთისმშობლის ცრემლების" სახით. დაბოლოს, საკმაოა გამოანგარიშებულ იქნას ის, თუ რამდენი უჯდება ყოველ „მორწმუნეს" სხვადასხვაგვარი რელიგიური დღესასწაულები, პანაშვიდები, წირვები, ქორწილები, დაკრძალვა და სხვ.

ყოველივე ეს განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვება გლეხის ბიუჯეტს.

ჩვენში, საქართველოში ხშირად ისეთ ფაქტებს აქვს ადგილი, როცა შეძლებული გლეხის მეურნეობა სავსებით გაღატაკდა მხოლოდ დაკრძალვის ხარჯებისაგან. ჩვენში ჯერ კიდევ მრავალი ფაქტებია იმისა, რომ გლეხის მცირე ოჯახი ნახევარი წლის განმავლობაში სჭამს მხოლოდ ღომს, ლობიოთი, რათა საშუალება ექნეს „რიგიანი" სუფრა გაშალოს რელიგიურ დღესასწაულზე.

აღდგომის დღესასწაული ჯერ კიდევ იქცევს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ფენების ყურადღებას.

პარტიის, უჯრედებმა, კომკავშირმა, პოლიტგანის დაწესებულებებმა და ურწმუნოთა უჯრედებმა აღდგომის დღესასწაულის დღეებში ფართოდ უნდა გაავითარონ ანტირელიგიური პროპაგანდა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

აუცილებელია გაიმართოს ლექციები, მოხსენებები, დისპუტები სამეცნიერო, ანტირელიგიურ თემებზე, სადაც ახსნა-განმარტებულ იქნება რელიგიის რეაქციონური მისწრაფებანი და როლი ხალხის დამონავების საქმეში. ამასთან ერთად აუცილებელია გაძლიერდეს მხატვრული, ანტირელიგიური პროპაგანდა — კლუბებში, წითელ კუთხეებში, ქოხ - სამკითხველოში და სხვ. უნდა გაიმართოს წარმოდგენები.

აუცილებელია რაც შეიძლება მეტად ჩამოვაშოროთ მშრომელთა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ყურადღება აღდგომის დღესასწაულისაგან, ფართოდ განვუმარტოთ მშრომელ მასებს რელიგიის და სამღვდელოების რეაქციონური როლი, რომელიც აბრკოლებს სოციალისტური და კულტურული მშენებლობის საქმეს.

ა. დ—ნი.

რა სთქვა ღარიბთა კონფერენციამ

(წერილი სიღნაღიდან)

მიმდინარე წლის 26 მარტს ქ. სიღნაღში მოწვეული იქნა ღარიბ გლეხთა ჯგუფების პირველი სამაზრო კონფერენცია. კონფერენციას უკლებლივ დაესწრნენ დელეგატები მაზრაში არსებულ ღარიბთა ყველა ჯგუფებიდან, კონფერენციას დაესწრო 50 დელეგატი, აქედან 20 კომუნისტი, 6 კომკავშირელი, 24 უპარტიო, მამაკაცი 46 და ქალი 4.

კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები: ღარიბებზე საგადასახადო შეღავათების მინიჭების, მათი მიწით და ტყით დაკმაყოფილების და საკრედიტო პოლიტიკის ღარიბთა სასარგებლოდ წარმართვის დარგში დღემდე ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ საგადასახადო შეღავათები ენიჭება ღარიბებს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ამ დარგში ადგილი აქვს უხეშ დამახინჯებასაც. იმის გამო, რომ ზოგან დასაბეგრი ობიექტები სისწორით არ არის აწერილი, ხდება უღარიბეს მეურნეობაზე უკანონო სასოფ.-სამ. გადასახადის გაწერა. გარდა ამისა, ღარიბთა მეურნეობის გადასახადისაგან განთავისუფლების საქმეში არ არის ჩაბმული ღარიბობა, რის გამოც ხდება ზოგჯერ შეძლებული მეურნეების ღარიბთა კატეგორიაში მოქცევა და ღარიბი მეურნეების დაბეგვრა. კონფერენციამ აღნიშნა აგრეთვე, რომ სათემო საბჭოების ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა—ღარიბთათვის საქმიმო დახმარების აღმოსაჩენად, მცირეა. (მთელს მაზრაში ღარიბთა საქმიმო დახმარების ფონდი უდრის 13.000 მ.), ნაკლები ყურადღებაა აგრეთვე მიქცეული მოჯამაგირეთათვის საქმიმო დახმარების გაძლიერებაზე.

რაც შეეხება ღარიბების მიწით და ტყით დაკმაყოფილებას, გამოირკვა, რომ ამ დარგში უკმაყოფილებას ნაკლები ადგილი აქვს. სათემო-სასოფლო საბჭოებთან არსებული ღარიბთა ჯგუფები სისტემატიურად იხილავენ თავიანთ სხდომებზე იმ კითხვებს, რომელიც ტყით და მიწით სარგებლობასთან არის დაკავშირებული. კონფერენციის დადგენილებით მიმდინარე სამეურნეო წელს უნდა დამთავრდეს კოლექტიურ მეურნეობათა მიწების მოწყობა. კონფერენციის დადგენილებით, აგრეთვე დაუყოვნებლივ უნდა დაიშალოს მაზრაში არსებული ცრუ კოლექტივები და ყველა ისეთი გაერთიანებანი, რომლებშიაც კულაკები ირიცხებიან (ზემო-ქედი). დაშლილი ცრუ კოლექტივების სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, კანონის თანახმად, უნდა გადაეცეს [illegible]

ცხოველი კამათი გაიმართა კონფერენციაზე ღარიბთა კოოპერაციაში ჩაბმის და ღარიბებისათვის კოოპერატიული შეღავათების მინიჭების გარშემო. ლელიანის საბჭოს ღარიბთა ჯგუფის უპარტიო წევრმა შუბითიძემ განაცხადა: „ლელიანის საკრედიტო ამხანაგობა ყოველმხრივ ცდილობს სესხი ღარიბ გლეხს აარიდოს და შეძლებულს მისცეს. ამხანაგობა თავს იმით იმართლებს, რომ „ღარიბი დროზე ვერ დააბრუნებს სესხს". სხვა თემებიდან გამოსულ დელეგატებმაც აღნიშნეს, რომ ლელიანის მაგალითს ჩვენშიც აქვს ადგილი. საკრედიტო ამხანაგობებში ეს მავნე გადახრა დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

რაც შეეხება ღარიბთა გაერთიანებას კოოპერატივებში, ამ დარგში არსებულ მრავალ მიღწევებთან ერთად, აღმოჩნდა, რომ აქაც აქვს ადგილი დეფექტებს.

მაგალითად, კაკაბეთის თემში ღარიბთა სპეციალურ ფონდიდან კოოპერატივის წევრად ჩარიცხულია მხოლოდ 9 კაცი და საკრედიტო ამხანაგობას 28 [illegible]სიც ამ თემში 400 კომლი უღარიბესი გლეხი ცხოვრობს. ბაკურციხის საკრედიტო ამხანაგობაში არის 1000 მანეთი, რომელიც ღარიბების კოოპერატივში გაერთიანებისათვისაა მიჩნეული. ამ თანხით ერთი წლის წინად უნდა ჩატარებულიყო ბაკურციხეში ღარიბ გლეხთა ჩაწერა საკრედიტო ამხანაგობის წევრებად, მაგრამ ეს დღემდე არ შესრულებულა. აჯენის საკრედიტო ამხანაგობაში ღარიბთა ფონდიდან 80 მანეთი დღესაც უმოქმედოდ არის სალაროში. საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენლებმა ღარიბთა კონფერენციაზე განაცხადეს: „ღარიბთა ფონდში ზევრი თანხა გაცხადეს: და ჩვენს სამოქმედო რაიონში ამდენი ღარიბები არ არისო". ნამდვილად კი გამოაშკარავდა, რომ ზოგიერთ „კოოპერატორებს" არ სურთ ღარიბების „მუქთად" ჩაწერა კოოპერაციაში.

ყველა მოხსენებების მოსმენის შემდეგ კონფერენციამ განიხილა და დაამტკიცა სპეციალურ კომისიის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული ღონისძიებები ღარიბთა ჯგუფების შემდგომი მუშაობისათვის.

კონფერენცია ჩატარდა არაჩვეულებრივი აქტივობით და ინტერესით.

ა. ჭიჭუა.

კომკავშირში

აზერბეიჯანის კომკავშირის ყრილობა

ბაქო, 7 აპრილი. აზერბეიჯანის კომკავშირის ყრილობაზე განათლების სახ. კომისრის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 50 დელეგატზე მეტმა, რომლებმაც, უმთავრესად, აღნიშნეს სასკოლო განათლების ნაკლი მაზრებსა და სოფლებში. ისინი შეეხნენ უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ დეფექტებსაც: უპარტიო მასები სუსტად განიცდიან კომკავშირის გავლენას, უმაღლეს სასწავლებლებში ხშირად შედიან სპეკულიანტებისა და არამშრომელი ელემენტების შვილები და სხვ.

სუსტად სწარმოებს კულტურულ - განმანათლებელი მუშაობა კომკავშირელთა შორის, განათლების ორგანოები კი ამ საკითხს მცირე ყურადღებას აქცევენ.

სხვა დელეგატები შეჩერდნენ იმაზე, რომ განათლების კომისარიატი სუსტ ხელმძღვანელობას უწევს საქარხნო - საფაბრიკო სკოლებს, პროფტექნიკურ კურსებს და სხვ., არ არსებობს საჭირო სახელმძღვანელოები და ლიტერატურა მაზრებში, სუსტად არის დაყენებული აგრეთვე სასკოლო განათლების საქმე ეროვნულ უმცირესობათა შორის.

კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მამედ-ზადემ. მართალია, სოფლებში მომზადებული მასწავლებელი ცოტაა, მაგრამ განათლების კომისარიატი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს, რომ აღმოფხვრას ეს ნაკლი. 1920 წელს მასწავლებელთა შორის 97 პროცენტი დაბალი განათლებისა იყო, მაგრამ ეხლა ეს პროცენტი 48-დე ჩამოვიდა. ამჟამად მასწავლებელთა ახალი კადრების ენერგიული მზადება სწარმოებს. რასაკვირველია, პოლიტიკურ - განმანათლებელი მუშაობა მაზრებში ჯერ კიდევ მოისუსტებს, საჭიროა ამ მუშაობაში ჩავაბათ სოფლის ინტელიგენცია. წელს ვაპირებთ ჩვენი მუშაობის გაუმჯობესებას ქოხ - სამკითხველოებისა და კლუბების ხაზითაც. საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობაში დიდი აქტივობა მოსჩანს, მაგრამ ეს აქტივობა სათანადო კალაპოტში უნდა ჩავაყენოთ და მუშაობა დავუკავშიროთ სწავლა-განათლებას, აკადემიურ მხარეს — მაშინ ჩვენ გვეყოლება იდეოლოგიურად გაწრთობილი და პროლეტარულად აღზრდილი კვალიფიციური მუშაკები სასწავლებლების დამთავრების შემდეგ.

ყრილობის შემადგენლობა

საბოლოო სხდომა დაიწყო სხვადასხვა ორგანიზაციების მისალმებით.

შემდეგ მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება, საიდანაც გამოირკვა, რომ ყრილობაში მონაწილეობს 508 დელეგატი, აქედან მაზრებიდან — 298 კაცი. დელეგატების სოციალური შემადგენლობა: სამრეწველო მუშა — 44 პროც., მოჯამაგირე — 5 პროც., ღარიბი — 28,3 პროც., საშუალო შეძლების— 8,7 პროც., ხელოსანი — 1 პროც., დანარჩენი —13 პროცენტი. ეროვნული შემადგენლობა: თურქი — 65,8 პროც., რუსი — 19,5 პროც., სომეხი — 19,3 პროც., დანარჩენი — 4.4 პროცენტი. ყრილობას დაესწრო კომპარტიის წევრი 41,8 პროც., კანდიდატი — 20 პროცენტი.

არჩევნები

რეზოლუციების დამტკიცების შემდეგ ყრილობამ ჩამოაყალიბა მიმართვა აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკასადმი და მოხდა არჩევნები.

კომკავშირის ამიერ - კავკასიის ყრილობაზე სხდომამ ამოირჩია 177 დელეგატი გადამწყვეტის ხმით, 24 —სათათბირო ხმით. აზერბეიჯანის კომკავშირის ახალ ცეკაში შედის 53 წევრი და 16 კანდიდატი, რომელთაგან 14 დაზგის მუშაა, 3 — მოჯამაგირე და 3 გლეხი. სარევიზიო კომისიაში ამორჩეულია 7 წევრი და 2 კანდიდატი. კომკავშირის საკავშირო ყრილობაზე ამორჩეულია 23 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 6 — სათათბირო ხმით.

ყრილობა დაიხურა ამხ. ახუნდ-ზადეს საბოლოო სიტყვის შემდეგ, რომელმაც ჯამი გაუკეთა აზერბეიჯანის კომკავშირის მე-7 ყრილობის მუშაობას. (ადს)

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან--კვირამდე)

კენიგსბერგის კონფერენციის შემდეგ. — ეგვიპტის ბრძოლა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. — ინდოეთ - ავღანისტანის საზღვარზე. — საბჭოთა ნავთის გამარჯვება.

სულ რამოდენიმე დღის წინად დასრულდა პოლონეთ-ლიტვის კონფერენცია (კენიგსბერგში), რომელსაც უნდა მოეგვარებია მხარეთა შორის სადაო საკითხები. და ეხლა უკვე, როგორც უკვე იუწყება „ბერლინერ ტაგებლატტ"-ის ვარშაველი კორესპონდენტი, პოლონეთის მთავრობა საომარ სამზადისს აწარმოებს მომავალ ზაფხულზე ლიტვის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. თუმცა ამ ცნობას ვარშავაში ოფიციალურად უარყოფენ, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში პოლონეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას ლიტვის მიმართ და ამის დამადასტურებელ უამრავ ფაქტებს, ამ ცნობაში არაფერია მოულოდნელი. პოლონეთის ორიენტაციის მომხრე ლიტველ ემიგრანტების ორგანიზაცია ლიტვაში გადატრიალების მოსახდენად, ამ ემიგრანტთა ბანდების ხშირი თავდასხმები ლიტვის საზღვარზე, რაც ხდება პოლონელ ხელისუფალთა დახმარებით და წაქეზებით, პოლონეთის მიერ პურის შეძენა უცხოეთში, ფინანსიური კრიზისის ასაცილებლად პოლონეთის ფინანსიურ ბაზარზე საზღვარ-გარეთის ვალიუტის შესყიდვა პოლონეთის სახელმწიფო ბანკის მიერ, რასაც ხსენებული კორესპონდენტი გადმოგვცემს, და მრავალი სხვა მოწმობს, რომ პილსუდსკის მთავრობა ახალ ავანტიურისათვის ემზადება ლიტვის დასამონებლად.

მთელი ეს მზადება პირველ ყოვლისა მიზნად ისახავს ლიტვის მესვეურთა დაშინებას, რომ აიძულოს ისინი მაქსიმალურ დათმობებზე პოლონეთ- ლიტვის მოლაპარაკების დროს, კენიგსბერგის კონფერენციამ ამ მხრივ ნაყოფი ვერ გამოიღო. ამ კონფერენციის დღის წესრიგიდან პოლონეთის კატეგორიულ მოთხოვნით გამორიცხულ იქნა ძირითადი სადაო საკითხი პოლონეთის მიერ დაპყრობილი ვილნოს შესახებ. მის პირდაპირ წამოყენება კონფერენციის მარცხს აუცილებელს გახდიდა, რამდენადაც ლიტვა ვერ ურიგდება ვილნოს ჩამოგლეჯას თავის ტერიტორიიდან, ხოლო პოლონეთს გაგონებაც არ სურს ლიტვისათვის მის დაბრუნებაზე. პოლონეთის დელეგაცია სამაგიეროთ, ასე ვსთქვათ, შემოვლილი გზით შეეცადა ვილნოს დაპყრობის დაკანონებას. მან ყურადღების ცენტრი გადაიტანა ტეხნიკურ- ეკონომიურ საკითხებზე (საფოსტო და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, საბაჟო დამოკიდებულების მოგვარება, ნემანით ტყის გადაგზავნა და სხ.) მისი აზრით, ამ საკითხებზე შეთანხმებას დროთა მსვლელობაში თავის თავად მოჰყვება დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენა, ეხლანდელ ტერიტორიალურ სტატუსქვოს დატოვებით, ე. ი. ვილნოს აღიარება პოლონეთის კუთვნილებად. ამასთან, პოლონეთის მიერ წარმოდგენილ შეთანხმებათა პროექტი ისეა შედგენილი (მაგ. სახელმწიფო საზღვარის მაგივრად ნახმარია სიტყვა საბაჟო ხაზი, რაც არსებითად ერთსა და იმავეს ნიშნავს, და სხვ.), რომ ვილნოს ფარულად გულისხმობს პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად. ლიტვა კი მოითხოვს, რომ არავითარი შეთანხმება არ უნდა გავრცელდეს ვილნოზე.

კონფერენციაზე წამოყენებულ იქნა აგრეთვე საკითხები პოლონეთში ლიტველ ემიგრანტთა მუშაობის აღკვეთის, ვილნოს დაპყრობის დროს პოლონეთის მიერ ლიტვისთვის მიყენებულ ზარალის ანაზღაურების და სხვათა შესახებ. როგორც ამ, ისე სხვა საკითხებში მხარეთა წარმომადგენლებმა საერთო ენა ვერ გამონახეს. კონფერენციის მუშაობა შეწყდა. საქმე დამთავრდა სხვადასხვა კომისიების არჩევით საკითხების „შესასწავლად".

კონფერენციის ასეთი შედეგი ფარდას ხდის პილსუდსკის იმ სამხედრო მზადებას, რომლის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი. ამგვარად, პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა კვლავ რჩება ერთ-ერთ ისეთ საკითხად, რომელიც მუდმივ საშიშროებას წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის. საბჭოთა მთავრობა, რომელიც დაინტერესებულია მშვიდობიანობის განმტკიცებით და რომელიც დარაჯად უდგას ხალხთა დამოუკიდებელ არსებობას, იმ თავიდანვე ენერგიულ ზომებს ღებულობს აღნიშნულ საშიშროების ასაცილებლად. გ. წ. ზაფხულის დასაწყისში, როცა პოლონეთი აშკარად აპირებდა ლიტვის ოკუპაციას, ჩვენი მთავრობა გამოვიდა ცნობილი ნოტით, რომელმაც პოლონეთის იმპერიალიზმი აიძულა დროებით მაინც აეღო ხელი ავანტიურაზე. ამავე ნოტის გავლენით ერთა ლიგის საბჭომ მაშინ განიხილა პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი. ლიგის საბჭო, რომელიც საერთოდ უძლურია რაიმე მნიშვნელოვან საკითხის მოგვარებაში, უმწეო აღმოჩნდა ეს კონფლიქტიც გადაეჭრა. თუმცა ლიგაში გაბატონებული ინგლისი და საფრანგეთი მხარს უჭერენ პოლონეთის პრეტენზიებს, ვინაიდან ლიტვის დამოუკიდებლობა და საბჭოთა კავშირის მიერ მასთან დადებული საგარანტიო ხელშეკრულება ხელს უშლის მთლიანი— ანტი-საბჭოთა ფრონტის შექმნას,— მაგრამ ისინი აშკარად ჯერ-ჯერობით მაინც ვერ ბედავენ პოლონეთის მიერ ლიტვის დაპყრობისთვის კვერის დაკვრას. ამას აძნელებს საბჭ. კავშირის მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკა და ნაწილობრივ პოზიცია გერმანიის, რომელიც პოლონეთის გაძლიერების წინააღმდეგია. ლიგის საბჭომ მხოლოდ ურჩია პოლონეთ-ლიტვას დაეწყოთ უშუალო მოლაპარაკება „შეთანხმების" მისაღწევად.

როგორც იქნა, მათ შორის კონფერენციაც შესდგა, მაგრამ უშედეგოდ, მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისი უეჭველად გავლენას ახდენდა ლიტვაზე, რომ მას პოლონეთის მოთხოვნები მიეღო. ამ მიმართულებით ცდა კვლავ გაგრძელდება. ამავე დროს კი პილსუდსკი ისევ აპირებს ლიტვის მოთვინიერებას უფრო დამაჯერებელი არგუმენტით— სამხედრო მზადებით. ჩვენ არ ვამბობთ, რომ მათ შორის ომი ახლო მომავალში აუცილებლად მოხდება,— ამისათვის პოლონეთს არ მოეპოვება ხელსაყრელი შინაური და საერთაშორისო პირობები. მაგრამ ეს გარემოება მშრომელთა სიფხიზლეს ვერ მოადუნებს იმ საფრთხის მიმართ, რომელსაც მშვიდობიანობისათვის წარმოადგენს პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის მოუწესრიგებლობა და პილსუდსკის იმპერიალიზმი.

⁂

ეგვიპტეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით. ის იმყოფება ევროპასა, აზიასა და აფრიკის შემაერთებელ გზებზე. მათგან უმთავრესია სუეცის არხი, რომელიც ინგლისს ინდოეთთან აკავშირებს. ამას გარდა, ეგვიპტეს მრავალი სიმდიდრეც მოეპოვება (ბამბა და სხ.) აქედან გასაგებია, რომ ინგლისის იმპერიალიზმი განსაკუთრებულ „მზრუნველობას" იჩენს ამ ქვეყნის მიმართ. თუმცა მსოფლიო ომამდე ეგვიპტე ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ოსმალეთის მიმართ, მაგრამ ფაქტიურად მას ფლობდა ინგლისი, რომელმაც 1882 წ. მოახდინა მისი ოკუპაცია. 1914 წ. ინგლისმა ფორმალურადაც განამტკიცა ეგვიპტეზე თავისი ბატონობა მასზე თავისი პროტექტორატის დაწესებით.

ნაციონალურ მოძრაობის ზრდის გავლენით ლონდონი 1922 წ. იძულებული შეიქნა ეგვიპტე „დამოუკიდებელ" სახელმწიფოდ ეცნო, მაგრამ ამით არსებითად არ შეცვლილა ოკუპაციის რეჟიმი. თვით „დამოუკიდებლობის" დეკლარაციაში გამოყოფილ იქნა მთავარი საკითხები, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ეგვიპტის თავისუფალი არსებობისათვის და რომლებიც შემდეგში უნდა მოგვარებულიყო მხარეთა შეთანხმებით. ეს საკითხებია: 1) საიმპერიო გზების უშიშროება, 2) ეგვიპტის „დაცვა" სხვა სახელმწიფოთა ჩარევის, და თავდასხმისაგან, 3) უცხოელ მოქალაქეთა და უცხოელ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვა, 4) სუდანის საკითხი. ამ საკითხების გამგებლობა მთლიანად დარჩა ინგლისის ხელში და ეგვიპტე კვლავ დამონებულ ქვეყანას წარმოადგენდა.

ეგვიპტეში თანდათან ძლიერდებოდა ანტიბრიტანული მოძრაობა, რომელმაც 1924—25 წ. თითქმის მასიურ აჯანყებების ხასიათი მიიღო. ამან გაუგონარი რეპრესიები გამოიწვია. ბოლო წლებში ლონდონ-კაირო შორის მოლაპარაკება წარმოებდა „საკავშირო" ხელშეკრულების დასადებად. ეს ხელშეკრულება, რომელიც გამომუშავებულ იქნა კონსერვატორების მთავრობის მიერ, შემდეგ ძირითად დებულებებს შეიცავს: ინგლისს უფლება ენიჭება ეგვიპტეში თავისი ჯარები იყოლიოს; ეგვიპტეს ევალება თავისი სამხედრო ძალებით დაეხმაროს ინგლისს, თუ უკანასკნელს ვინმესთან ომის წარმოება მოუხდება; ეგვიპტის არმიის ინსტრუქტორებად აუცილებლად ინგლისის ქვეშევრდომნი უნდა იყვნენ; ეგვიპტის მთავრობა ვალდებულია ფინანსიური და იურიდიული მრჩეველები მოიწვიოს ინგლისის მთავრობასთან შეთანხმებით; ინგლისს ეკისრება უცხოელთა ინტერესების უზრუნველყოფა ეგვიპტეში; სუდანში რჩება ეხლანდელი რეჟიმი; ე. ი. მისი მფლობელი ისევ ინგლისი უნდა იყოს,სუდანი იმყოფება მდინარე ნილოსის სათავეში და იმ სახელმწიფოზე, რომლის ხელშიც ის არის, სავსებითაა დამოკიდებული ეგვიპტის მორწყვის საქმე, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნის მეურნეობისათვის.

ამნაირად, ეს „საკავშირო" ხელშეკრულება ჰგულისხმობს ეგვიპტის გადაქცევას ინგლისის სრულ კოლონიად. გასაგებია, რომ მან საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია მთელ ეგვიპტის ხალხში. ამის გავლენით ეგვიპტის მთავრობამ და პარლამენტმა ერთხმად უარყვეს ხსენებული ხელშეკრულება. ეგვიპტელთა ასეთ „თავხედობას" ლონდონი აბა როგორ შეურიგდებოდა. ცნობილი ხიკსი „გონიერებისაკენ" მოუწოდებდა ეგვიპტელებს და ურჩევდა მათ ანგარიში გაეწიათ „რეალურ მდგომარეობისათვის", ე. ი. ინგლისის იმპერიალიზმის მუშტისათვის, ხოლო ჩემბერლენი უტიფრად აცხადებს: „მე ვწუხვარ, რომ დამარცხდა პატიოსანი და დიდსულოვნური(!) ცდა შეგვეგუებია პრინციპები, რომლებითაც ეგვიპტე ხელმძღვანელობს,და მისი მისწრაფებები ბრიტანეთის იმპერიის სასიცოცხლო საჭიროებებთან. ხელშეკრულების უარყოფა წარმოადგენს უფრო მეტ უბედურებას ეგვიპტისათვის, ვინემ ინგლისისათვის", ხელშეკრულების უარყოფის გამო ეგვიპტისადმი გაგზავნილ ნოტაში ჩემბერლენი იმუქრება ისეთ ზომების მიღებას, რომლებსაც შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს, კერძოთ აუქმებს ეგვიპტის კანონებს, რომლებიც მიმართულია ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ.

საპასუხო ნოტაში ნახას-ფაშას მთავრობა ილაშქრებს ინგლისის ჩარევის წინააღმდეგ ეგვიპტის შინაურ საქმეებში. როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისის იმპერიალისტები ასეთ პასუხს გაცოფებით შეხვდენ. „დეილ-ექსპრეს"—სწერს:

„ნოტა წარმოადგენს არა ორ აზროვან გამოწვევას, რაზედაც ასეთივე არაორაზროვანი პასუხი უნდა იქნეს გაცემული"-ო. ამგვარად ინგლის- ეგვიპტის ურთიერთობა უაღრესად გამწვავებულია. თქმა არ უნდა, ეგვიპტის ეხლანდელი მესვეურები ბოლომდე ვერ მიიყვანენ ბრძოლას ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ნაციონალურ-ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც ეგვიპტეს სათავეში უდგას, უეჭველად შეეცდება კონფლიქტის კომპრომისით მოგვარებას, კომპრომისით, რომელიც რამოდენიმედ გააფართოებს მის უფლებებს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. მაგრამ ფართე მასები უკვე ამოძრავებული არიან და სწორედ ისინი გადაწყვეტენ თავის ქვეყნის სრულ განთავისუფლების საკითხს. ამ ბრძოლაში ისინი მარტო არ არიან მასთან ერთად ლონდონელ ავაზაკების წინააღმდეგ გაიბრძვის მთელი დანარჩენი აღმოსავლეთი, რასაც არ შეიძლება არ მოყვეს უკვე საკმაოდ შერყეულ ინგლისურ იმპერიალიზმის დამხობა.

⁂

ინგლისის იმპერიალიზმი სხვაგანაც იჩენს აქტივობას. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს მისი სამხედრო მზადება ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარზე, რის შესახებ უკანასკნელ დროის დეპეშები იუწყებიან. ეს მზადება დიდი ენერგიით და აშკარად სწარმოებდა მთელი 1927 წლის განმავლობაში. აშენებდნენ სიმაგრეებს, აწყობდნენ ავიო-ბაზებს, გაჰყავდათ სტრატეგიული გზები, ადიდებდნენ შეიარაღებულ ძალებს. ინგლისელი იმპერიალისტები ამ თავის ღონისძიებებს უმთავრესად იმით ამართლებდნენ, რომ თითქო საბჭოთა კავშირი აპირებს ავღანისტანის დაპყრობას, შემდეგ ინდოეთში შეჭრას და საჭიროა ავღანისტანის და ინდოეთის დაცვა საბჭოთა „იმპერიალიზმისაგანო". ზედმეტია ამ სიცრუის გაბათილება; ვინაიდან ყველასთვისაა ცნობილი, რომ საბჭოთა მთავრობა ყველა ხალხის და მათ შორის ავღანისტანის ხალხის დამოუკიდებლობის სადარაჯოზე სდგას და რომ სწორედ ინგლისი ცდილობს ავღანისტანის დამონებას.

ეხლა ლონდონელი პირატები კიდევ ახალ „არგუმენტს" აყენებენ ავღანისტანის საზღვარზე თავის სამხედრო მზადების ასახსნელად. ავღანისტანსა და ინდოეთ შუა მდებარეობენ სხვადასხვა დამოუკიდებელი ტომები. —ეს ტომები თავდასხმას ახდენენ ინდოეთის მოსახლეობაზე და აუცილებელია აქ მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის ჯარების გაძლიერებაო. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ცნობა ხსენებულ ტომების მხრით თითქო არსებულ საშიშროების შესახებ მოგონილია, რა საჭიროა ამოდენა მზადება უიარაღო და სუსტ მოსახლეობის „თავდასხმების" ასაცილებლად.

ნამდვილად კი საქმის ვითარება, რა თქმა უნდა, სულ სხვანაირია. ავღანისტანთან წარმოებულ ომებმა ინგლისი დაარწმუნა, რომ აღნიშნული ტომები, რომელნიც წარმოშობით, ყოფა-ცხოვრებით და სხვა მხრივ მეტ წილად ავღანისტანთან არიან დაკავშირებულნი, უკანასკნელს უჭერენ მხარს, ავღანისტანთან მომავალ ომის შემთხვევაში ინგლისს, მაშასადამე, ზურგი არ ექნება გამაგრებული. ამიტომ მისი მიზანია ამ ტომების წინასწარ დამორჩილება, რომ ინგლისმა ადვილად შესძლოს ავღანისტანის დაპყრობა.

ავღანისტანის დამოუკიდებლობას, რომელიც მოპოვებულ იქნა ინგლისთან ხანგრძლივი ომის შემდეგ, ლონდონი ვერ ურიგდება. ეს პირველი იმიტომ, რომ ბუნებით მდიდარ ავღანისტანის სახით მას გემრიელი ლუკმა აქვს დაკარგული, მეორე იმიტომ, რომ ავღანისტანის დამოუკიდებლობა აღმოსავლეთის სხვა დაჩაგრულ ხალხებისათვის სტიმულს წარმოადგენს ინგლისის უღლისაგან განსათავისუფლებლად, მესამე იმიტომ, და ეს მთავარია, დამონებული ავღანისტანი ლონდონს ესაჭიროება, როგორც ბაზა საბჭოთა კავშირზე გასალაშქრებლად.

საგულისხმო ის არის, რომ ინგლისი სამხედრო მზადებას აგრძელებს ავღანისტანის საზღვარზე მაშინაც კი, როცა ავღანისტანის ფადი-შაჰი ლონდონში იმყოფება და როცა მას ჩემბერლენი მეგობრობას ეფიცება. ეს გვიჩვენებს, რომ ინგლისის იმპერიალიზმმა ვერ მიაღწია თავის ზრახვების განხორციელებას ამანულასთან მოლაპარაკებიდან და ის ცდილობს უფრო „დამაჯერებელი" არგუმენტებით მოახდინოს ზეგავლენა ავღანისტანის მმართველებზე.

ეს გარემოება ავღანისტანის ხალხს უფრო დაარწმუნებს, რომ აუცილებელია შემდეგშიც მედგარი ბრძოლის წარმოება ინგლისის იმპერიალიზმთან და უფრო მჭიდრო კავშირის გაბმა საბჭოთა სახელმწიფოსთან, რომელმაც ხელი შეუწყო მის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას.

⁂

ცნობილია, თუ რა განგაში ასტეხა ამ რამოდენიმე თვის წინეთ ინგლისის სანავთო კომპანია „როიალ დეჩ შელი"-ს მეთაურმა დეტერდინგმა იმის გამო, რომ ამერიკულმა სანავთო ტრესტმა „სტანდარტ ოილ"-მა საბჭოთა სანავთო სინდიკატთან ხელშეკრულება დასდო საბჭოთა ნავთის დიდი რაოდენობის შესყიდვის შესახებ. დეტერდინგი „მორალისა" და „კულტურის" სახელით გამოდიოდა და კიცხავდა „სტანდარტ ოილ"-ს, რომელიც საბჭოთა „ნაქურდალ" ნავთით იწყებდა ვაჭრობას. დეტერდინგის ამ მორალის მთელი აზრი მდგომარეობს, ჯერ ერთი, იმაში, რომ ინგლისის იმპერიალიზმი მოწადინებულია საბჭოთა კავშირის ეკონომიურ გარიყვას, მის ურთიერთობის მოსპობას დანარჩენ ქვეყნებთან, რასაც უნდა მოჰყვეს სოციალისტური მშენებლობის შეფერხება: დეტერდინგის კამპანიის მეორე მიზეზი ისაა, რომ მას საფუძვლიანად ეშინია საბჭოთა ნავთის კონკურენციის, მართლაც, ჩვენი ნავთი, რომელსაც, გარდა სათანადო საბჭოთა ორგანოების, უცხოეთში გარკვეულ ხელშეკრულების ნიადაგზე ასაღებს „სტანდარტ ოილი", მთელ რიგ ბაზრებზე უკვე ამარცხებს „როიალ-დეჩ"-ს.

ინგლის- ამერიკის სანავთო კომპანიებს შორის ბოლო დროს სწარმოებდა მოლაპარაკება შეთანხმების მიღწევის შესახებ. დეტერდინგის აზრით, ამ შეთანხმებას უნდა გამოეწვია საბჭოთა ნავთის განდევნა მსოფლიო ბაზრიდან, ან, ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა ნავთის გასაღების საქმეში ჩვენთვის არა ხელსაყრელ პირობების შექმნა, მაგრამ ეს ცდა სრული დამარცხებით დამთავრდა. კვლავ გაჩაღდა ბრძოლა ამ ორ სანავთო გაერთიანებათა შორის. აღსანიშნავია, რომ „სტანდარტ ოილ"-მა ახალი ხელშეკრულება დასდო ჩვენს სანავთო სინდიკატთან მისთვის ნავთის მიწოდების შესახებ, ამ ნავთს ის გაიტანს ეგვიპტეში, სამხრეთ- აფრიკაში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში, სადაც ინგლისიც გამოდის ნავთის გამყიდველად.

საქმეში ერევა ინგლისის მთავრობა და აპირებს მაღალი ტარიფის დაწესებას მის სამფლობელოებში შემოზიდულ უცხოელ ნავთზე, რომ დეტერდინგის ტრესტი დაიცვას საბჭოთა იაფი ნავთის კონკურენციისაგან. ამერიკის მთავრობასაც გადაწყვეტილი აქვს როკფელერის ჯგუფს ზურგი გაუმაგროს დეტერდინგთან ბრძოლაში.

ყველაფერი ეს მოწმობს ერთი მხრით ინგლის-ამერიკის კაპიტალის შეურიგებლობას, მეორე მხრით იმას, რომ უნაყოფოა იმპერიალისტების ცდა მიმართული საბჭოთა კავშირის იზოლაციისაკენ. ამასთან საყურადღებო ის არის, რომ საბჭოთა ნავთი თვით ინგლისშიც; სადაც მას ჩვენ უშუალოდ ვასაღებთ თანდათან იპყრობს ახალ პოზიციებს. საბჭოთა ნავთი ამარცხებს დეტერდინგს მის საკუთარ სამშობლოშიც.

ვ. კ—ლი.

საგაზაფხულო თესვის კამპანია

თესვის კამპანია მაზრებში

ზუგდიდის მაზრა

მოსამზადებელი კამპანია გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად დამთავრებულია. ყანები დაწმენდილი და დანეულებულია. სათესი მასალის ნაწილი—სიმინდი, ქერი, ხორბალი, ღომი მომარაგებულია. ზუგდიდის მაზრაში წელს ითესება აგრეთვე ბამბა და კანაფი. ამ კულტურებზე თესლი მაზრას საკმაოდ მოეპოვება. აგრონომიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გლეხებმა მოახდინეს სათესი მასალის დახარისხება და დეზინფექცია. მიწის დამუშავება მაზრაში სწარმოებს ისევ პრიმიტიული წესით. მიმდინარე თესვის კამპანიისათვის მაზრაში აღრიცხულია 2.500 გუთანი, 60 სიმინდის სათესი მანქანა, 80.000 თოხი, 300 რკინის ფარცხი, 8.000 ვერმორელის აპარატი და 4 მთიბავი მანქანა. სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებიდან ზუგდიდის მაზრას მიმდინარე თესვის კამპანიისათვის ეძლევა 300.000 მანეთი, რომელიც განაწილდება საკრედიტო ამხანაგობებს შორის გლეხებზე სესხად დასარიგებლად.

შორაპნის მაზრა

შორაპნის მაზრაში ამჟამად შემდეგი მუშაობა მიმდინარეობს: სამაზრო აღმასკომის აგრონომიული განყოფილების მიერ რემონტი უკეთდება საწყობში თავმოყრილ ყველა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და მანქანებს. მანქანა-იარაღების ნაწილი უკვე გაგზავნილია სასოფლო-სამეურნეო პუნქტებზე, საიდანაც იარაღები დროებით სახმარებლად უსასყიდლოდ მიეცემა ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას. ალაგ-ალაგ აგრონომიულ პუნქტებზე მიმდინარეობს ლექცია-საუბრები თესლის შერჩევის, დახვნის და მეურნეობის გაუმჯობესებული წესებით წარმოების შესახებ. აგრონომებს დავალებული აქვთ აგრეთვე სოფლებში ჩაატარონ საჩვენებელი ხვნა-თესვა. თესვის კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები, რომელნიც უმთავრესად კისრულობენ გლეხობისათვის სათესლე მასალის მიწოდებას. ამ მიზნით საკრედიტო ამხანაგობასაგან „სოფლის კავშირის“ დაკვეთილი აქვს ორი ვაგონი სიმინდი. თესლის ნაწილი უკვე მიღებულია. უკანასკნელ კვირაში თბილი ამინდის გამო შორაპნის მაზრის დაბლობ ნაწილში დაიწყო ყანების ხვნა-თესვა.

ქუთაისის მაზრა

მთელს მაზრაში საგაზაფხულო თესვის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომკავშირის ორგანიზაციები, რომლებმაც ზოგიერთ თემებში გადასწყვიტეს კოლექტიური წესით დაამუშაონ ქვრივ-ობლებისა და ღარიბ გლეხების მიწები თავის საკუთარი სამეურნეო იარაღებით. სოფელ დიდჯიხაიშსა, ეწერსა და გორის თემებში კომკავშირის ორგანიზაციები უკვე შეუდგენ მიწების დამუშავებას. კომკავშირის ინიციატივით აგრონომები და მასწავლებლები სოფლის სამკითხველოებში აწყობენ ლექცია-საუბრებს თესვის კამპანიის მორიგ ამოცანების შესახებ. თესვის ახალ მეთოდებთან გაცნობის მიზნით ეწყობა გლეხების ექსკურსიები საჩვენებელ მიწის ნაკვეთებზე.

თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად სამაზრო კომისია სხვადასხვა რაიონებში გზავნის მოძრავ კინოს, რომელიც მოაწყობს სასოფლო-სამეურნეო ხასიათის სურათების დემონსტრაციას. რასაც წინ წაემძღვარება ადგილობრივ მომუშავე აგრონომების მოხსენებები.

ბამბის დასათეს მიწების გაფართოების მიზნით, სამაზრო კომისიამ ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა მაზრაში ოცი ათასი ფუთი სიმინდის შემოტანის შესახებ იმ გლეხებს შორის გასანაწილებლად, რომელნიც მებამბეობას მისდევენ. სიმინდი გლეხებს დაურიგდებათ შეღავათიან ფასებში (ფუთი მანეთ ნახევრად).

ახალციხის მაზრა

თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამაზრო სამეულისაგან ახალციხის მაზრის ყველა თემებზე მიმაგრებული არიან აგრონომები, რომელთაც დაკისრებული აქვთ პასუხისმგებლობა თესვის კამპანიის ჩატარებისათვის. ამ რამოდენიმე დღის წინად გაიხსნა ორი ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტი სოფელ ბარალეთში და ოჯანში. კომისიის მიერ წარმოებულ მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ დაგვიანებული გაზაფხული მთელ რიგ რაიონებს უკვე საშუალებას არ აძლევს მიმდინარე წელს დასთესოს პურეული მცენარეულობა. მიიღო რა ეს გარემოება მხედველობაში, კამპანიის ჩამტარებელ სამაზრო კომისიამ აგრონომიულ პერსონალს დაავალა დაუყოვნებლივ გამოარკვიოს, თუ რა კულტურები შეიძლება დაითესოს პურეულის მაგივრად.

კოლექტიური მეურნეობანი და თესვის კამპანია

თელავის მაზრა

მიმდინარე თესვის კამპანიისათვის თელავის მაზრაში აღრიცხულია მევენახეთა 20 კოლექტიური მეურნეობა, რომელნიც აერთიანებენ 750 ოჯახს. კოლმეურნეობათა ნაყოფიერ მუშაობას აბრკოლებს მიწის მოუწყობლობა. კოლექტივების განკარგულებაში მყოფ მიწების დიდი ნაწილი გაფანტულია და მოყოლილია კერძო მეურნეთა მიწებს შორის. ეს გარემოება კოლმეურნეობებს საშუალებას არ აძლევს ფართოდ და მოხერხებით გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო იარაღები. კოლექტივებმა სამაზრო აღმასკომების წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რომ დაჩქარებითი წესით ჩატარდეს კოლექტივების მიწადმოწყობა. ჯერ-ჯერობით მიწადმოწყობა ჩატარებულია სოფელ ახმეტის კოლექტივებში. ამ მოკლე ხანში დაიწყება მუშაობა მიწის მოსაწყობად ხოდაშენის, ქისტაურის, ყვარელისა და ნაფარეულის კოლექტივებში.

სიღნაღის მაზრა

წნორის რაიონში მოეწყო სამანქანო ამხანაგობა, რომელშიაც შეკავშირებული არიან ახლო-მახლო სოფლების ღარიბი გლეხები. ჯერ-ჯერობით ამხანაგობას აქვს რამოდენიმე სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ერთი ტრაქტორი და ერთი სალეწი მანქანა. მიმდინარე თესვის კამპანიის პერიოდში ამხანაგობას განზრახული აქვს დაამუშაოს კოლექტიური წესით 80 დესეტინა მიწა. ამხანაგობასთან მოწყობილია სამჭედლო-სარემონტო სახელოსნო სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებლად.

თამბაქოს ნათესების სივრცის გადიდება

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე გარჩეულ იქნა მიმდინარე წლის თამბაქოს ნათესების სივრცის საკითხი.

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, მიმდინარე წლისათვის თამბაქოს ნათესების სივრცე განსაზღვრულია აფხაზეთისთვის 8.000 დესეტინით და ამიერ-კავკასიის დანარჩენ რაიონებისთვის—700 დესეტინით.

ამავე დროს, საქართველოს მეთამბაქოებს ადგილობრივ და საკავშირო მრეწველობისა და ექსპორტიორებისაგან მიღებული აქვს მტკიცე დაკვეთები თამბაქოს მომავალ მოსავალზე: 600.000 ფუთ აფხაზეთის თამბაქოზე და 145.000 ფუთ დანარჩენ რაიონების თამბაქოზე. ამ დაკვეთების შესასრულებლათ საჭიროა თამბაქოთი დაითესოს: აფხაზეთში 12 ათასი დესეტინა, ხოლო საქართველოს დანარჩენ რაიონებში 2.000 დესეტინა.

სხდომაზე აღნიშნულ იქნა, რომ გასულ წელს, წინა წლებთან შედარებით, თამბაქოს ნათესების სივრცე შემცირებული იყო და ამის გამო დაუკმაყოფილებელი დარჩა მოთხოვნილების საგრძნობი ნაწილი.

თამბაქოს კულტურის შემცირება საგეგმო კომისიამ სცნო დაუშვებლათ და დაადგინა: მიმდინარე წელს თამბაქოს ნათესების სივრცე აყვანილ იქნას: აფხაზეთში 12.000 დესეტინამდე, ლეჩხუმში 1.200 დესეტინამდე, სამეგრელოში 450 დესეტინამდე, გურიაში 200 დესეტინამდე და აჭარისტანში 150 დესეტინამდე.

ამ გეგმის შესრულება საგეგმო კომისიამ შესაძლებლად სცნო იმ პირობით, თუ მეთამბაქოები უზრუნველყოფილი იქნება კრედიტებით. კრედიტების რაოდენობა, საგეგმო კომისიის დადგენილებით, განსაზღვრულია დესეტინაზე: აფხაზეთისთვის 270 მანეთით და საქართველოს დანარჩენ რაიონებისათვის—300 მანეთით. ამრიგად კრედიტი საჭირო იქნება: აფხაზეთისთვის 3.240.000 მან. და დანარჩენ რაიონებისათვის 600.000 მანეთის რაოდენობით.

კრედიტის პირველი ნაწილი გაცემული უნდა იქნეს აპრილის დამლევამდე.

ბამბის თესვა

ამიერ-კავკასიაში თესვის კამპანიის რწმუნებულმა ამხ. ბაგირაშვილმა მიმართა თესვის კამპანიის ჩამტარებელ ყველა რესპუბლიკანურ კომისიებს წინადადებით—სასწრაფოდ იქნეს დამუშავებული მებამბეობის რაიონებში ბამბის თესვის გეგმები. გეგმების დამუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ რესპუბლიკების მიწადმოქმედების კომისარიატებმა და მებამბეობის ორგანოებმა.

ბამბის სათესი სივრცის სავსებით გამოსაყენებლად და ახალი ნაკვეთების დასათესად ბამბის თესლით, ადგილები სასწრაფოდ უნდა შეუდგენ მოსარწყავი სისტემების შეკეთებას წყლით სარგებლობის საკითხის მოწესრიგებას და ყველა იმ სამუშაოების შესრულებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ საგაზაფხულო თესვის კამპანიის შესაფერად ჩატარებას.

ა.-კ. თესვის კამპანიის რწმუნებულის ხელმძღვანელობით ახლო ხანში მოწვეული იქნება სპეციალური თათბირი ბამბის ნათესების მავნებლებთან ბრძოლის საკითხებზე. ადგილებმა აღნიშნული თათბირისათვის უნდა წარმოადგინონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა და რა მავნებლები გავრცელებული მებამბეობის რაიონებში და ან რა ზომებს ღებულობდენ დღემდე აღნიშნულ მავნებლებთან საბრძოლველად. მავნებლებთან ბრძოლის გეგმები დამუშავებული უნდა იქნას დამოუკიდებლად საგაზაფხულო თესვის დამთავრებამდე.

აფხაზეთში

სოხუმი, 7 აპრილი. მზადება გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის აფხაზეთში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მაზრებში მოწყობილია სას.-სამ. მანქანების გამქირავებელი ცხრა პუნქტი. საბჭოთა მეურნეობა — „მე-3 ინტერნაციონალთან“ მოწყობილია ტრაქტორების რაზმი. აფხაზეთის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატიულმა კავშირმა გლეხებში განაწილა 23.000 მან. ბოსტნეულის და 5.890 კილოგრ. აბრეშუმის თესლი. გაგრის და კოდორის მაზრებში სანერგეებისათვის გამოწერილია 200.000 თუთის ხის ნერგი. სახალხო მამულების ტრესტი აშენებს თუთის დიდ სანერგეს. მეთამბაქოეთა კავშირის მიერ მოწყობილია 14 სანერგე გუდაუთში, გაგრაში, ბიჭვინთაში, დრანდაში და სოხუმში. პლანტატორებისათვის სამსუნის ჯიშის თამბაქოს ნერგების დასარიგებლად. განზრახულია 127.400.000 ცალი ნერგის დარიგება. პლანტატორებს შორის, გარდა ამისა, განაწილდა 14.000 ნარინჯის ნერგი, 10.000 — შავ ქლიავის, 5.000 ლეღვის და 500 ვაშლის ნერგი. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა გააფართოვა ხეხილის სანერგე, სინოპში სახალხო მამულების ტრესტი აწყობს ხეხილის სანერგეს 16 დესეტინაზე. ეს სანერგე ყოველწლიურად გამოუშვებს 200.000 ნერგს. გლეხებში განაწილდა 316.000 კილო სუპერფოსფატი, 25.000 კილო ჩილის გვარჯილა და 8.300 კილო სახუქის ბალახების თესლი. სერიოზული ყურადღება მიექცა ღარიბი გლეხების დახმარების საქმეს. აფხაზეთის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატიული კავშირი ღარიბ გლეხებზე აქირავებს მანქანებს შეღავათიან პირობებში — 50 პროც. დაკლებით. მეთამბაქოეთა კავშირი ღარიბებს თამბაქოს ნერგების 10 პროც. უფასოდ აძლევს. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი აწარმოებს მუშაობას ღარიბ გლეხთა კოლექტივების მოსაწყობად. აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ღარიბ გლეხებს მისცა 100.000 მან. კრედიტი მუშა საქონლის შესაძენად. (ადს)

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

მიმდინარე საანგარიშო კამპანიამ გამოაცოცხლა სექციების მუშაობა

კარგად მუშაობდენ ზესტაფონის, საწირის და იანეთის საბჭოთა სექციები

ზესტაფონის საბჭო

(წერილი ზესტაფონიდან)

კულტურულ - განმანათლებელი სექცია

სექცია ჩამოყალიბდა გასული წლის მაისის ბოლო რიცხვებში. გაზაფხულის პერიოდში მუშაობა შეფერხებული იყო, ვინაიდან სექციის წევრების უმრავლესობა წასული იყვნენ ქალაქიდან. საანგარიშო პერიოდში სექციას ჰქონდა 8 სხდომა. გაირჩა—24 საკითხი: განხილულ საკითხებიდან შესრულებულია: საბავშვო ბაღის კეთილმოწყობა, სასოფლო-სამეურნეო სკოლის ბინით და მიწის ნაკვეთებით უზრუნველყოფა, ქალაქის სამკითხველოს განტვირთვა და სათანადო ლიტერატურით უზრუნველყოფა, ჭრა-კერვის სკოლის და ზესტაფონის 4 წლედის გამოკვლევა, საკავშირო სასკოლო აღწერაში აქტიური მუშაობა და სხვა.

საფინანსო - საგადასახადო სექცია

სექციაში ითვლება 7 წევრი. სექციამ ფაქტიურად მუშაობა დაიწყო 1927 წლის მაისიდან, საანგარიშო პერიოდში სექციის სხდომა ჩატარებულია 8-ჯერ. სამაზრო საგადასახადო სექციასთან გაერთიანებული კი—3-ჯერ. სულ გარჩეულია საკითხები—144. მათ შორის ორგანიზაციული—10 და სხვადასხვა კი—134. საკითხები საერთოდ ეხებოდა არა სწორ დაბეგვრას, გადასახადების შემცირებას და სხვა. გადასახადების სწორად განაწილებისათვის სექციის ინიციატივით ქალაქი დაყოფილ იქნა უბნებად. შედეგი სექციის მუშაობისა ის არის, რომ 1926—27 წ. ზესტაფონში სამეურნეო გადასახადი უდრიდა—250 მან. 46 კაპ. 1927—28 წელში კი—1.[illegible]4 მან. გადიდდა. საგადასახადო კომისიამ ჩაატარა შენობების ახალი აღრიცხვა და მოახდინა მისი შეფასება სახელმწიფო დაზღვევის ნორმების მიხედვით. შეჯამებული ღირებულება შენობების უდრის—2.340.425 მან. სექციამ ყურადღება მიაქცია საიჯარო მიწების გამოყენებას, რაზედაც დაწესებული იქნა ნიხრი ქალაქის შინა უბანში 6 კვად. მეტრზე 6 კაპ. გარე უბანში—იგივე სივრცის მიწაზე 3 კაპ.

სავაჭრო-სამრეწველო ნაგებობების ფართობზე შინა უბანში ერთ კვად. მეტრზე—25 კაპ. და გარე უბანში—15 კაპ. სექციამ ყურადღება მიაქცია შრომისა და ომის ინვალიდებს. თუ 1926—27 სამეურნეო წელში 1—2—3 ჯგუფის შრომისა და ომის ინვალიდები თავისუფლდებოდენ ადგილობრივ გადასახადისაგან—65 პროცენტით, ხოლო დანარჩენი 25 პროც., 1927—28 სამ. წელში სასოფლო-საგადასახადო კომისიამ გაარჩია ეს საკითხი და მიიღო შემდეგი დადგენილება: 1-2-3 ჯგუფის ომის ინვალიდები განთავისუფლებულნი იქნებიან სრულიად და დანარჩენები კი 50 პროცენტით. სექცია სხვადასხვა განცხადებების განხილვის დროს მხედველობაში იღებდა თვითეულ განმცხადებელის სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას.

რა უნდა გააკეთოს მომავალში

ყურადღება უნდა მიექცეს ელექტრო-განათების სახადის დროულად გადახდას მოსარგებლე პირთა მიერ, ქალაქის განკარგულებაში ყველა საიჯარო მიწების წესიერად გამოყენების საქმეს, ქალაქის ბიუჯეტში არ მოხდეს გაუთვალისწინებელ ხარჯების გაწევა გათვალისწინებულ ხარჯის ანგარიშში, პერიოდულად უნდა ისმინებოდეს მოხსენებები სექციის მუშაობის მომავალ 1928—29 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს სექციამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს არა საწარმოო ხარჯების მაქსიმალურ შეკვეცას და საწარმოო ხარჯების გადიდებას.

მ. ზვიადაძე.

საწირის საბჭო

(ქუთაისის მაზრა)

(წერილი ტყიბულიდან)

საწირის თემის საბჭოსთან შემდეგი სექციები არსებობს: საგზაო, საამშენებლო, კულტურულ-განმანათლებელი, საფინანსო, სამეურნეო და კოოპერატიული.

აღნიშნული სექციების მუშაობა 1927 წლის 22 თებერვლიდან 1928 წლის მარტის თვის ბოლო რიცხვებამდე გამოიხატება შემდეგში:

საგზაო სექცია

საგზაო სექციაში გამოყოფილია 31 კაცი, პირველივე სხდომის თანავე არჩეული იქნა ბიურო და შესდგა სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც გაირჩა 12 საკითხი ოთხ სხდომაზე. გარჩეული საკითხები ყველა გატარებულია ცხოვრებაში და თვალსაჩინოთ გაკეთებულია: ხიდები მდ. წყალწითელაზე, ხვიპრზე, ქალაზე, შეკეთებული იქნა სოფ. ტყიბულში ძველი ხიდი, გაყვანილია გზა დაბა ტყიბულში და შეკეთებულია თემის ყველა სოფლებში გზები.

ხსენებულ სექციის მუშაობაში შემჩნეულია ნაკლი, რაც გამოიხატება სოფლად გზების არა კარგად შეკეთებაში, ხიდების მთლიანად დაუმთავრებლობაში (მდ. ხვიპის) და სხვა, მაგრამ სექციას ამაში ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ გლეხობას გაზაფხულის პერიოდში არ შეეძლო გზების და ხიდების კეთებას [illegible] შემოსავლის შემცირდ, რომლებსაც უკვე დრო იყო ახეთი საქმეების კეთებისა და გლეხობაც მოცლილი იყო, ადრე [illegible] ამინდმა და დიდი თოვლის და განუწყვეტელი ცუდი ამინდების გამო ვერ მოხერხდა დამთავრება.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ გზების შეკეთების დროს სოფლათ ძლიერ არაორგანიზებულად სწარმოებს მუშაობა და ამის გამო შეკეთებული გზები ცუდდება, არ აქვს სათანადო თხრილები, რისი უქონლობის გამოც მეორე-მესამე დღეს წყლებისაგან ირეცხება და იგივე რჩება, რაც მის შეკეთებამდე იყო. მომავლისათვის აუცილებლად უნდა იქნეს გზების სივრცე დაცული და ამასთანავე ყველა გზების ნაპირებზე მთავარი თხრილები ამოჭრილია, რაც დაიცავს გზებს წყლებისაგან წალეკვით.

საამშენებლო სექცია

საამშენებლო სექციაში 6 კაცი შედის, სამუშაო გეგმა შედგენილია—და მის მიხედვით სწარმოებდა მუშაობა, გარჩეულია 15 საკითხი, მათ შორის შესრულებულია და გატარებულია ცხოვრებაში 12 საკითხი, რომელთა შორის თვალსაჩინოთ სჩანს: საწირეში აშენებულია შვიდწლედისათვის ქვის შენობა, ხრესილში სახალხო სასამართლოს და რაიონის ბინა, აგრეთვე შეკეთებულია იქნა საფონდო სახლი.

სხვა ნაკლთა შორის გაუკეთებელი და აუშენებელია ბაზრობისათვის ბინა, შეუკეთებელია აბანოების შენობები, რომლებსაც თითქმის კაპიტალური შეკეთება სჭირდება, პირველი რაღაც უთანხმოების გამო ვერ იქნა გაკეთებული, მეორის გაკეთებას კი ხელი შეუშალა უამინდობამ.

შემდეგისათვის მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ სექციამ შეთანხმებულად იმუშაოს და თუ კიდევ ახეთი გარემოება გაგრძელდა საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით უნდა ჩაერიოს თემის უმაღლესი ორგანო—საბჭო ან საზოგადო კრება.

აგრეთვე საამშენებლო სექციამ დაუყოვნებლივ უნდა ადევნოს თვალყური და მიიღოს საჭირო ზომები, რომ შემდეგში გეგმით გათვალისწინებული გასაკეთებელი საკითხები არ დარჩეს ქაღალდზე.

კულტურულ-განმანათლებელი სექცია

კულტურულ-განმანათლებელ სექციაში შედის 8 კაცი, განვლილ პერიოდში სულ 5 სხდომაა ჩატარებული და გარჩეულია 14 საკითხი, (რომელთა შორის გატარებულია ცხოვრებაში 12.

საწირეში დადგმულ იქნა 2 ფასიანი და 3 უფასო წარმოდგენები და საღამო, ჩატარებულ იქნა მოხსენება 6 სოფელში გლეხკომების და „წერკომის“ მნიშვნელობაზე, გამოშვებული იქნა 200-ზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი, რომლებმაც უკვე შეისწავლეს ახეთი, ამავე მას გახსნილია 6 ლიკპუნქტი და 1 მცირემცოდნეთა ჯგუფი, აგრეთვე დადგმულ იქნა სოფ. ძირივანში საღამო-წარმოდგენა.

როგორც აღნიშნულიდან სჩანს სექციის მუშაობის საშუალებით დადგმული ყოფილა საღამო-წარმოდგენები საწირეში 5 და სოფ. ძირივანში ერთი, მხოლოდ დანარჩენ სოფლებს: ხრესილს, ძუყნურს, ტყიბულს და სხვა მთავარ სოფლებში, ახეთის მსგავსი არა ყოფილა რა, რის გამო შემდეგში საჭიროა კულტურულმა სექციამ უფრო გააძლიეროს მუშაობა და ჩამორჩენილ სოფლებს ყურადღება მიაქციოს.

საფინანსო სექცია

საფინანსო სექციაშიაც 8 კაცი შედის, გეგმის მიხედვით გარჩეულია 7 საკითხი, რომელთა შორის გატარებულია ცხოვრებაში 5. საკითხები უმთავრესად ეხება: მიწის მზომელის ხარჯების გლეხობაზე გაწერას, სასოფლო სამეურნეო გადასახადის დაბა ტყიბულის გზის გასაკეთებელი ხარჯების საკითხების მოწესრიგებას და საწირის შვიდწლედის ასაშენებელი გადასახადის გლეხობაზე გაწერა-განაწილებას. გარდა ამ საკითხებისა სხვა საკითხები არ ყოფილა სექციის მიერ წამოყენებული.

სამეურნეო სექცია

სამეურნეო სექციაში შედის 7 კაცი. ამ სექციის სხდომები შესდგა 3 ჯერ და გარჩეულია 3 საკ. ხ., გეგმის გვიან შედგენის გამო მოწესრიგებული ყოფილა მხოლოდ საორგანიზაციო საკითხები.

კოოპერატიულ სექციაში შედის 7 კაცი, რომლებსაც სამუშაო გეგმა არა აქვთ, ხსენებულ სექციას თავის სხდომებზე მიუქცევია ყურადღება კოოპერატივებში აუცილებელ საგნების მომარაგებაზე, კოოპერაციის არა წევრებზე იმ საქონლის არ მიცემა, რომელიც ძლიერ ცოტა მოიპოვება ბაზარზე (მტკალი, ნავთი და სხვა) მათი კოოპერაციაში ჩაბმის მიზნით, უღარიბესი გლეხების უფასოთ კოოპერაციის წევრებათ მიღებაზე და სოფ. საწირეში, ხრესილში და ტყიბულში კოოპერატიული წრეების ჩამოყალიბებაზე, როგორც გამოირკვა ეს საკითხები მოგვარებულია უმთავრესად, მხოლოდ საჭიროა მიღებული იქნეს ზომები იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილად ტარდება ცხოვრებაში ისინი ადგილზე.

დასკვნა ყველა სექციების წარსულ და მომავალი მუშაობის შესახებ.

სექციების მუშაობას საერთოდ აფერხებს ის, რომ სექციის წევრები საჭირო დროს ვერ იყრიან თავს ერთად, ამა თუ იმ საკითხის მოსაგვარებლად, ეს გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ ერთი და იგივე სექციაში, წევრები შედიან ყველა სოფლებიდან და ეს სოფლები კი ძლიერ დაშორებულნი არიან ერთი მეორისაგან.

ამისათვის საჭიროა თემის საბჭოს პირველი სხდომის დროს, როდესაც საბჭოს შემადგენლობიდან იყოფა სექციები მათი წევრები ისე იქნან შერჩეულნი, რომ თვითეულ სექციის წევრებს ადვილად შეეძლოთ თავის მოყრა და სხდომების გამართვა.

მომავალში საწირის თემსაბჭოსთან უნდა ჩამოყალიბდეს აგრეთვე ჯანმრთელობის სექცია, რომელსაც ეკისრება მშრომელთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვა. უკეთ უნდა შემუშავდეს აგრეთვე სექციების შემდგომი მუშაობისთვის წესდება, რომ სექციის თვითეულ წევრს ესმოდეს თავისი მოვალეობა. სექციებში უნდა ავირჩიოთ აგრეთვე ისეთი პირები, რომლებიც სხვა სამუშაოთი არ არიან დატვირთულნი.

ახეთი ღონისძიებებით სექციების შემდგომი მუშაობა უფრო გაჯანსაღდება.

ხ. ზ—ძე.

იანეთის საბჭო

(ქუთაისის მაზრა)

(წერილი იანეთიდან)

იანეთის თემ-საბჭო 23 წევრს და 7 კანდიდატს აერთიანებს. თემ-საბჭოსთან 5 სექციაა მოწყობილი: საამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, საფინანსო-საგადასახადო, საგზაო და კულტურულ-საგანმანათლებლო. თემ საბჭოსთან აღნიშნული სექციები ორგანიზაციულად სათანადო წესით იქნა მოწყობილი, რომელთა მუშაობაში თავიდანვე საბჭოს ყველა წევრები და კანდიდატები იყვნენ ჩაბმული.

სექციებზე ხელმძღვანელობის საკითხი

თემ-საბჭოს სხდომაზე, სადაც დასმული იყო სექ. ღირსების საკითხი, ჩატარებული იქნა საინსტრუქციო - სახელმძღვანელო მოხსენება სექ. მუშაობის და უფლება-მოვალეობის შესახებ, თემაღმასკ. ხელმძღვანელობით სექციებმა თავიანთ პირველი საორგანიზაციო სხდომებზე აირჩიეს ბიუროები და გეგმიან მუშაობას მტკიცედ მოჰკიდეს ხელი. ეს უკანასკნელი მტკიცდებოდა თემსაბჭოს სხდომებზე. თავიანთ მხრივ სექციები თემაღმასკომის სხდომებზე ყოველ სამ თვეში ერთხელ სისტემატიურად აკეთებდენ საანგარიშო მოხსენებებს და ეძლეოდათ მთელი რიგი საქმიანი მითითებანი მომავალ მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ამან ხელი შეუწყო ერთის მხრივ, სექციების პასუხისმგებლობის შეგნების ზრდას თემ-საბჭოს წინაშე და რაც მთავარია, მათი საქმიანობის გაუმჯობესებას.

სასოფლო-სამეურნეო სექცია

ამ სექციაში საბჭოს 6 და 2 საბჭოს არა წევრი ირიცხება. სუსტია, კერძოთ ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტივის ჩაბმა მასში. სექციას ჰქონდა 5 სხდომა, გარჩეულია 18 საკითხი. ბიუროს სხდომა ჩატარებულია 12-ჯერ, განხილულია 29 საკითხი. სექციას ჰქონდა თავის სამუშაო ექვსთვიანი გეგმა, რომლის ცხოვრებაში გატარებას ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული სარწყავ არხების გაყვანის და მათი მოგვარების დარგში. სექციის თაოსნობით—თემ-საბჭოს, პარტიის, კომკავშირის, და თემში არსებულ ყველა ორგანიზაციების მიერ კოლექტიურად (უსასყიდლოდ) დამუშავებული იქნა სათემო ადგილი (მიწა), სივრცით 15 დესეტინა. ხსენებულ ადგილში დათესილი იქნა სიმინდი, ბამბა, კანაფი, ჭარხალი და სხვა, სექცია თვალყურს ადევნებდა მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევებს და მხურვალე მონაწილეობას იღებდა მიწის სადაო საკითხების მოგვარებაში. მხოლოთ ამ სახის საკითხებზე გამოტანილ დადგენილებებში სექციას აშკარად ეტყობა ადმინისტრატიული გადახრები. სექციას არ მიუქცევია სათანადო ყურადღება გლეხობის სამეურნეო კოლექტივებში. გაერთიანების და მეურნეობაში გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების შემოღების საქმისათვის. მომავალში ეს კითხვები სექციის მიერ საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და მოგვარებული. საკრედიტო ამხანაგობამაც თავიანთ მხრივ უნდა გააცოცხლოს მუშაობა ამ დარგში. გლეხობა აქ სტიქიურად სამეურნეო თუ სამანქანო ამხანაგობებშია გაერთიანებული, საჭიროა მათ ხელმძღვანელობის საქმეს სექციამ დღესვე მოჰკიდოს ხელი. კერძოთ ამ სექციის მუშაობის გაშინაარსებისათვის საჭიროა აღმასკომმა მიიღოს გადამჭრელი ზომები. სექციაში უნდა ჩავაბათ გლეხური აქტივი და კერძოთ მეურნე კომკავშირელი და უპარტიო ახალგაზრდობა, სექციის ახლანდელი წევრები კი შესაფერისად უნდა გავარკვიოთ თავიანთ მუშაობის და უფლება მოვალეობის საკითხებში.

გიგა.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

როგორ მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია მაზრებში

ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებიდან დაბრუნდა საქართველოს ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი კიკვაძე, რომელმაც შედეგი აცნობა ჩვენს თანამშრომელს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ ხსენებულ მაზრებში:

ახალქალაქის მაზრაში სესხის რეალიზაციის კამპანია დამთავრებულია. კამპანიის ჩატარების საორგანიზაციო მხარე მაზრაში სამაგალითოთ იყო დაყენებული. მიუხედავად იმისა, რომ მაზრა რკინის-გზიდან საგრძნობლად არის დაშორებული და თავის დროზე ვერ იღებდა სესხის რეალიზაციისათვის საჭირო მასალებს, მუშაობა მაინც ნაყოფიერად არის ჩატარებული.

ახალქალაქის მაზრაში გათვალისწინებული იყო 50.000 მანეთის ობლიგაციების გასაღება. დავალება შესრულებულია მთლიანად და დამატებით გასაღებულია 1.650 მანეთის ობლიგაცია.

ახალციხის მაზრაში საორგანიზაციო მუშაობა შედარებით ცუდათ არის დაყენებული. მუშაობა დამთავრებული არ არის, ეხლა გამოცოცხლება ეტყობა. აქამდე გასაღებულია მაზრისათვის გამოყოფილ ობლიგაციების 68 პროცენტი. კამპანია ფართოვდება და იმედია, რომ პირველი მაისისათვის დავალება შესაძლებელი იქნება სრული ასი პროცენტით.

ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებიდან ცნობებს იძლევა საქართველოს ფინსახკომის ინსტრუქტორი ი. თაყაიშვილი.

სამივე მაზრაში სესხის რეალიზაცია მეტად ნელის ტემპით მიმდინარეობს. კამპანიას იქ ისედაც გვიან შეუდგენ და შემდეგ მას ხელი შეუშალა ცუდმა ამინდებმა და სტიქიურმა უბედურებებმა.

ზუგდიდის მაზრაში მუშაობა უნდა ჩაითვალოს არა დამაკმაყოფილებლად, რადგან ადგილებს არ აქვს გარკვეული ობლიგაციების დროებით მოწმობების მნიშვნელობა და დროებითი მოწმობები ხელუხლებლად უწყვია კონტრ-აგენტებს.

ოზურგეთის მაზრაში ამჟამად გასაღებულია გამოყოფილ ობლიგაციების 50 პროცენტით. (11.952 მანეთის) მუშაობას ახლა გამოცოცხლება ეტყობა და არის იმედი, რომ საორიენტაციო თანხა დაფარული იქნება ასი პროცენტით.

სენაკის მაზრაში გასაღებულია 11.767 მანეთის ობლიგაცია, რაც უდრის საორიენტაციო თანხის —30 პროცენტს.

თუ მიღებული იქნება ენერგიული ზომები შეიძლება საორიენტაციო თანხის დაფარვა.

რაც შეეხება ზუგდიდის მაზრას, იქ გასაღებულია მხოლოდ 8.000 მანეთის ობლიგაცია. შესაძლებელია საორიენტაციო თანხის დაფარვა 70—80 პროცენტით.

შეღავათები წითელ არმიელებს

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის სახელმწიფო სესხების განაწილების გამგემ ამხ. ირიცფუხოვმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა.

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და სამხედრო უწყების შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმად გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის შეძენის მსურველ წითელ-არმიელებს, ობლიგაციების საფასურის გადასახდელად, ეძლევა 15 თვის ვადა. მთელი ობლიგაციის შემძენი არმიელი იხდის თვიურად—67 კაპეიკს, ხოლო ობლიგაციის მეოთხედის შემძენი—17 კაპეიკს.

ცხადია ასეთ არაჩვეულებრივ შეღავათიან პირობების წყალობით ყოველ წითელ-არმიელს შეუძლიან შეიძინოს ობლიგაცია და შეიტანოს თავისი წვლილი გლეხის მეურნეობის განმტკიცების საქმეში. ხვედრი თანხის შეტანის პირველი ვადა 30 აპრილიდან გადატანილია 31 მაისისათვის. ამრიგად ეჭვს გარეშეა, რომ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის საქმეში ჩაებმება წითელ-არმიელთა დიდი რაოდენობა.

„საქართველოს პროფკავშირები“ და „თბილისის პროლეტარი“

დღეს, დილის 10 საათზე თბილისის აეროდრომზე მოხდება აეროპლანების „საქართველოს პროფკავშირების“ და „თბილისის პროლეტარის“ კავკასიის წითელ დროშოსან არმიისათვის საზეიმო გადაცემა.

ორივე ეს აეროპლანი შეძენილია საქართველოს პროფკავშირების წევრთა შორის შეგროვილი ფულით.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ შეადგინა ნაკაზის ტექსტი, რომელიც გადაეცემა წითელ არმიას აეროპლანების ჩაბარების დროს.

ნაკაზი დაბეჭდილია პერგამენტზე შემდეგი შინაარსით:

„ნაკაზი თვითმფრინავებს: „საქართველოს პროფკავშირების“ და „თბილისის პროლეტარის“ ეკიპაჟს.

საქართველოს ქარხნების და წარმოების მუშა-მოსამსახურეები, გაერთიანებულნი პროფკავშირების მრავალ ათასიან არმიაში, გაბარებენ რა თვითმფრინავებს—„საქართველოს პროფკავშირებს“ და „თბილისის პროლეტარს“ თქვენ—მუშა-გლეხურ წითელ არმიას, გავალებთ მტკიცეთ დაიცვათ საბჭოთა კავშირის საზღვრები მსოფლიო იმპერიალიზმის ყოველგვარ შემოტევისაგან, რომლითაც მათ სურთ შეაფერხონ ჩვენი მშვიდობიანი მუშაობა, ჩვენი დიადი სოციალისტური მშენებლობა.

დეე, იცოდენ ჩვენმა მოსისხლე მტრებმა—ჩემბერლენებმა, ხიკსებმა და პილსუდსკებმა, რომ ყოველგვარ მუქარას ჩვენ უპასუხებთ ჩვენი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროვებით საბჭოთა ხელისუფლების და მისი ხელმძღვანელის—ლენინურ კომუნისტურ პარტიის ირგვლივ, გაათკეცებული ენერგიით განვაგრძობთ მშენებლობას და ჩვენივე ნაოფლარ კაპეიკებით ავაგებთ ახალ წითელ თვითმფრინავებს და ტანკებს.

დეე, ამ თვითმფრინავების წითელი ფრთები იყოს სიმბოლო ყველა ქვეყნების ჩაგრულთა განთავისუფლების, ჩვენი მტრებისათვის კი—მრისხანე გაფრთხილება ყოველგვარ ბოროტ განზრახვის წინაამდეგ.

დიადი საომარი ტრადიცია წითელ საჰაერო ფლოტის და მისი გმირების, რომლებიც მამაცურად ებრძოდნენ თავის საჰაერო მტრებს სამოქალაქო ომის დროს, კიდევ უფრო მეტი ენერგიით და აღმაფრენით აღავსებს გამოცდილ და ახალგაზრდა მფრინავებს, რომლებიც ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ მომავალში.

ჩვენ არ გვინდა ომი, ჩვენ მშვიდობიანობას ვიცავთ, მაგრამ თუ მტერი გაბედავს პროლეტარიატის სამშობლოს საზღვრების გადმოლახვას, ჩვენი წითელი საჰაერო მებრძოლები ღირსეულ პასუხს გასცემენ მათ.

ჩვენი ლოზუნგია: „ფოლადის ფრთები წითელ მფრინავებს“.

გაუმარჯოს წითელ არმიას—მშრომელთა ერთგულ მცველს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს—მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის დედაბოძს!

ანტირელიგიური კამპანია და პროფკავშირები

კამპანია დაიწყო

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების სადირექტივო წერილის თანახმად, ყველა პროფკავშირთა ცენტრალური გამგეობები შეუდგენ თავიანთ წევრებს შორის ანტირელიგიური კამპანიის ჩატარებას.

კავშირები განსაკუთრებულ მუშაობას აწარმოებენ თავიანთ წევრებს შორის „ურწმუნოთა უჯრედების“ დასაარსებლად და კულტურულად ჩამორჩენილ წევრებს შორის რელიგიურ ფანატიზმის აღმოსაფხვრელად.

„სამოთხე ცაში, თუ სოციალიზმი დედამიწაზე“

პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ცალკე პროფკავშირების კულტგანყოფილებებთან ერთად მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში აწყობს ანტისააღდგომო ლექცია-საუბრებს და დისპუტებს.

მიღებულია ზომები, რათა ანტირელიგიური საღამოები რაც შეიძლება მხატვრულად და მუშათა ფართე მასების მონაწილეობით მოეწყოს.

ანტირელიგიური საღამოები, მოხსენებები, ლექციები, კითხვა-პასუხის საღამოები მუშათა კლუბებს გარდა ეწყობა დიდ წარმოება-დაწესებულებებშიაც.

ლექციები იკითხება შემდეგ თემებზე: „სამოთხე ცაში, თუ სოციალიზმი დედა-მიწაზე“, „რელიგია ბურჟუაზიის სამსახურში“, „კულტურული რევოლუცია და აღდგომა“, „ახალგაზრდობა, კულტურა და რევოლუცია“, „რელიგია თუ მეცნიერება“, „ცხოვრობდა თუ არა ქრისტე“.

ლექციების გარდა ცალკე კავშირებს და მუშათა კლუბების გამგეობებს წინადადება ეძლევათ მოაწყონ დისპუტები ანტირელიგიურ თემებზე.

საოჯახო საღამოები

„სააღდგომო უქმეებზე“ ყველა მუშათა კლუბებში, და წარმოება-დაწესებულებებში გაიმართება ანტირელიგიური საოჯახო საღამოები, წარმოდგენები, კინო-სურათების ჩვენება და სხ. აგრეთვე მოეწყობა ფართო მასიური ექსკურსიები ქალაქ-გარეთ.

ურწმუნოთა აქტივი

პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ამ დღეებში მოაწყობს კულტაქტივისა და ურწმუნოთა აქტივისათვის სპეციალურ მოხსენებას შემდეგ თემაზე: „როგორ უნდა ჩატარდეს ანტირელიგიური კამპანია მუშათა კლუბებში, წითელ კუთხეებში და აგრეთვე როგორ უნდა იქნეს ჩატარებული ჯგუფური და ინდივიდუალური აგიტაცია“.

ანტირელიგიური კამპანიის ჩასატარებლად სადირექტივო და ცირკულიარული წერილები დაეგზავნათ მაზრის პროფბიუროებს.

კამპანია გაგრძელდება 1-ლ მაისამდე.

ორშაბათს, 9 აპრილს, საღამოს 6 საათზე

მოწვეულია

საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა

სექციებზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად

1. **კომუნალური**—მუშათა თეატრში (ქორესის ქ.)

   დღის წესრიგი:

   1. ელექტრო-სინათლის გაყვანის შესახებ სავალდებულო დადგენილების პროექტის განხილვა;
   2. მოხსენებები ადგილებიდან;
   3. მიმდინარე საკითხები.

2. **სახალხო-განათლების**—განათლების მუშაკთა სახლში, ფურცელაძის ქ. № 3 (ყოფ. კალოუბნის).

   დღის წესრიგი:

   1. პოლიტგანის მოხსენების გარშემო პრაქტიკული წინადადებათა განხილვა;
   2. მოხსენებები ადგილებიდან;
   3. მიმდინარე საკითხები.

3. **სახალხო ჯანმრთელობის**—საბჭოს წითელ დარბაზში.

   დღის წესრიგი:

   1. მოხსენება ქ. თბილისის სანიტარულ მდგომარეობის შესახებ და ღონისძიებანი მისი გაუმჯობესებისათვის;
   2. მიმდინარე საკითხები.

4. **საფინანსო-სამრეწველო**—საბჭოს წითელ კუთხეში—შესავალი (ყოფ. ველიამინოვის ქ.)

   დღის წესრიგი:

   1. მე-4 და მე-9 უბნის ფინინსპექტორების საანგარიშო მოხსენება.
   2. მიმდინარე საკითხები.

5. **სავაჭრო-კოოპერატიული**—პროფსაბჭოს მცირე დარბაზში.

   დღის წესრიგი:

   1. სახელმწიფო სავაჭრო მაღაზიებთან სექციის წევრების მიმაგრება;
   2. მიმდინარე საკითხები.

ნ. 899. **თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.**

საქართველოს სახ. მეურნეობა 1928 წ. თებერვალში

(საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ეკონ. - სტატ. სექციის კონიუნქტურული მიმოხილვა)

სოფლის მეურნეობა

თებერვლის ამინდი დიდი თოვლით, მკაცრი სიცივეებით, ქარბუქით და თოვლის ნამქრებით ხასიათდება.

შემოდგომის ნათესები თოვლ-ქვეშ იმყოფება, მათი მდგომარეობა გამოურკვეველია. შემოდგომის ნათესების ფართობის შემცირების შიში, რომელიც ჩვენ ნოემბერში გამოვთქვით, მიღებული წინასწარი ცნობებით დასტურდება; მისი შემცირება დაახლოვებით 10 პროცენტს უდრის მიწსახკომის ცნობებით, ხოლო 2, 3 პროც. საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოს მასალებით. ვფიქრობთ, რომ ფართობის შემცირება უფრო მეტია, ვიდრე საქ. ს. ცენტრ. სამმართველო ანგარიშობს. ფართობის შემცირების მთავარი მიზეზი იყო: შემოდგომის პირველი ნახევრის მშრალი ამინდი და შემდეგ უცბად მოსული თოვლი, სათესლე მასალის და სამუშაო იარაღების ნაწილობრივი სიმცირე.

გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმოება განსაკუთრებით მძიმე პირობებში განვითარდება; გაჭიანურებული თოვლი და უამინდობა, საქონლის, საკვების სიმცირის გამო, სამუშაოთ დასუსტებული გამოსვლა და სათესლე საკვების ნაკლებობა, რომელიც სოფლად საკვები პურეულის ნაკლებობით უფრო მწვავდება; ყველა ეს ისეთი პირობებია, რომ, თუ ინტენსიურათ არ იქნა გაზაფხულის თესვისათვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლათ შემუშავებული ღონისძიებანი, გაზაფხულის ნათესების ფართობის ძველ დონეზე შენარჩუნება შეუძლებელი გახდება.

თუ რა გავლენა იქონია **ძვირფას კულტურებზე** თებერვლის ყინვებმა, ამის საბოლოო ცნობები არ არის, მაგრამ საშიშროებაა, რომ ზოგიერთ რაიონებში იგი დაზიანებულ იქნება. ბამბის რაიონების ხორბლით და ფართლით დაუკმაყოფილებელი მომარაგება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

მესაქონლეობა, როგორც აღვნიშნავდით ოქტომბერ-ნოემბერში, საკვების სიმცირის გამო, განსაკუთრებულ მძიმე პირობებში ჩავარდა. ამას დაერთო ზამთრის უამინდობა და მდგომარეობა უფრო გართულდა. მთელ რიგ მაზრებიდან, დაჟინებით იტყობინებიან საქონლის დაღუპვაზე, რომლის რაოდენობის გამორკვევა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება.

სოფლის ნაწარმოების დამზადება

სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ დამზადებული სას.-სამ. ნაწარმის ღირებულება 3,1 მილ. მან. უდრის, წინა თვის მიმართ თუმცა საგრძნობი ზრდით ხასიათდება (12,4 პროც.). უმთავრესად თამბაქოს დამზადების გაძლიერების გამო, მაგრამ შარშანდელ თებერვლის მიმართ იგი—29,3 პროცენტით დაბლა სდგას, უმთავრესად ამავე თამბაქოს შესყიდვის შედარებით დაბალი ტემპით განვითარების გამო. თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ღვინის შესყიდვის ცნობები არა გვაქვს, მაშინ დამზადების ციფრი უფრო მეტი გვექნება.

ღვინის დამზადების ცნობები არა გვაქვს; საკავშირო ბაზარზე ღვინის ფასების დაკლება არის შემჩნეული, რომლის შიშსაც წინა მიმოხილვებში გამოვსთქვამდით. არაყის დამზადება კი ახალ მატებას იძლევა (6 პროც.), სულ 212 ათ. გრადუსი დამზადდა, საკონვენციო დასამზადებელი ფასი 22 კაპეიკს უდრის გრადუსზე, მაშინ, როდესაც გლეხობაში იგი უფრო მაღლა ფასობს გასული წლის ნაკლები მოსავლის პირობებში.

ხილის დამზადება უმთავრესად ექსპორტისათვის, საგრძნობ გაძლიერდა. „ზაკგოსტორგის“ მიერ შესყიდულია 225 ტონა ვაშლი და 372 ტონა *) თხილი.

დაფნის ფოთლის შესყიდვა საგრძნობად ძლიერდება და სარეკორდო ციფრს გვაძლევს (127,2 ტონას). მიუხედავათ საკავშირო ბაზრებიდან ჩვენს დაფნაზე გაძლიერებული მოთხოვნილების და მისი ადგილობრივი საკმაო მოსავლის, ადგილობრივი ბაზარი მოუწესრიგებელია, დამმზადებელნი მოქმედებენ შეუთანხმებლად, ფასების დიდი მერყეობა გვაქვს და ამავე დროს მათი საგრძნობი ზრდა, რამაც შესაძლებელია გასაღების გართულება გამოიწვიოს.

თამბაქოს შესყიდვის სეზონის დაწყების გამო, მისი დამზადება საგრძნობ იზრდება (95,9 პროც.). აფხაზეთის თამბაქოს გარდა დაწყებულია ლეჩხუმის თამბაქოს შესყიდვაც, სულ 62,3 ტონაა შეძენილი ჯერ-ჯერობით.

ბამბის დამზადება უკვე დამთავრებულია. თებერვალში მხოლოდ 13 ტონა ბამბა იქნა შეძენილი. დამზადების გეგმა 4 პროცენტით გადაჭარბებით არის შესრულებული. მებამბეობის რაიონების ფართლით და ხორბლით საკმაო მომარაგება კვლავ ყურადღების ცენტრში უნდა იყვეს, თორემ გაზაფხულის კამპანიის წარმატებით ჩატარება შეფერხდება.

ჯაგარის და ბეწვეულის შესყიდვა წარმატებით მიმდინარეობს. განსაკუთრებულ ზრდას იძლევა წვრილი ტყავის დამზადება (188 პროც.) ბაზარზე გამოსულ საკავშირო ტყავის სინდიკატის მიერ დასამზადებელი რაიონის გაფართოების გამო, იმ დროს, როდესაც მსხვილი ტყავის შესყიდვა 23 პროცენტით კლებულობს. განსაკუთრებულ ზრდას იძლევა აგრეთვე კვერცხის დამზადება (126 პროც.), რომლის ფასები ბაზარზე კლებულობს.

მრეწველობა

ს.მ.უ.ს. წარმოებათა საერთო პროდუქცია, (ცნობების უქონლობის გამო ლითონის დამუშავება არ შედის) 1.871,6 ათ. მან. უდრის; წინა თვის მიმართ 0,5 პროცენტით შემცირებულია, ხოლო 23,5 პროცენტით აღემატება გასული წლის თებერვალს. შარშანდელთან შედარებით პროდუქციის ზრდა გამოწვეულია ბორჯომის საქარხე და მარილისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნების ამუშავებით და ტყავის, ხის დამუშავების, სამთომადნო წარმოების და სხვა ზოგიერთ დარგების პროდუქციის ზრდით, წინააღმდეგ ქვა-ნახშირის ამოღების დაკლებისა უამინდობის გამო და ფეხსაცმელების დამზადების შემცირებისა ზოგიერთ დამხმარე მასალის სიმცირის გამო. პროდუქციის დაკლებაზე გავლენას ახდენს სამუშაო დღეთა შემცირება 1 დღით. ს.მ.უ.ს. ტრესტების პროდუქცია 1927—28 წლის ოქტომბრიდან თებერვლამდის 9,5 მილ.ჩერ. მან. უდრის, გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით 20 პროცენტით სჭარბობს, ხოლო უფრო მეტათ—ომის წინა დროის ფასებში (22,7 პროც.). ამ ტრესტებში ჩაბმული მუშათა რიცხვი—6.383 უდრის. 2,8 პროც. სჭარბობს წინა თვეს, ხოლო 32,8 პროცენტით აღემატება გასული წლის თებერვალისას, საკასრე ავეჯეულობის ქარხნის ამუშავების და ქვა-ნახშირის წარმოების ზრდის გამო, რაც შეეხება ნაწარმის რეალიზაციას, წინა თვის მიმართ—იგი შემცირებულია (—7,4 პროც.), უმთავრესად თამბაქოს ნაწარმის გასაღების დაცემის გამო; შარშანდელ წლისას კი ნაწარმის გასაღება 35,1 პროც. სჭარბობს, ამავე თამბაქოს ნაწარმის გასაღების განსაკუთრებული ზრდის გამო. რაც შეეხება ს. მ. უ. ს. ტრესტების ფინანსიურ მდგომარეობას, აქ დიდ ცვლილებებს არ აქვს ადგილი, ძველად აღნიშნული მდგომარეობა საერთოდ ძალაში რჩება.

შავი-ქვის მრეწველობაში *) ჩაბმული მუშა-ხელის და გამომუშავების შემცირების გამო, საერთო პროდუქციის მნიშვნელოვანი დაცემა გვაქვს, როგორც წინა თვის მიმართ (—36,5 პროც.—13 წ. ფასებში), ისე გასულ წელთან შედარებით (—30,2 პროც.). თუ რით არის პროდუქციის ასეთი მნიშვნელოვანი შემცირება გამოწვეული ამის ამომწურავი ცნობები არა გვაქვს. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ აქაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უამინდობა უნდა იყვეს.

ქვა-ნახშირის 6,2 ათ. ტონაა ამოღებული, გაცილებით ნაკლები, ვიდრე წინა თვეში შარშან ამ დროს (—22,4 და 17,2 პროც. სათანადოთ); სულ ოქტომბრიდან თებერვლამდის 39,4 ათ. ტონა იქნა ამოღებული, 9,3 პროცენტით მეტი 26—27 წლის ამავე პერიოდთან შედარებით. ქვა-ნახშირის ამოღება გამომუშავების შემცირებით არის გამოწვეული—უამინდობის და სარჩევი ლენტის გაფუჭების გამო, რომელიც უკვე შეკეთდა. ნაწარმის რეალიზაცია ნორმალურად მიმდინარეობს.

თამბაქოს მრეწველობაში 151,8 მილ. ცალი პაპიროსი დამზადდა, 10,7 პროც. მეტი შარშანდელზე და 4,4 პროც. ნაკლები იანვარზე. თამბაქოს დამუშავება სულ არ სწარმოებდა ბაზარზე მოთხოვნილების შემცირების გამო; პაპიროსიც უმთავრესად დაბალი ხარისხის მუშავდება. შარშანდელის მიმართ ნაწარმის ზრდა შრომის ნაყოფიერების ზრდით არის გამოწვეული, წარმოებაში ჩატარებულ რაციონალიზაციის და მექანიზაციის გამო. 26—27 წლ. ოქტომბერ-თებერვალთან შედარებით პაპიროსის დამზადება 10,9 პროც. გაიზარდა, ხოლო თამბაქოსი 77,8 პროცენტით შემცირდა. ნაწარმის რეალიზაცია იანვრის მიმართ თუმცა კლებულობს, მაგრამ გასულ წელთან შედარებით მაინც საგრძნობი ზრდით ხასიათდება და ნაწარმის დამზადებას უსწრებს წინ; ძველი მარაგის გასაღების ხარჯზე. პროდუქციის გაყიდვის დაკლების მიზეზი წინა თვის მიმართ სავაჭრო დღეთა სიმცირეს, თამბაქოს ნაწარმზე მოთხოვნის სეზონის შემცირებას და უამინდობას ასახელებს ს.მ.უ.ს.

ტყავის მრეწველობაში პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს, როგორც წინა თვის მიმართ (24 პროც. მსხვილ ტყავზე გადაყვანით). ისე გასული წლის თებერვალთან შედარებით (36,4 პროც.); წვრილი ტყავის დამუშავება ნედლეულის სიმცირის გამო წინა თვის მიმართ მნიშვნელოვნად კლებულობს. გასული წლის ოქტომბერ-თებერვალთან შედარებით პროდუქციის ზრდა წრეულს 5,2 პროცენტში გამოიხატება.

ხე-ტყის მრეწველობა. ხე-ტყის დახერხვა (7 სახერხაოში) წინა თვის მიმართ კლებულობს (—16 პროც.), ხოლო 33 პროცენტით სჭარბობს გასული წლის თებერვალს, სულ 2,8 კუბ. მეტრი მასალა დაიხერხა. მარილისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანაში 6.883 სკამი დამზადდა, 24 პროცენტით ნაკლები წინა თვეზე. პროდუქციის შემცირება უმთავრესად დამხმარე მასალების (რკინეულის მასალები და სხვა) სიმცირით უნდა აიხსნას, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე არ მოიპოვება და რუსეთის ბაზრიდან კი მოწოდება შეფერხდა. ბორჯომის საქარხე ქარხანამ 29,4 ათ. კომპლექტი დაამზადა, 6,4-ჯერ მეტი წინა თვეზე; პროდუქციის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა წინა თვეში დამზადებულ ნახევრად ფაბრიკატის ერთბაში გამოშვებით აიხსნება, რომელიც წინა თვეს ვერ მოხერხდა ერთ-ერთი მანქანის შეჩერების გამო.

ქუთაისის მაუდის ქარხანაში 12.794 მეტრი მაუდი იქნა გამომუშავებული, საგრძნობ მეტი წინა თვესთან და გასული წლის თებერვალთან შედარებით (39,8 და 55,5 სათანადოთ). წინა თვის მიმართ პროდუქციის აღნიშნული მატება სალებავებით მომარაგების გაუმჯობესებით უნდა აიხსნას, ხოლო გასულ წელთან შედარებით წარმოების საერთო გადიდებით ბაზრის ხელსაყრელ პირობებთან ერთად.

ტვირთ - ბრუნვა

საქართველოს რკ.-გზების ტვირთ-ბრუნვა, იმ უამინდობის გამო, რომელსაც ჰქონდა ადგილი საანგარიშო თვის განმავლობაში, მნიშვნელოვანი შემცირებით ხასიათდება, როგორც იანვართან შედარებით (—16,7 პროც.), ისე გასული წლის თებერვლის მიმართ (—10,7 პროც.). საქონლის დატვირთვის შემცირება საყოველთაო ხასიათს ატარებს საქონლის უმეტესი ჯგუფებისათვის, აქ არ შედის პურეული და საქონლის საკვები, რომელთა დატვირთვა გაძლიერებულია.

ნავთსადგურების ტვირთ-ბრუნვა უფრო ინტენსიური შემცირებით ხასიათდება, ვიდრე რკ.-გზებისა.

აღებ-მიცემობა

გეგმით შემოსატანი 20 საგნის ღირებულება 6,5 მილ. მან უდრის, ფაქტიურად 5,5 მილ. საქონელი იქნა შემოტანილი, ისე, რომ გეგმა 85,7 პროცენტით შესრულდა, ოდნავ უკეთ, ვიდრე წინა თვეში (80,9 პროც.), ხოლო საგრძნობ ცუდათ, ვიდრე შარშან ამ დროს (102,7 პროც.). მასიური მოხმარების საგნებიდან პურეულის, შაქრის და სილიკატის გეგმა შესრულდა გადაჭარბებით, დანარჩენი საგნების კი დაუკმაყოფილებლად, და განსაკუთრებით კი დეფიციტიანი საგნების: ფართალი, დამზადებული ტყავი, ფეხსაცმელი, ჩაი, ტყის მასალა.

საბჭოთა რესპუბლიკებთან წარმოებული აღებ-მიცემობა კლებას იძლევა წინა თვის მიმართ (—13,8 პროც.), ხოლო მატებას შარშანდელთან შედარებით (+28,6 პროც.). საანგარიშო თვეში ჩვენი გატანის ღირებულება 2,3 მილ. მან. შეადგენს (აღებულია 51 საგანი), იგი შემცირებულია დაპირდაპირებულ თვეებთან შედარებით. მთავარ საგნებიდან წინა თვის მიმართ მხოლოდ ღვინის გატანა მატულობს (+75,6 პროც.) და დანარჩენი საგნების კი ეცემა. რაც შეეხება შემოტანას—მისი ღირებულება 10,8 მილ. მან. უდრის, წინა თვის დონეზე სდგას, ხოლო 44,4 პროცენტით აღემატება 1927 წ. თებერვალს.

შემოტანის მთავარ საგნებს შორის ხორბლის ფქვილის, ერბოსი და ტყის შემოტანა მატულობს მხოლოდ და ყველა დანარჩენი საგნების კი მცირდება. აღსანიშნავია, რომ მთელი პურეულის მიღება 10.4 პროცენტით კლებულობს წინა თვის მიმართ, იმ დროს, როდესაც შარშანდელი წლის თებერვლის მიმართ 67 პროცენტით ზრდა გვაქვს. შარშანდელთან შედარებით შემოტანა საერთო ზრდით ხასიათდება. შემცირებას მხოლოდ შინაური პირუტყვის და ხე-ტყის მასალას იძლევა.

თბილისის ბირჟის ოპერაციები 6 მილ. მან. შეადგენს, მცირდება იანვრის მიმართ (—11,7 პროც.), ხოლო ზრდას გვაძლევს შარშანდელთან შედარებით (+3,1 პროც.), სას.-სამ. საგნებით ვაჭრობა დაპირდაპირებული პერიოდების განმავლობაში მატებას გვაძლევს, ხოლო სამრეწველო საგნებისა—დაკლებას. ვაჭრობის პირობები კვლავ მძიმე რჩება.

იანვართან შედარებით სახელმწიფო ორგანიზაციათა საბითუმო ვაჭრობა შემცირებას იძლევა (—8,3 პროც.), ხოლო ცეკავშირის—მატულობს (+7,8 პროც.), შარშანდელთან შედარებით კი ბითუმი ვაჭრობის საერთო ზრდა გვაქვს (17 და 140,7 პროც. სათანადოთ). საბითუმო ოპერაციების დაკლება აიხსნება საქონლის სიმცირით, სეზონური პირობებით და სავაჭრო ორგანიზაციათა მძიმე ფინანსიური მდგომარეობით. რაც შეეხება საცალო ვაჭრობას—დაბალი კოოპერაციის ხაზზე იგი მატულობს (3,6 პროც. გაყიდვა და 3,5 პროც. ყიდვა), კოოპერაციის მომარაგების ზრდის გამო, ხოლო სახელმწიფო და კერძო ვაჭრობაში კლება გვაქვს (16,4 და 2,3 პროც. სათანადოთ). საქონლის ნაშთები ბითუმ ვაჭრობაში საერთოდ მატულობს, უმთავრესად შაქრის მარაგის დაგროვების გამო, ლითონის და განსაკუთრებით ფართლის მარაგის შემცირების პირობებში. საცალო ვაჭრობაში კი ნაშთების საყოველთაო შემცირება გვაქვს, უმთავრესად ფართლეულის, ფეხსაცმელ-ტანსაცმლის და სამეურნეო ნივთების ნაშთების შემცირების გამო, ხოლო აღსანიშნავია საბაკალეიო და სოფლის სამეურნეო საკვების ზრდა. საქონლის სიმცირის და გადასახადების ზრდის გამო, კერძო ვაჭრობის ქსელის შეკუმშვაა აღსანიშნავი.

პლენუმზე მთელი მოთხოვნილება სავსებით ვერ იფარება; საქონლის საკვების სიმცირე განსაკუთრებით მწვავეა, საქონლის მორეკის შემცირების შედეგია ხორცის ფასების ზრდა. მცირეა ბაზარზე ჩაი; ფართლეულის ნაკლებობა კვლავ ძალაში რჩება, რკინეულის ნაწარმის სიმცირე კვლავ ძალაში რჩება მიუხედავად საამშენებლო სეზონის მიუხლოვებისა. სიმცირეა დამუშავებული ტყავის და ხეტყის. სრულებით არ მოიპოვება ბაზარზე ოლიფა და შაბიამანი.

ბაზრის საქმარისი მომარაგება კვლავ ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

საქონლის ფასების ინდექსები

საქონლის ფასების ზრდა საანგარიშო თვეში კვლავ გრძელდება. ფასების ზრდა საერთო ხასიათს ატარებს ყველა ქალაქებისათვის, როგორც კოოპერატიულ ვაჭრობაში, ისე განსაკუთრებით კერძო ვაჭრობაში. მართალია, ფასების საერთო ინდექსის ზრდა უმთავრესად სას.-სამ. საგნების ფასების მატებით გვაქვს, მაგრამ ყურადღებას იქცევს აქ სამრეწველო საგნების ფასების ზრდის ტენდენციები.

კერძო ბაზარის საქონლის ფასების საერთო ინდექსი საქართველოში 4,4 პროცენტით არის გაზრდილი; სამრეწველო ფასების ინდექსი 1 პროცენტით იზრდება და სას.-სამ. საგნების კი 7,2 პროცენტით, შარშანდელთან შედარებით ფასების საერთო ზრდა 15,8 პროცენტში იხატება, სას.-სამ. საგნების ფასების განსაკუთრებული ზრდის გამო, სამრეწველო საგნების ფასების ინდექსის შემცირების პირობებში იანვართან შედარებით ფასების განსაკუთრებულ ზრდას გვაძლევს: ბოსტნეული, ხორცეული და პურეული, ხოლო სამრეწველო საგნებიდან ფართალი და ფეხსაცმელი, შარშანდელთან შედარებით ფასების განსაკუთრებული ზრდა გვაქვს: პურეულზე, ბოსტნეულზე, შეშაზე, ხორცეულზე და რძის ნაწარმოებზე, ე. ი. ისეთ სეზონურ და დეფიციტიან საგნებზე, რომლებზედაც სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის გავლენა შედარებით სუსტია.

კოოპერატიულ ვაჭრობაში კი ფასების მთავარი ზრდა გვაქვს იანვართან შედარებით ბოსტნეულზე და ფართალზე.

ფასების აღნიშნულ საყოველთაო ზრდასთან ერთად საბიუჯეტო შენაწყობის გაძვირება საყოველთაო ხასიათს ატარებს ჩვენს ქალაქებში.

ფინანსები

საქართველოს სამაზრო და ცენტრ. სალაროებში შემოსულა საანგარიშო თვეში რესპუბლიკანური, ფედერატიული და საკავშირო ბიუჯეტით 2,5 მილ. მან., საგრძნობ მეტი, ვიდრე წინა მეოთხედში (+30,1 პროც.) და შარშან ამ დროს (+46 პროც.) შემოსავლის ზრდა უმთავრესად პირდაპირი ხარკების და საფასურების და გამოსაღებთა აკრეფის გაძლიერებით არის გამოწვეული (60 და 110,5 პროც. სათანადოთ). პირდაპირ ხარკების მატება უმთავრესად სათანაზრო ხარკების აკრეფის გაძლიერებით აიხსნება (93 ათ. მანეთიდან 669 ათ. მანეთამდის მატულობს), მისი აკრეფის ვადებთან დაკავშირებით, შარშანდელ წლის მიმართაც შემოსავლის ზრდა უმთავრესად ამავ პირდაპირი ხარკების აკრეფის გაძლიერებით აიხსნება. სას. სამ. გადასახადის აკრეფის შესრულება 93,2 პროც. შეადგენს პირველი მარტისათვის, შარშან ამ დროს კი 84,9 პროც. გვქონდა.

რაც შეეხება გასავალს, წინა თვის მიმართ იგი 40,2 პროცენტით მატულობს, ხოლო შარშანდელი წლის თებერვლიდან შედარებით უცვლელია, გასავლის ასეთი მნიშვნელოვანი გადიდება უმთავრესად საკურორტო მშენებლობისათვის გაცემული 100 ათ. მანეთით და სასუბვენციო ფონდიდან დამატებით გაღებული 460 ათ. მანეთით გადიდებით არის გამოწვეული. შარშანდელთან შედარებით მთელი გასავალი თუმცა უცვლელია, მაგრამ მის შინაგან წყებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მომხდარი—გაზრდილია სოციალ-კულტურული ხარჯები (+26,3 პროც.). თითქმის ყველა დანარჩენი ხარჯების შემცირების პირობებში.

კრედიტი

კრედიტის მთავარი მაჩვენებლები წინა თვესთან შედარებით ახალ ზრდას იძლევიან —სესხი მატულობს 4,9 პროცენტით, ანაბარის ნაშთი 10,8 პროცენტით, სალარო—6,7 პროცენტით და ბალანსი 2 პროცენტით. შარშანდელ თებერვალთან შედარებით ყველა დასახელებულ მაჩვენებელთა ზრდა გვაქვს (44,1—87,1 პროც.) გარდა სალაროსი, რომელიც კლებულობს.

საქართველოს მეურნეობის ცალკე დარგებიდან წინა თვესთან შედარებით ყველაზე დიდ ზრდას ვაჭრობა იძლევა (+11,1 პროც.), შემდეგ საკრედიტო დაწესებულებები და მრეწველობა (6,4 და 2,4 პროც.), ხოლო სტაბილურია დანარჩენი დარგების სესხი, შარშანდლის მიმართ, თუმცა ყველა დარგების სესხი მატულობს, მაგრამ განსაკუთრებულ ინტენსიური ზრდა გვაქვს მრეწველობის სესხის (+107 პროც.).

ცალკე კლიენტთა ჯგუფებიდან სესხის მნიშვნელოვან აბსოლიუტურ ზრდას იძლევა სახელმწიფო ორგანიზაციები (1 მილ. მან.) და საკრედიტო დაწესებულებანი (0,8 მილ. მან). შარშანდელის მიმართ, გარდა კერძო კლიენტურის სესხის დაკლების (443 ათ. მანეთიდან 47,4 ათ. მანეთამდე), ყველა ჯგუფთა კრედიტის მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს.

---

*) ნაწილობრივ წინა თვეებში დამზადდა.

*) ცნობები დაგვიანებით მივიღეთ და საერთო შეჯამებაში ვერ შევიტანეთ.

თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია

თბილისში შენდება 95 ახალი სახლი.—მიმდინარე წლის ბოლოს ალმასკომი მიიღებს კიდევ 54 ტრამვაის ახალ ვაგონს.—მუშები მოითხოვენ ყველა აფთიაქიდან დაზღვეულებზე წამლის უფასოდ გაცემას.—უწესოება ტრამვაიზე კვლავ განახლდა

კიდევ ბევრია გასაკეთებელი

საქ. სახელმწიფო გამომცემლობის („სახელგამი") სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოს დეპუტატმა ამხ. ბესჩისნოვმა, რომელმაც გააცნო კრებას თბილისის საბჭოს საქმიანობა საანგარიშო ხნის განმავლობაში.

— ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხი საბჭოს მუშაობაში — ამბობს მომხსენებელი, —არის საბინაო მშენებლობის საკითხი. ამჟამად თბილისში, საცხოვრებელ მოედნად გამოყენებულია სულ 1.655.000 კვ. მეტრი ფართობი. მცხოვრებლების რაოდენობა კი უდრის 296-ათას სულს. ისე, რომ საშუალოდ თვითეულ სულზე მოდის ხუთი მთელი და 6 მეათედი კვ. მეტრი, იმ დროს, როდესაც სანიტარული ნორმად გათვალისწინებულია სულზე 8 კვ. მეტრი. მარტო მუშათა მოსახლეობის საბინაო მოედნით დასაკმაყოფილებლად, საჭიროა 16 ათასი ოთახი, რომლის ღირებულება შეადგენს 48.000 მანეთს.

1924 წლიდან 27 წლამდე, თბილისში აშენებულია 115 სახლი, რაზედაც დაიხარჯა 1.443.000 მანეთი. ამჟამად შენდება 95 ახალი სახლი 617 ბინით და 1382 ოთახით, რომელსაც მოუნდება სულ 4.532.000 მანეთი. გარდა ამისა, საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქალაქის მუშათა უბნებს: ლენინის უბნის, ავლაბრის, ხარფუხის, საბურთალოს; ვაკეს და სხ. კეთილმოწყობას. ყველა უბანში გაყვანილია და მოკირწყლულია ქუჩები, გაყვანილია სინათლე, წყალსადენი და სხ. შეკეთებული და ნაწილობრივ განახლებულია ქალაქის ხიდები, მთის ფერდობებზე შენდება ტყეები და საერთოდ ლამაზდება ქალაქი.

ასეთივე ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა საბჭო თბილისის მაზრაში. შეკეთებულია წალკის, ალბულაღის, თიანეთის და სიღნაღის გზატკეცილები, რაზედაც დაიხარჯა სულ 66.392 მანეთი. წყალსადენის გაყვანაშიც, თბილისის მაზრის სხვადასხვა სოფლებში დახარჯულია 51.000 მანეთი. ასეთივე მიღწევები აქვს თბილისის საბჭოს სხვა დარგებშიც.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. მოკამათენი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ თბილისის საბჭოს მიღწევებს, მაგრამ ამავე დროს საყვედურს გამოსთქვამდნენ იმაზე, რომ საბჭო არ აქცევდა სათანადო ყურადღებას აბანოებში და ქუჩებში სისუფთავის დაცვას. მართალია, ალმასკომმა ქუჩებში დადგა ჩასაფურთხებლები, მაგრამ შემდეგში მას ყურადღება აღარ მიაქცია, რის გამო ბევრი მათგანი დაიმსხვრა და შეიქნა ისევ ანტი-სანიტარული მდგომარეობა.

ამომრჩევლები მოითხოვენ საბჭოსაგან რათა მეტი ყურადღება მიექცეს აბანოების რიცხვის გადიდებას თბილისში, სისუფთავის დაცვას, დაზღვეულების დაკმაყოფილებას წამლებით, უმუშევართა დახმარების გაძლიერებას, ელექტრო-ქსელის გაყვანის ფასების კლებას მუშათა რაიონებში და სხვა.

დასასრულ კრებამ საბჭოს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და წინადადება მისცა საბჭოს დეპუტატს, საბჭოს სხდომაზე დასვას ამომრჩევლების მიერ წამოყენებული საკითხები.

X.

რას ამბობენ მუშები

„კრასნი ვოინ"-ის სტამბა

გუშინ, მუშაობის გათავების შემდეგ, შესდგა კავკასიის წითელდროშოვან არმიის სტამბის—„კრასნი ვოინ" მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა საბჭოს წევრის, ამხ. ჯაშიტოვის მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებლის სიტყვით, საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს. გაყვანილია წყალსადენი და ზაჰესის სინათლე მუშათა ბინებში, მოწესრიგებულია ტრამვაის მოძრაობა, დაგებულია ტრ. ლიანდაგი 15 კილომეტრის მანძილზე და სხვ.

მომხსენებელი ეხება აგრეთვე ჯანმრთელობის, განათლების და სავაჭრო კოოპერატიულ სექციის საქმიანობას, და ასკვნის, რომ ამ სექციების მუშაობა დამაკმაყოფილებელი იყო. მომხსენებელს მისცეს 40-მდე შეკითხვა.

ყველა შეკითხვებზე მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ: ამხ. სააკოვი, რიბერგამი, კაფმანი, ჯანაშვილი და სხვ.

ამხ. საკოვი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ საბჭოთა აფთიაქებში დაზღვეულებს წამალს უფასოდ არ აძლევენ. გარდა ამისა მთელი ზამთრის განმავლობაში აფთიაქებში არ იყო თევზის ქონი.

ამხ. კაფმანი, ჯანიაშვილი და სხვები ეხებიან ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხებს და აღნიშნავენ, რომ ზაჰესის სინათლის ბინებში გაყვანას, მანტიორები გინდებ 2-3 კვირას უნდებიან. გარდა ამისა ისინი ეხებიან: ექიმების დაუდევრობას დაზღვეულების მიმართ და საბჭოს დეპუტატების განცხადებების უყურადღებოდ დატოვებას.

ორატორები მოითხოვენ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას - გამოსწორებას.

დასასრულ, კრებამ თბ. საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა. და მისცა მთელი რიგი წინადადებებისა, მომავალი მუშაობის გასაცხოველებლად.

თ—ძე.

საბჭოს მუშაობას გავეცანით

ა. კ. წითელ არმიის ფეხოსანთა სკოლის კურსანტებისა და მეთაურთა საერთო კრებაზე, თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოს დეპუტატმა ამხ. კლიმენტიევმა. მომხსენებელმა გააცნო კრებას თბილისის საბჭოს საქმიანობა და აღნიშნა მთელი რიგი მიღწევებისა საბჭოს მუშაობაში.

როგორც ამხ. კლიმენტიევმა აღნიშნა, თბ. საბჭოს შედგენილი აქვს გეგმა ქალაქის. ახალ წყალსადენის გამოსაყვანად, ტრამვაის ქსელიც საგრძნობლად გაფართოვდა და ვაგონების რიცხვი გადიდდა. წინეთ მუშაობდა 33 ვაგონი, დღეს კი მუშაობს 134 ვაგონი, რომელთაც შორის 20 სრულიად ახალია. ამასთან ერთად მიმდინარე წლის ბოლოს, ქალაქი მიიღებს კიდევ 54 ახალ ვაგონს.

საბინაო მშენებლობაშიც თბილისის საბჭოს დიდი მიღწევები აქვს; შენდება მთელი რიგი ახალი სახლებისა, არის დადგენილება, რომლის ძალით განსაზღვრული პროცენტი ახლად აგებულ სახლებისა, უნდა გადაეცეს სამხედრო უწყებას, სადაც ჩასახლდებიან უბინაო სამხედრო უწყების თანამშრომლები.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ამხანაგმა, მოკამათენი აღნიშნავდნენ მიღწევებთან ერთად ნაკლსაც. ამხ. ჩერნიკოვი შეეხო თბილისის მაზრის სოფლებში პოლიტ-განმანათლებელ მუშაობას და აღნიშნა, რომ თუმცა თბილისის ახლო-მახლო სოფლებში აწყობენ კინო სურათების ჩვენებას, მაგრამ მას პრიმიტიული ხასიათი აქვს. კინოს აჩვენებენ ხელით საბრუნავ მანქანით, რომელიც ხშირად ფუჭდება და კინო უშედეგოთ თავდება. ამიტომ საჭიროა ელექტრო დენით მოწყობილი მანქანების წაღება სოფლად. თბილისის საბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

შემდეგმა ამხანაგმა აღნიშნა დაუდევრობა მეცხვარეების მიერ საკვები მასალის საზამთრო მომარაგების საქმეში, რაც დიდ ზარალს იძლევა. ამხ. რასკუტინი შეეხო საბჭოს მუშაობის ზოგიერთ ნაკლს და დაუდევრობას, რომელსაც ადგილი აქვს ტრამვაიზე, არც კონდუქტორები და არც მილიცია არავითარ ზომებს არ ღებულობენ ტრამვაიზე ასვლა-ჩამოსვლის მოსაწესრიგებლად.

დასასრულს თბილისის საბჭოს მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად და საბჭოს ორი წევრის ადგილზე, რომლებიც არ იმყოფებიან თბილისში, კანდიდატები დაამტკიცა წევრებად, ხოლო ახლად არჩეული იქნა ორი კანდიდატი. შემდეგ სახალხო მსაჯულებად კრებამ აირჩია ოცი კაცი, თოთხმეტი წევრი და ექვსი კანდიდატი.

დამსწრე.

მუშათა ცხოვრება

„კომუნისტი"-ს მუშკორთა ლიტერატურული წრე

გაზეთ „კომუნისტი"-ს მუშკორთა ორგანიზაციასთან დაარსდა მუშკორთა და მუშა-გლეხ მწერალთა სალიტერატურო წრე. წრემ უკვე აირჩია 7 კაცისაგან შემდგარი ბიურო, რომელიც საქ. პრ. მწერალთა ასოციაციის დახმარებით, უხელმძღვანელებს წრის ყოველ გვარ მუშაობას.

წრის მიზანია: მუშკორთა და მუშა-გლეხ მწერალთა კულტურულ დონის ამაღლება, განხილვა მუშა-გლეხმწერლების ნაწარმოებისა და სხვა თანამედროვე გამოცემების, ბიურომ გამოიმუშავა სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვით წრის წევრები წაიკითხავენ ლიტერატურის შესახებ რეფერატ-მოხსენებებს, გაეცნობიან მეცხრამეტე საუკ. მწერლობას და სხვა.

მეცადინეობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრეთვე საქართ. და რუსეთის პროლეტმწერლობის შესწავლას, შეძლების დაგვარად გაეცნობა რუსეთისა და ევროპის კლასიკურ მწერლობასაც. წრე შეისწავლის წერის ტეხნიკას და გაეცნობა პროლეტარულ კულტურის და პროლეტმწერლობის ძირითად ამოცანებს.

გარდა ამისა ბიურომ სასურველად სცნო ალმანახ „მიზანი"-ს ყოველ თვიურ ორგანოდ გადაქცევა, რის გამო შუამდგომლობა აღძრა გამომცემლობა „შრომა"-ს წინაშე, რათა მან აიღოს თავის თავზე „მიზანი"-ს გამოცემა, რაც შეეხება ჟურნალის გავრცელებას. იგი ამით უზრუნველყოფილია: ჟურნალს ჰყავს მუშა მკითხველთა საკმაო რაოდენობა. გარდა ამისა თვით წრის წევრები ჩაატარებენ ჟურნალზე ხელის მოწერას.

სალიტერატურო წრის ფონდის შესაქმნელად, ბიურომ დაადგინა შემოიღოს წრეში 5 პროცენტიანი ანარიცხები ჰონორარიდან. პირველად კი წრის წევრთა შორის შეგროვის თანხა ერთდროული დახმარების სახით.

წრეს ხელმძღვანელობს საქ. პრ. მწერალთა ასოციაციის მდივანი ამხ. ბუაჩიძე და გაზ. „კომუნისტი"-ს მუშათა ცხოვრების განყოფილება სალიტერატურო წრის ბიუროსთან ერთად. წრე მეცადინეობს ორ კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით.

ა. ხ—ძე.

მაქსიმ გორკის საღამო

30 მარტს, ავლაბრის მუშათა კლუბში გაიმართა მაქსიმ გორკის საიუბილეო საღამო. საღამო მოაწყო ამ. სექციასთან არსებულმა ახალგაზრდა კომკავშირელ მწერალთა წრემ.

მოხსენებით მაქსიმ გორკის მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა სომეხი მწერალი სურხანიანი, რომელმაც გააცნო დამსწრეთ მაქსიმ გორკის ცხოვრება და მისი მოღვაწეობა. მოხსენების შემდეგ გამოვიდნენ ახალგაზრდა პროლეტ. მწერლები და პოეტები, რომლებმაც წაიკითხეს საკუთარი ნაწარმოებები მაქსიმ გორკზე.

ამის შემდეგ ნაჩვენები იქნა კინო „დედა" მ. გორკის ნაწარმოების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ საღამოს, გარდა მოპატიჟებულ ახალგაზრდებისა, დაესწრნენ აგრეთვე ავლაბრის ავარებიც, რომლებიც არღვევდნენ საერთო წესს და ახალგაზრდა პოეტებს არ აძლევდნენ საშუალებას ეთქვათ ლექსები. ავარების ასეთი თავგასულობა პირველი არ არის ამ კლუბში. ისინი თითქმის ყოველ საღამოს იჭრებიან კლუბში და აქვთ ერთი ამბავი. ამიტომ მუშები და მათი ოჯახის წევრებიც. ცოტა არ იყოს ნაკლებად ესწრებიან კლუბში გამართულ წარმოდგენებს.

საჭიროა მილიციამ მიიღოს სასტიკი ზომები ავლაბრის მუშათა კლუბის ხულიგნებისა და ავარების ერთხელ და სამუდამოდ ასალაგმავად.

უსაშომბლო.

ჯამაგირს აგვიანებენ

კოლხელშეკრულების თანახმად, ქალაქის ყველა ამბულატორიებში ხელფასი რიგდება თვეში ერთხელ. არა უგვიანეს თვის 25-ით რიცხვში. მაგრამ საუბედუროდ სავალდებულო დადგენილება ქაღალდზე რჩება:

ქალაქის ტრამვაის ამბულატორიაში, ხელფასი რიგდება მეორე თვის 5—7 რიცხვებში. უკანასკნელ ხანებში ჯამაგირების დაგვიანებამ სისტემატიური ხასიათი მიიღო.

გარდა ამისა თვეში ერთხელ ჯამაგირების დარიგება, თუნდაც ეს ხდებოდეს თავის დროზე, არ არის მიზანშეწონილი. უფრო უკეთესი იქნება, რომ ამბულატორიებში მომუშავე მუშებისათვისაც შემოღებული იქნეს სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებების საერთო წესი და ხელფასი რიგდებოდეს თვეში ორჯერ.

მედსანშრომის კავშირმა უნდა მოაწესრიგოს ეს საქმე და მიიღოს ზომები ხელფასის თავის დროზე დასარიგებლად.

მ. ტურაულელი.

წითელ მფრინავებს

თქვენს ფრენას და გმირულ სახეს,
საამაყო მტკიცე რწმენას,
ცის ტატნობზე მონავარდეს
წითელ მხედარს, ფხიზლად მქროლავს;
სალამს გიძღვნით, მშრომელების
მოლექსე და მომღერალი,
თქვენი ტრფობით ანთებული
შრომის შვილი, პროლეტარი.
ვაშა, ვაშა! თქვენს მხნეობას,
სამოქმედო იმ თქვენს ძალებს,
მუშურ გლეხურ სამშობლოსთვის
თავს, რომ სდებს და ანაცვალებს.

ხით. ხიდისთაველი.

მეისრის დაუდევრობა

ამას წინად სად. ასტაფის მორიგე ქმედმა, ტელეფონით გადასცა უფროსს მეისრეს, რომ სად. შაქარლიდან გამოვიდა ამკრეფი მატ. № 349, რომელიც უნდა მიეღო პირველ ლიანდაგზე.

იმავე დროს, მეორე მხრიდან, სად. ტატლუდან, იმავე მორიგემ გადასცა ტელეფონით მეისრეს, რომ მას მიეღო მატ. № 2 მეორე ლიანდაგზე, მაგრამ სად. შაქარლის მხარის მორიგე მეისრემ უკუღმა შეასრულა სადგურის მორიგის განკარგულება და მატ. № 349 პირველის მაგიერ, მიიღო მეორე ლიანდაგზე, სადაც უნდა მიეღოთ მატ. № 2.

კარგი, რომ მატ. № 349 ადრე მოვიდა და საფრთხე აცილებული იქმნა თავიდან, მაგრამ ორივე მხრიდან, რომ ერთად შეჯახებულიყვნენ მატარებლები, არც ერთი ვაგონი არ გადარჩებოდა მთელი და ადამიანის მსხვერპლიც იქნებოდა.

ასეთი დაუდევრობით და დაუკვირვებლობით ხდება მატარებლების დამსხვრევა, რომელიც აუარებელ ზარალს აყენებს რკინის გზას.

გამგეობამ სასტიკი პასუხი უნდა მოსთხოვოს დაუდევარ მეისრეს და შეაგნებინოს მას თავისი მოვალეობა.

წყალტუბელი.

მუშკორთა წერილებიდან

როდის შეაკეთებთ. თბილისის საქონლის სადგურის მტვირთველ მუშებს აუდიტორია, სადაც სწარმოებს სხვადასხვა წრეების მეცადინეობა, ძალზე დაზიანებულია. ჭერი ჩამონგრეულია და ფანჯრები დამსხვრეულია, რის გამო შეუძლებელი ხდება მუშების საერთო კრებების მოწვევა. სალიანდაგო დარგის მე-6-ე უბანო, როდის შეაკეთებ აღნიშნულ აუდიტორიას.

მუშა ადგილობრივი.

იარაღი ჩამოართვით. 14 აპრილს, გრიბოედოვის ქ. სახ. № 13-ში მცხოვრებმა, ვინმე აკაკი ოდიშარიამ, რომელიც ძალზე გალეშილი იყო ღვინით, იძრო რევოლვერი და სიკვდილით ემუქრებოდა მის ერთ ერთ მეზობელს თუ უკანასკნელი არ აჩვენებდა სად იყო მისი (მეზობლის) ძმა. უდავოა, რომ მოქ. ოდიშარია კიდევ გაიმეორებს ასეთ შემთხვევას, რომელსაც შეიძლება მსხვერპლიც მოჰყვეს. ამიტომ სათანადო ორგანომ უნდა ჩამოართვას მოქ. აკ. ოდიშარიას იარაღი.

ზიმ.

თავი მოვგაბეზრა. მოქ. ნატალია წამალაშვილმა თავი მოაბეზრა მის სახლში (ცხრა ძმის ქუჩა № 14) მცხოვრებ პროფკავშირის წევრებს. ეს ქალბატონი ხშირად ისეთი სიტყვებით უმასპინძლდება მდგმურებს, რომ ქუჩის ავარა გეგონებათ. მილიციავ, მოარჯულე სახლის პატრონი.

მდგმური.

განსხვავებას არ აძლევენ. სალიანდაგო დარგის მე-7-დე უბნის შემკეთებელი მუშა გახარია, თითქმის მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა მეტაბელეს დამხმარეთ, მაგრამ რატომღაც უბნის უფროსი არ აძლევს განსხვავებას. შრომის ინსპექტორო მოაგვარე ეს საკითხი.

ჩხარელი.

მომღერალთა გუნდი დაიშალა. გასულ სასწავლო წელში, რკინის გზელთა მუშფაკთან ჩამოყალიბებული იყო მომღერალთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მ. კავსაძე, მიმდინარე სასწავლო წელს კი მომღერალთა გუნდი დაშლილია. პროფკომო, რატომ არ აღადგენ გუნდს.

მსმენელი.

კულტმუშაობა მოიკოჭლებს ამხ. კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში, უკანასკნელ ხანებში კულტურული მუშაობა მოიკოჭლებს. ქარხკომო, გააცხოველეთ კულტმუშაობა.

ქარხნელი.

საწარმოო კომისია არ მუშაობს. ზეთსახდელი ქარხნის საწარმოო კომისია ვერ მუშაობს ნაყოფიერად. ქარხანაში ბევრი საკითხია მოსაწესრიგებელი, მაგრამ საწარმოო კომისია თავსაც არ იწუხებს. ქარხკომმა ზომები უნდა მიიღოს საწარმოო კომისიის გამოსაცოცხლებლად.

ზეთის მხდელი.

წყალდიდობა საქართველოში

თბილისში

გუშინ დილისათვის მტკვარის დონემ იმდენად იმატა, რომ წყალით დაიფარა ორთაჭალის ბაღების ნაწილი.

გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე, წყალი ხარფუხის ხიდის დონემდე იყო ამოსული. წყალდიდობასთან მებრძოლ რესპუბლიკანურ კომისიის განკარგულებით ხიდზე შეწყდა მოძრაობა.

მტკვარს კიდევ უფრო აღიდება წალეკვით ემუქრება ხიდს.

გუშინ ორთაჭალის რაიონში მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი გადასახლებულ იქნა მათთვის მიჩნეულ თავშესაფარში.

დილიდანვე წყალით დაიფარა აგრეთვე ახალი სანაპირო ქუჩა.

ზაჰესში

მტკვრის ადიდების გამო გუშინ ზაჰესის ნაგებობათა დასათვალიერებლად გაემგზავრა ზაჰესის სამმართველოს სპეციალისტთა კომისია. კომისიის დაბრუნების შემდეგ ზაჰესის სამმართველოს უფროსმა ინჟენერმა—კაპელერმა განაცხადა, რომ მიუხედავად არაჩვეულებრივი წყალდიდობისა, ზაჰესის მთავარი საგუბარი ისე მტკიცეა, რომ საგუბარს არ მოელის საფრთხე.

საგუბარის ფარები თავისუფლად მოქმედებენ და წყლის გაშვება მთავარ არხში ადვილად ხდება. წყალდიდობის ზაჰესისათვის არავითარი ზიანი არ მოუტანია. ყველა ნაგებობები მტკიცედა.

ქალაქის წყალსადენზე

თბილისის წყალსადენის სამმართველოში გუშინ მიიღეს ცნობები, რომ ადიდებული მტკვარი წალეკვით ემუქრება წყალსადენის მთავარ არხის სათავეს და იქვე აგებულ ჯებირს.

ჯებირის გასამაგრებლად და წყალსადენის არხის დასაცავად მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები. სამუშაოების დასათვალიერებლად ადგილობრივ გაემგზავრა წყალსადენის მთავარი ინჟენერი ლ. დიასამიძე.

მტკვარის დონე გუშინ საღამოს

გუშინ საღამოს 7 საათზე მტკვარში წყლის დონემ მიაღწია 400 სანტიმეტრს. ამრიგად მტკვარის სიღრმე ამჟამად 4 მეტრით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ. წყალდიდობასთან მებრძოლი სამეულის ვარაუდით, თუ წყალმა კიდევ მოიმატა, ნახევარი მეტრით, რიგი სახლებით დაიფარება წყლით და ორთაჭალის კუნძულიც წაილეკება.

საუბარი ინჟ. ქურდიანთან

მტკვრის ადიდებასთან დაკავშირებით, წყალდიდობასთან მებრძოლ რესპუბლიკანურ კომისიის წევრმა ინჟ. ქურდიანმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

გუშინ კომისიის წევრებმა დაათვალიერა წყალდიდობის მხრივ საშიში ადგილები. ყველაზე უფრო სახიფათოა ორთაჭალის და რიყის რაიონი და პეტრიწის მოედანი.

ხარფუხის ხიდს ორთაჭალაში ყველაზე უფრო მეტი საფრთხე მოელის.

მართალია, ახალი სანაპირო ქუჩა წყალით არის დაფარული, მაგრამ ამ ქუჩის მახლობელ ადგილებს ჯერ-ჯერობით წალეკვა არ მოელის.

გუშინ, დილით მტკვრის დენის სისწრაფე წამში უდრიდა 1.200 მეტრს. მტკვრის დენის ნორმალურ სისწრაფედ კი ითვლება 100 მეტრი წამში.

შუადღისას მოველოდით მტკვრის დონის დაწევას, მაგრამ ეს მოსაზრება არ გამართლდა; მტკვრის დონე თანდათან მატულობს.

გუშინ დილიდანვე წყალდიდობისათვის საშიშ ადგილებზე მორიგეობდნენ ცეცხლის მქრობელი რაზმის და ცხენოსანი მილიციის თანამშრომლები, რომელნიც დახმარებას უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას.

წყალზე დახმარების გაძლიერება

მდ. მტკვრის დონის არაჩვეულებრივი ადიდების გამო, წყალზე დამხმარე თბილისის საზოგადოებამ გააძლიერა მდინარეზე თვალყურის დევნების საქმე ქალაქის ფარგლებში.

ამ მიზნით საზოგადოებამ სთხოვა ქალაქის კომენდანტს გამოეყო საზ-ბის განკარგულებაში ცურვის მცოდნე 21 წითელარმიელი.

ქალაქის კომენდანტმა წყალზე დამხმარე საზოგადოების თხოვნა დააკმაყოფილა.

წითელარმიელები განაწილებული არიან შვიდ გადამრჩენ პუნქტზე—მარქსის ხიდიდან—დიდუბემდე.

ამ პუნქტებზე მანამდე მომუშავე ყველა მეზღვაურები მოხსნილი და გადაყვანილი არიან მუხრანის და მეტეხის ხიდებ შორის მდებარე დამხმარე პუნქტებზე—პეტრიწის მოედნის რაიონში მოსახლეობისათვის დახმარების გაწევად.

სახიფათო ნიძლავი

წყალზე დამხმარე თბილისის საზოგადოების ცნობით, მტკვრის ადიდების პერიოდში ადგილი ჰქონდა მდინარეში ჩავარდნის მხოლოდ ერთ შემთხვევას.

— 5 აპრილს ა.-კ. ქვეითა სკოლის კურსანტი ვ. კრომარენკო დაენიძლავა თავის ამხანაგს, რომ გადასცურავს მდინარეს.

კრომარენკომ შესცურა აზვირთებულ მდინარეში და უნდოდა მისი გადაჭრა პირდაპირ—მარცხენიდან—მარჯვენა ნაპირამდე. მაგრამ მალე დაიქანცა და არაქათ გამოლეული ეს იყო იღრჩობოდა, როცა იგი შეამჩნიეს წყალზე დამხმარეებმა: კ. ხუციშვილმა და პ. გრიჩუშნიკოვმა, რომლებმაც კრომარენკო გადაარჩინეს დახრჩობას.

წყალდიდობასთან მებრძოლ კომისიაში

გუშინ შესდგა წყალდიდობასთან მებრძოლ საგანგებო კომისიის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა ცნობები წყალდიდობის შესახებ ადგილებზე. სხდომაზე გამოირკვა, რომ მთელ რიგ მაზრებში ადიდებული მდინარეები ასცილდა ნაპირებს და ზოგან დააზარალა სოფლები და ნათესები. განსაკუთრებით სერიოზული მდგომარეობაა გორისა და შორაპნის მაზრებში.

კომისიამ დაადგინა სასწრაფოდ მიავლინოს ადგილებზე სპეციალისტები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ ბრძოლას წყალდიდობასთან.

კომისიის დადგენილებით სიღნაღის და თელავის მაზრაში გაიგზავნა ინჟენერი ვ. ჩხეიძე, შორაპნის მაზრაში—ინჟ. ფალკოვიჩი, და ბორჯომის ხეობაში ინჟ. კიზიმა.

გარდა ამისა საგანგებო კომისიამ გადასწყვიტა წყალდიდობისაგან დაზარალებულ რაიონებში დაუყოვნებლივ იქმნას გადაგზავნილი დამატებითი თანხები ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოების დასაჩქარებლად. მარტო გორის სამაზრო სამეულის განკარგულებაში გუშინ უკვე გადაიგზავნა 7.000 მანეთი.

წყალდიდობა თბილისში

წყალმა გადაიარა კარლ მარქსის ხიდთან არსებულ ხე-ტყის ქარხნის დასაცავად მოწყობილ ხის ჯებირზე, რომლიდანაც მხოლოდ რამდენიმე ბოძი და ფიცარი მოსჩანს

წყალდიდობა თბილისში

ვერის ხიდს ქვემოთ მტკვარის მარჯვენა ნაპირზე გაყვანილი ახალი ქუჩის ბეტონის კედელი გადალახა წყალმა და დაფარა მთელი ქუჩა

ცნობები ადგილებიდან

შორაპნის მაზრაში

შორაპნის მაზრიდან წყალდიდობასთან მებრძოლ საგანგებო კომისიას დეპეშით ატყობინებენ, რომ მდ. ჩხერიმელა გადმოვიდა ნაპირებიდან და დაფარა დაბა ხარაგოულის ნაწილი. მდინარემ დაანგრია რამოდენიმე სახლი და გაანადგურა ყანები და ბაღები. ადიდებულია აგრეთვე მდ. ყვირილა, რომელიც წალეკვით ემუქრება ქალაქ ჭიათურის მარჯვენა ნაწილს.

შორაპნის მაზრაში 6 აპრილს მოვიდა დიდი წვიმა, რომელმაც გამოიწვია მეწყერები, და პატარა ღელეების ადიდება. მეწყერმა გაანადგურა ყანები და დაანგრია საცხოვრებელი ბინები. მოსალოდნელია საჩხერის ხიდის წალება. სოფლებში დიდი ზარალია. მაზრიდან ითხოვენ სპეციალისტების გაგზავნას წყალდიდობასთან ბრძოლის საქმის სახელმძღვანელოდ.

ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

გორის მაზრაში

გუშინ გორიდან დაბრუნდა ინჟ. კიზიმა, რომელიც მივლინებული იყო წყალდიდობასთან საბრძოლველ სამუშაოების სახელმძღვანელოთ. ინჟ. კიზიმას ცნობით, უკანასკნელ დღეებში გორში ადგილი ჰქონდა დიდ წყალდიდობას. მდ. ფშანმა დაფარა ქალაქის რამოდენიმე ქუჩა, მოხილა მოედნები და დაანგრია ადგილობრივი ჰიდრო-ელსადგურის სათავეში მდებარე მთავარი საგუბარი. ჰიდრო-ელსადგურის მუშაობის შეწყვეტის გამო ქალაქი უსინათლოთ დარჩა.

გორი, 7 აპრილი. ალმასკომში მიღებული ცნობების თანახმად, ბორჯომში ნაპირებიდან გადმოვიდა მდინარე შავი წყალი და წაიღო რკინისგზის ხიდის ნაწილი და გადარეცხა ბაკურიან-ბორჯომის გზატკეცილი. მდინარე თანდათან მატულობს.

წყალდიდობასთან მებრძოლი სამეული იღებს სასწრაფო ზომებს უბედურების თავიდან ასაცილებლად. (ალს).

სამხრეთ-ოსეთში

ცხინვალიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 6 აპრილს საღამოს მდ. ლიახვმა მოულოდნელათ მოიმატა. ცხინვალის მახლობელ რაიონებში მდინარე გასცილდა ნაპირებს და წყლით დაფარა მახლობლათ მდებარე ბოსტნები და ბაღები. 7 აპრილს დილას მდინარეში წყალი გაიზარდა 220 სანტიმეტრამდე.

რიონის ადიდება

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ჰიდრომეტრიული განყოფილების ცნობებით, 7 აპრილს მდ. ცხენისწყალის დონე ქალ. სამტრედიასთან უდრიდა 188 სანტიმეტრს. მაქსიმუმამდე ადიდებისას მდინარის დონე აღწევს 841 სანტიმეტრს.

მდ. რიონის დონემ 7 აპრილისათვის მიაღწია 862 სანტიმეტრს.

ალაზნის ველზე

წყალთა მეურნეობის სამმართველოში მიღებული ცნობებით, უკანასკნელ დღეებში ძალიან ადიდდა მდ. ალაზანი. წყალმა წაიღო ალაზნის ხიდის ზემოთ დამზადებული სამშენებლო მასალა და თითქმის სავსებით დაფარა აგებული ჯებირი. გარდა ამისა მდინარე შეიჭრა არხებში და ბევრგან ტბები დააყენა.

ალაზნის ხიდის დასაცავად მუშაობა სწრაფი ტემპით სწარმოებს.

რკინისგზებზე

გზის წალეკვა

უკანასკნელ დღეებში თოვლის დნობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. ამან გამოიწვია მდინარეების ადიდება.

ხელოვნური ნაგებობათა და საშიშარ ადგილების დასაცავად წყალდიდობისაგან თავის დროზე იყო მიღებული ყველა ზომები, მაგრამ უკანასკნელ დღე-ღამის განმავლობაში მდინარეების ადიდებამ მოულოდნელ გადააჭარბა და ნაპირებიდან გადასულმა წყლებმა სამ ადგილას წალეკა რკინის გზის ხაზი.

სამხრეთის უბანზე

სომხეთის ხაზზე საღამოს 6 აპრილს ძალიან იმატა მდ. დებეთ-ჩაის დონემ. წყალი ემუქრებოდა სადგურ სანაინს. რაიმე ზომების მიღება შეუძლებელი შეიქნა. ჩქარა მდინარე გადავიდა ნაპირებზე და შეიჭრა სად. სანაინის მესამე კლასის დარბაზში. წყლით აივსო აგრეთვე სადგურის მოსამსახურეთა ბინები, მდგმურები ამ ბინებიდან გამოასახლეს და მოათავსეს ვაგონებში.

მატარებლების მოძრაობა არ შეფერხებულა. დილას 7 აპრილს წყალმა კლება იწყო.

აღმოსავლეთის უბანზე

ღამით 6—7 აპრილს ადიდებულმა წყალმა წალეკა რკინის გზის ხაზი სადახლო-აირუმს შუა. მატარებლების მოძრაობა შეფერხდა ოთხი საათით.

მოძრაობა აღადგინეს.

დასავლეთის უბანზე

დასავლეთის უბანზე გზა წალეკილია ლიხი-წიფას შუა. ეს პირველი შემთხვევაა რკინის გზის ხაზის წალეკვისა საულელტეხილო უბანზე.

გზა დაზიანებულია 50 მეტრის მანძილზე.

მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილი იყო ხუთი საათის განმავლობაში.

გზატკეცილებზე

გუშინ ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველომ მიიღო ცნობა, რომ ბათომ-ხულოს გზა კვლავ დაფარა ადიდებულმა მდინარემ 200 მეტრის მანძილზე. გზაზე მდგომ წყლის სიღრმე მეტრ-ნახევარს უდრის.

მოძრაობა შეწყვეტილია. მიღებულია ზომები მოძრაობის აღსადგენად.

ოსეთის სამხედრო გზაზე, ალპანის ახლოს, მეწყერმა შეაფერხა მოძრაობა.

ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ცნობით მოძრაობა აღდგენილ იქნება სამ დღეში.

მეცნიერება და ტექნიკა

მედიცინის დოქტ. მ. კალანდარიშვილის გამოგონება

სითხეთა გამაუსნებიანებელი ხელსაწყო

მეცნიერებას დღემდე არ ჰქონია ისეთი ტეხნიკური საშუალება, რომ ერთხელ და სამუდამოთ დაეცვა ბუნებრივი საშუალებით (დუღილით, გაწურვით) გაჭუჭყიანებისა და გაშლა გახრწნისაგან ხელოვნურად გასუფთავებული უნდა თავის თავად (ბუნებით) სუფთა ორგანიული სითხეები.

დღემდე არსებული ხელოვნური ხელსაწყოები იძლეოდნენ საშუალებას გაგვეწმინდა სითხეები მათში მოყოლილი მიკრო-ორგანიზმებისაგან დუღილით-სტერილიზაციით ან ფილტრაციით, მაგრამ ადუღებული სითხეები გაციების დროს ჰაერიდან ჩამავალი მიკრო ორგანიზმებით ხელახლად ჭუჭყიანდება, ხოლო გაწურვა-ფილტრაცია მოქმედებს მოკლე ვადის განმავლობაში. ჰიგიენისტ კონტრადიევის აზრით, მოხარშული წყალი სრულიად საიმედოა ადუღების პირველ ღამეს და მერმე ფუჭდება და ამიტომ საჭიროა მისი ყოველ დღე გამოცვლა". ანადუღების წყლის ასე ჩქარა გაფუჭება აიხსნება იმით, რომ გაციების დროს ჯერ კიდევ თბილ წყალში გაუწურავ ჰაერიდან მტვერთან ერთად ჩადის მიკრო ორგანიზმებიც და შიგ დიდი სისწრაფით მრავლდებიან.

ცხოვრებაში უსაჭიროეს საგნების—წყლის, რძის,—და მსგავსი სითხეების გაჭუჭყიანებისაგან სამუდამოდ დაცვა — აი, ის ამოცანა, რომელსაც მიზნად ისახავს მედიცინის დოქტორ მ. კალანდარიშვილის მიერ გამოგონილი აპარატი „გამაუსნებიანებელი დამცველი" ამ ახალ ხელსაწყოში გამომგონებლის მიერ მოხერხებულად შეთავსებულია შემდეგი შესაძლებლობანი: სითხის ადუღება, ჰაერის გაწურვა და სუფთა სითხის დაცვა ჰაერში მყოფ მიკრო-ორგანიზმების გაჭუჭყიანებისაგან, ამ სამი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტის მიზნით ხელსაწყო გაკეთებულია ლითონისაგან, დახურულია გერმეტიულად, იტანს ორთქლის აწეულ წნევას და აღჭურვილია სახურავში—ჰაერის საწური მოწყობილებით და წინასწარ დამცველი სარქველით, მისი კედლის ზედა მესამედში—სამარაგო საცობ ონკანით და მანომეტრით, ქვედა მესამედში ფსკერთან—ჩვეულებრივი ონკანით.

ხელსაწყოს სტერილიზაცია სწარმოებს ჩვეულებრივი გზით: მას ადუღებს „პრიმუსი".

ჰაერ-საწურ მოწყობილების დანიშნულება ის არის, რომ გაანთავისუფლოს სათანადო არეში გატარებით მასში შემავალი ჰაერი მცირე ცხოველებისაგან, უმალვე, ვიდრე ჰაერი შეუერთდებოდეს ამ ჭურჭელში დაცულს და ადუღების საშუალებით უკვე გასუფთავებულ სითხეს, და აგრეთვე დაიცვას წმინდა სითხე შემდგომი გაჭუჭყიანებისაგან.

ამ მიზანს აღწევენ ავტორისაგან ამისათვის საგანგებოდ გამოგონილი ონკანები, რომელთაც აქვთ გარდი-გარდმო (დიამეტრალური) და სხივებრივი (რადიალური) მილები. საჭიროა ამ ონკანების საცობების სათანადოთ დაყენება აპარატში წყლის ჩასხმის, მისი ადუღების, გაციების და ხარჯვის დროს. საცობების დაყენება სწარმოებს მათი იმ ხაზზე მობრუნებით, რომელსაც გვიჩვენებს საცობების სახელურები და წარწერა ონკანთა ბუდეების გადანაკეცებზე.

ამ ხელსაწყოს მოხმარება და გამოყენება შეუძლია ყველას წერა კითხვის ოდნავ მცოდნესაც-კი ყოველ დღიურ პრაქტიკულ მიზნებისათვის,—სასმელი წყლის, რძის, ლუდის, კვასის, სიროფის და სხვა სითხეების ასადუღებლად, მათ შესანახად და დასაცავად.

სეროლოგიაში (შრატის მცოდნეობაში) დოქტორის კალანდარიშვილის ხელსაწყო საშუალებას იძლევა მივიღოთ ბუნებრივად ულპობელი სამკურნალო და ასაცრელი შრატები (ქიმიურ შემნახველ ნივთიერებათა შეურევლად), მით უფრო, რომ ქიმიური საშუალებები ყოველთვის არ უზრუნველყოფს გაფუჭება-გახრწნისგან ორგანიულ სითხეების და ამასთანავე არც სხეულისათვისაც არის სრულიად უვნებელი.

მედიცინის დოქტორი მ. ა. კალანდარიშვილი

—:—

ჩვეულებრივ ცხოვრებაში დოქტორ კალანდარიშვილის ხელსაწყო შესაძლებელია მოხმარებული იქნეს ყველა იმ შემთხვევაში, სადაც საჭიროა ვიქონიოთ სრულიად სუფთა სტერილური წყალი (საავადმყოფოებში, აფთიაქებში, სანატორიუმებში, ამბულატორიებში, თავშესაფარებში, სკოლებში და სხვა). ამავე ხელსაწყოს (უფრო შემცირებული ზომით) კერძო ოჯახებში შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს დედებს ძუძუ მწოვარ ბავშვების ხელოვნურად გამოკვების დროს, რადგან ამ აპარატში ატმოსფერის აწეული წნევის ქვეშ ადუღებული რძე და დაცული საცობების სათანადო დაყენებით, არასოდეს არ აიჭრება და მით უზრუნველყოფს ბავშვებს კუჭ-ნაწლავის დაავადებისაგან.

ეს ხელსაწყო გამოსადეგია აგრეთვე ღვინის წარმოებაში: ღვინის კასრების ჰაერ-საწური მოწყობილებით აღჭურვა დაიხსნის ღვინის ნაკლულ ჭურჭლებში წახდენისაგან. ლუდის, პურახის და სიროფის წარმოებაში ჰაერ-საწური დაიცავს ამ სითხეებს გაფუჭებისაგან და საჭირო აღარ იქნება კასრების გარშემო ყინულის შემოწყობა იმ მიზნით, რომ ყინულმა ხელი შეუშალოს მათში მიკრო-ორგანიზმების განვითარება-გამრავლებას.

მიზანშეწონილი იქნება აგრეთვე ამ ხელსაწყოს გამოყენება რკ. გზის ვაგონებში და საწყობებში, სადაც ამ ხელსაწყოების საშუალებით შესაძლებელი გახდება ჩქარა წასახდენ ტვირთების ხანგრძლივი დაცვა.

დოქტორ კალანდარიშვილის მიერ გამოგონილი აპარატი, განხილული და გამოცდილი იქმნა საქარ. პროფკავშირთა სამეცნიერო სექციებში, სადაც ეს ხელსაწყო გადაგზავნილი იყო ს. მ. უ. ს. მიერ დასკვნისათვის. ქიმიკოსთა პროფკავშირის სამეცნიერო ძალთა ბიურო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ექიმ კალანდარიშვილის ხელსაწყო მიზანშეწონილია სითხეთა სტერილიზაციისა და სტერიული სითხეების შენახვისათვის, რომ ეს ხელსაწყო სასარგებლო იქნება ლაბორატორიებში, სადაც მზადდება სხვა და სხვა სამკურნალო შრატები. ასეთივეა მელითონეთა კავშირის სამეცნიერო ძალთა ბიუროს დასკვნა ამ აპარატის გამოყენების შესახებ.

დოქტორი კალანდარიშვილის ხელსაწყო მოსცადა აგრეთვე საქ. ჯანსახკომისარიატის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიგიენის კათედრის პროფესორი სიმონ ამირეჯიბი, და გამოიტანა შემდეგი დასკვნა: მედიცინის დოქტორის მ. ა. კალანდარიშვილის ხელსაწყო წარმოადგენს ახალ გამოგონებას და წყლის გაწმენდის და შენახვის საქმეში უნდა ჩაითვალოს სრულიად დამაკმაყოფილებლად, როგორც საბრძოლველი იარაღი იმ გადამდებ სენებთან, რომელიც წყლის საშუალებით ვრცელდებიან".

1925 წ. 28 მაისს ეს ხელსაწყო სათანადო მოხსენებით წარედგინა სრულიად საქ. ექიმთა მე-3 კონგრესს.

იმავე წლის ივნისიდან 1927 წლის სექტემბრამდე ამ აპარატების ნახაზები და დაწვრილებითი აღწერილობა პატენტის მიღების წესით ირჩეოდა საკავშირო სმუსთან არსებულ გამოგონებათა კომიტეტში, რომელმაც ხელსაწყო სცნო ორიგინალურ გამოგონებად და მის ავტორად აღიარა მედიცინის დოქტორი მოსე ანთიმოზის ძე კალანდარიშვილი (იხ. ჟურნალი „Вестник комитета по делам изобретений" № 8, 1927 წ. 31 აგვისტო).



მ. ა. კალანდარიშვილის მიერ გამოგონებული აპარატი — სითხეთა დასაცავად ულპობელად.

ახალი ელექტრონის ფეჩი

ელექტრონის ფეჩებს, რომლებიც ამჟამად მოიპოვება ბაზარზე, აქვთ მრავალი ნაკლი, რომელთა შორის მთავარია ის, რომ ისინი ათბობენ მანამდე, სანამ მათში გადის ელექტრო-დენი. როგორც კი დენის მიწოდება წყდება, ფეჩი უკვე აღარ იძლევა სითბოს, და რადგან ფეჩებით უმთავრესად სარგებლობენ დღისით, ელექტრო- სადგურების ადმინისტრაცია ერიდება ენერგიის მიწოდებას ამ მიზნისათვის, რაც აბრკოლებს შეღავათიანი ტარიფის შემოღებას ელექტრონის ფეჩებისათვის და ხელს უშლის მათ ფართოდ გავრცელებას.

ელექტრონის სადგურები დაინტერესებული არიან გაათანაბრონ ელდენის მოხმარება დღისით და ღამით და ამიტომ შეღავათიან ტარიფს აწესებენ იმ აბონენტებისათვის, რომლებიც ელდენით სარგებლობენ ღამით. ასეთი სატარიფო პოლიტიკა შესაძლებლად ხდის ელდენის ღამეულ მოხმარების გაფართოებას.

ამიტომ გამომგონებელთა ყურადღება იქეთკენაა მიპყრობილი, რომ მოაწყონ ისეთი ელექტრონის ფეჩი, რომელიც ღამით დააგროვებდა სითბოს და დღისით გაათბობდა ბინას. ერთმა გერმანულმა ფირმამ ამ რამოდენიმე ხნის წინათ უკვე გამოუშვა გასაყიდათ ელექტრონის ფეჩი, რომელიც ამ პრინციპის მიხედვით მოქმედობს. ფეჩი დამზადებულია მასალიდან, რომელსაც შეუძლია დიდძალ სითბოს დაგროვება. ღამით ეს ფეჩი თბება ელექტრო-დენის საშუალებით და დიდძალ სითბოს აგროვებს. სითბოს გაპარვა ამ ფეჩიდან თითქმის შეუძლებელია, რადგან მშვენიერი იზოლაცია აქვს. როცა საჭიროა ფეჩის ამოქმედება, მომხმარებელი ხსნის სპეციალურ დგუშს, რომლითაც სითბო იწყებს დენას ატმოსფერაში და ოთახი თბება. ფეჩს საათობით შეუძლია მუშაობა სითბოს მარაგის აღუდგენათ.

როგორ შეიძლება სიმინდის ნარჩენების გამოყენება

სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების დროს ამერიკელი სოფლის მეურნე აუარებელ ნაყარს იღებს. ამ ნაყარის, როგორც ფაბრიკა - ქარხნებში გადასამუშავებელი ნედლი მასალის, გამოყენება ასეულ მილიონი დოლარის შემოსავალს მისცემდა მეურნეს. მაგრამ ის ამჟამად არ იყენებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნარჩენს, იგი იყენებს სიმინდისა და ხორბლის მხოლოდ თესლეულ მასალას.

ქვემოდ ჩვენ ვათავსებთ სიმინდის ნაქურჩელის ტეხნიკური გამოყენების შესაძლებლობის მოკლე მიმოხილვას უკანასკნელი ქიმიური გამოფენის (ნიუ-იორკში) ცნობების მიხედვით.

I. სიმინდის ნაქურჩელის გამოყენება

1) **ფისი.** ღეროების მშრალად გამოხდის დროს იღებენ შავი თხიერ ფისს, რომლის შემდგომი გამოხდის შემდეგ შეიძლება მიღებულ იქნას ბრწყინავი პლასტიური მასალა და რამოდენიმე სახის მსუბუქი ზეთი. ქიმიკოსების გამოკვლევა ამ დარგში ალბად აღმოაჩენს ისეთ გადამუშავებას, რომ ამ ფისმა კონკურენცია გაუწიოს ქვა-ნახშირის ფისს, რომელსაც ფართოდ იყენებენ.

2) **საკვებ ნახშირს** იღებენ ნაქურჩელის მშრალად გამოხდის საშუალებით. საკვები ნახშირი გამოდგება შინაური ცხოველების გამოსაკვებად, კარგია აგრეთვე წიწილების საკვებად.

3) **გააქტივებულ ნახშირს** იღებენ ნაქურჩელის მშრალი გადამუშავებით თუთიის ჟანგთან ერთად. ეს ნახშირი უფრო გამოსადეგია, ვიდრე სხვაგვარი ნახშირი, რომელსაც ამ მიზნით იღებენ.

4) **ჩიბუხის ტარებს და მუნდშტუკებს** ამზადებენ სიმინდის ნაქურჩელიდან უმთავრესად მისურის შტატში, საიდანაც ვრცელდება მთელ მსოფლიოში.

5) **დაფქვილი ნაქურჩელი.** არსებობს დაფქვის სამგვარი ხარისხი: ა) მსხვილად, დაფქვილ ნაქურჩელს იყენებენ გააქტივებული ნახშირის, მეაუნეს მისაღებად. იგი წარმოადგენს სიმინდის ფქვილის მიღების პირველ სტადიას; ბ) საშუალოდ დაფქვილი ნაქურჩელი წარმოადგენს სიმინდის ფქვილის მეორე სტადიას; გ) წვრილად დაფქვილი ნაქურჩელი წარმოადგენს სიმინდის ფქვილის მესამე სტადიას. წვრილად დაფქვილ ნაქურჩელს იყენებენ მრავალ სხვადასხვა საჭიროებისათვის.

6) **სიმინდის ფქვილი** (წითელი ნაქურჩელისაგან) დაფქვის ხარისხი: საცერის 100 ნახვრეტი 1 ხაზოვან დიუიმზე. ამ ფქვილს იღებენ ნაქურჩელის დაფქვით პრედერსჩი და წისქვილში, რის შემდეგაც ნაკლებად დაფქვილ მასალას გამოჰყოფენ საჰაერო სეპარატორის დახმარებით. იყენებენ ხის ფქვილის სუროგატად.

7) **სიმინდის ფქვილი** (თეთრი ნაქურჩელისაგან). დაფქვის ხარისხი: საცერის 100 ნახვრეტი 1 ხაზოვან დიუიმზე. იღებენ იმავე საშუალებით, როგორც წითელი ნაქურჩელისაგან ორივე ფქვილს (წითელს და თეთრს) იყენებენ დიაბეტით (საშარდე ავადმყოფობა) დაავადმყოფებულთა სამკურნალოდ. ამ ფქვილებს იყენებენ აგრეთვე ხელოვნური აბედის მისაღებად, ხმარობენ მხოლოდ მოწევისათვის და პლასტიურ ნივთიერებათა შესავსებად.

8) **ხელოვნური აბედი.** ამჟამად შეერთებულ შტატებში შეაქვთ უმთავრესად ჩინეთიდან. ამ აბედის დასამზადებლად საჭიროა ნაქურჩელის დაფქვა, რომელსაც შემდეგ შეურევენ შემღებავ ნივთიერებას, დაპრესავენ და აშრობენ. ამგვარად დამზადებული აბედი არ ჩამოუვარდება საუკეთესო ხარისხის აბედს, რომელსაც ბაზარზე ჰყიდიან.

9) **წებო.** ნაქურჩელის გადახარშვისაგან იღებენ სითხეს, რომელიც შეიცავს მასალის კარგი ხარისხის წებოს დასამზადებლად, ვინაიდან წებოს დიდი რაოდენობით ხმარობენ განცხადებების გასაკრავად, ეტიკეტებისა და სხვა მიზნებისათვის, ამიტომ ნაქურჩელები შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული წებოს მისაღებად სამრეწველო მასშტაბით.

10) ცელიულოზას იღებენ ღეროების გადახარშვის საშუალებით. ცელიულოზას მაღალი ხარისხი საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას ხელოვნური აბრეშუმის დასამზადებლად.

11) **თაფლის სიროფი.** ნაქურჩელის ექსტრაქტაციით შეიძლება მიღებულ იქნას საუცხოვო ხარისხის სიროფი, რომელსაც თაფლის გემო და სუნი აქვს. ნაქურჩელისგან ესენციის ექსტრაქტაციის შემდეგ მიღებულ ნარჩენს ხმარობენ პაპიე-მაშეს, ალფაცელიულოზის დასამზადებლად და იყენებენ ყველა იმ მიზნებისათვის, რომელთათვისაც საჭიროა მოკლებოჭკოიანი მასალა.

12) **გაზების გასაწმენდი მასალა.** დაფქვილი ნაქურჩელი, დაფარული რკინის ჟანგით, კარგ მასალას წარმოადგენს გაზების წარმოებაში. გაზს ატარებენ ამ მასალაში ნარევების მოსაშორებლად.

13) **ხის ნედლი ძმარი** ისეთივეა, როგორც ხის ძმარი, მიღებული ხის მშრალად გამოხდის დროს. შეიცავს ძმრის სიმჟავეს, ხის სპირტს, აცეტონს და სხვა შენაერთებს მცირე რაოდენობას. ნაქურჩელიდან ძმარი გამოდის 35-დან 38 პროცენტამდე.

14) **ძმრის სიმჟავე.** განსაზღვრული წონის ნაქურჩელიდან შეიძლება თითქმის ორჯერ მეტი ძმრის სიმჟავის მიღება, ვიდრე იმავე წონის ხიდან. ტეხნიკური ქიმიის ეხლანდელ მდგომარეობაში სიმინდის ნაქურჩელის მშრალად გამოხდა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ხის მშრალად გამოხდა.

15) **აცეტონი.** მსოფლიო ომის დროს აცეტონი ზღაპრულ ფასებში იყიდებოდა, ვინაიდან მას იყენებდნენ ასაფეთქებელ ნივთიერებათა წარმოებაში და აეროპლანებისათვის. ნაქურჩელის მშრალად გამოხდის საშუალებით შეიძლება მიღებულ იქნას აცეტონის დიდძალი რაოდენობა.

16) **მჟავანას სიმჟავეს** მიღებაც შეიძლება როგორც სიმინდის ღეროებიდან, ისე ნაქურჩელიდან, რისთვისაც ეს მასალები უნდა დამჟავებულ იქნას აზოტის კომლიანი სიმჟავით და შერეული უნდა იქნეს მწვავე ნატრით. ის გამოსადეგია (წყალის შესარბილებლად) ქადლების შესათეთრებლად.

17) **ხის ანუ მეთილის სპირტი.** (მეტანოლი) მიიღება ნაქურჩელის მშრალად გამოხდის დროს მიღებულ ნედლ ხის ძმრიდან. იხმარება სხვადასხვა ნივთიერებათა (მაგალითად ლაქების) გასაღობად, როგორც სათბობი და ჩვეულებრივი (ეტილის) სპირტის დენატურაციისათვის.

18) **ხის ნედლი შაქარი.** მიიღება ნაქურჩელიდან სიროფის სახით, რომელიც შეიცავს ხის შაქარს გარეშე ნარევ ნივთიერებებთან ერთად. მისი დამზადება ბევრად უფრო იაფია, ვიდრე კრისტალური შაქრის. ძლიერ კარგი სადები მასალა.

19) **ხის შაქარი.** ნაქურჩელიდან შეიძლება დაახლოებით 35 პროცენტი ხის შაქრის მიღება. ამ შაქარს ძლიერ სასიამოვნო სუნი აქვს და ამ მხრივ უმჯობესია ყველა შაქრიან ნივთიერებებზე. საკვები ღირებულება მას არავითარი არა აქვს. ალბათ ის გამოსადეგი იქნება გამატკბობელ მასალად დიაბეტით დაავადებულთათვის და აგრეთვე სურნელოვან საკაზმად და მწებავ საშუალებად ფარმაცევტიულ პრეპარატებისათვის. ხის შაქარი კარგ წებოს წარმოადგენს და მალე არ იბდება.

II. სიმინდის ღეროების გამოყენება

1) **ქაღალდი სიმინდის ღეროებიდან** მზადდება ხის ღეროების ბოჭკოებიდან. საჭირო არ არის არც მწებავი ნივთიერებანი და არც შემავსებელი მასალები.

2) **ალფა-ცელიულოზა,** ანუ გაწმენდილი ბამბის ტიპის ცელიულოზა წარმოადგენს რეიონის ანუ ხელოვნური აბრეშუმის მთელი წარმოების საფუძველს. მას ბევრად უფრო დიდი ფასი აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ, ქაღალდის დასამზადებელ ცელიულოზას, და დიდი მოთხოვნილებაც არის მასზე. სიმინდის ღეროები შეიცავს მას 30 პროცენტის რაოდენობით. იხმარება ქაღალდის, რეიონის, ასაფეთქებელ ნივთიერებათა, კინემატოგრაფიულ ფილმების, საღებავების და ლაქების წარმოებაში.

3) **სიმინდის ღეროს ფქვილი** ანუ ცელიულოზას ფქვილი. ეს არის სიმინდის ღეროს გაწმენდილი ცელიულოზა, გაკეთებული წმინდა თეთრ ფქვილად. იხმარება ასაფეთქებელ ნივთიერებათა წარმოებაში, ქირურგიულ ოპერაციების დროს და წარმოადგენს მაღალ ხარისხოვან შემავსებელ მასალას, რომელიც გამოსადეგია მრავალი მიზნებისათვის. ამ ხარისხის ცელიულოზა საუკეთესო საჭმელია დიაბეტით დაავადებულთათვის.

4) ხელოვნური აბედი მზადდება ღეროდან ისე, როგორც ნაქურჩელიდან.

5) მჟავანას სიმჟავეს მიღება სიმინდის ღეროდან შეიძლება ისევე, როგორც ნაქურჩელიდან.

დ-რი ო. რ. სუინი, ცნობილი ამერიკელი ავტორიტეტი სიმინდის ქიმიის საკითხში, სწერს: „მე გულწრფელად ვარ დარწმუნებული, რომ სიმინდის ღეროების და ნაქურჩელის გადამუშავებით მიღებული პროდუქტები მეტ მატერიალურ ღირებულებას შეიცავს, ვიდრე თვით მარცვალი".

სიმინდის ნარჩენების გადამამუშავებელ წარმოებათა წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, რომ აქვს თუ არა ამ წარმოების საშუალება საკმაოდ დაბალ ფასებში შეაგროვონ იმდენი ნედლი მასალა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქარხნო წარმოების საჭიროებას. ამ მხრივ პრაქტიკაში დიდ დაბრკოლებებს აქვს ადგილი, ვინაიდან ფერმები დიდ მანძილზეა ერთი-ერთმანეთისაგან დაშორებული.

რაც შეეხება სიმინდის ტაროებს ამერიკაში მათ აგროვებენ და ფშვნიან ან ფერმაში, ან ცენტრალურ საფშვნელ ადგილებში (შელერებში). თუმცა ამჟამად სჭარბობს ტაროების ფერმებში დაფშვნის ტენდენცია, მაგრამ საკმაოდ ბევრ ოლქებში გაბატონებულია ცენტრალური დაფშვნის ჩვეულება. ზოგიერთ ადგილებში დაფშვნა სწარმოებს ისეთი მასშტაბით, რომ დარჩენილ ნაქურჩელს შეუძლია დააკმაყოფილოს დიდი ფურფუროლის ქარხნის საჭიროება 6—7 თვის განმავლობაში წლიურად. ზოგიერთი უფრო დიდი საფშვნელი დაწესებულება ამზადებს დღიურად 25—50 ტონა ნაქურჩელს სიმინდის ფშვნის სეზონის განმავლობაში (1 ნოემბრიდან 1 მაისამდე) და აკმაყოფილებს რაიონს 35—50 ვერსის რადიუსით. ასეთ პუნქტებთან თავმოყრილია ყველა ის ქარხნები, რომლებიც ტეხნიკურად ამუშავებენ სიმინდის მარცვალს და ნაქურჩელს.

ვინ აწარმოებს ამერიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნარჩენების ტეხნიკურად გამოყენების წესების გამოკვლევას?

ჯერ ერთი, თითონ ქარხნები, რომლებსაც იმდენი აქვთ, რომ სარგებლს ნახავენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებით. მრეწველობა ღრმად არის დაინტერესებული ნედლეულის წყაროებით. ყოველთვის ეძებენ უფრო იაფ ნედლ მასალას. თუ შეერთებულ შტატებს სიმინდის ღეროებიდან შესაძლებელი იქნა უფრო იაფი ცელიულოზის მიღება, ვიდრე კანადის ხის მასიდან, ფაბრიკების პატრონებისათვის, ეს რა თქმა უნდა, უფრო ხელსაყრელი იქნება. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ შინაური ნედლეული ყოველთვის უფრო ხელსაყრელად მიაჩნიათ, ვიდრე შემოზიდული.

კერძო წარმოებებს ეხმარება სახელმწიფო დაწესებულებებიც. ასე, მაგალითად, სტანდარტების ფედერალურმა ბიურომ 1927 წელში მიიღო შეერთებულ შტატების კონგრესისაგან ჯერ-ჯერობით უმნიშვნელო ასიგნობა 50.000 დოლარის რაოდენობით. იმის გამოსარკვევად, თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რა ნარჩენები შეიძლება გამოდგეს წარმოებებში. მიწათმოქმედების სამინისტროსთან არსებობს განსაკუთრებული ქიმიური ბიურო, რომელიც აგრეთვე აწარმოებს მთელ რიგ გამოკვლევებს. 1925 წ. კონგრესმა ძლიერ გაადიდა ასიგნობანი სასოფლო - სამეურნეო საცდელ სადგურებისათვის. ეს ასიგნობანი თანდათან დიდდება და 1930 წ. მიაღწევს 4.320.000 დოლარამდე. სასოფლო - სამეურნეო საზოგადოებათა მრავალრიცხოვანი შუამდგომლობები კონგრესის წინაშე ასიგნობის გადიდების შესახებ სასოფლო-სამეურნეო გამოკვლევებისათვის მოწმობს, რომ ამ გამოკვლევებს სოფლის მეურნეები ძლიერ აფასებენ.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებისა და ნარჩენების ტეხნიკურად გამოყენების საკითხი, რა თქმა უნდა, ახალი არ არის, მაგრამ ეხლა ის ამერიკაში ეკონომიურ და პოლიტიკურ აუცილებლობის გამო მთელი სიმძაფრით ისმება დღის წესრიგში და უახლოეს წლებში დიდ მიღწევებს უნდა მოველოდეთ ამ დარგში.

ინჟენერი ნ. პ. კანევეცი.

მოძრავ სურათების გადაცემა რადიოთი

რადიოთი მოძრავ სურათების გადაცემის დარგში უკანასკნელ წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი შედეგები მიღწეულ, რამაც შესაძლებლად გახადა სურათების გადაცემა მრავალ ათეულ და ასეულ კილომეტრის მანძილზე. ინგლისელ გამომგონებლის მიერ ამ საქმეში შეტანილი გაუმჯობესებანი მოასწავებს მნიშვნელოვან წინსვლას ამ მხრივ. ბერდმა გამოიგონა აპარატი, რომელიც შესაძლებლად ხდის მოძრავი სურათის გადაცემას ევროპიდან ამერიკაში. ბერდმა თავისი აპარატი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინად დაამზადა, მაგრამ მხოლოდ ახლა მიაღწია ისეთ შედეგებს, რომ ახერხებს სურათების გადაცემას რამდენიმე ათასი კილომეტრის მანძილზე. ამ რამდენიმე ხნის წინათ ბერდის აპარატის საშუალებით მოახდინეს მოძრ. სურათ. გადაცემა ლონდონიდან ნიუ-იორკში. მიუხედავათ არახელსაყრელ ატმოსფერულ პირობებისა, ნიუიორკში ნათლად ხედავდენ ლონდონის გადამცემ ეკრანის წინ მდგომ პირების სახეს მათი ტუჩების მოძრაობას, მიმიკას და სხვ. მაგრამ გადაცემა კიდევ შორს არის იდეალისაგან. გადაცემა ხშირად წყდებოდა. გადაცემის უაღრესი გარკვეულობის მომენტებთან ერთად იყო მომენტები, როცა ეკრანზე არ შეიძლებოდა არაფრის გარჩევა, გარდა მოძრავ შავი ლაქებისა. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ის გარემოება, რომ ყველაფერი ეს პირველი ცდებია. თვით ბერდი თავისი აპარატის გამოცდის პირველ შედეგებს თვლის უაღრესად გამამხნევებლად და იმედი აქვს, რომ მასში შეიტანს ისეთ გაუმჯობესებას, რომლებიც შესაძლებლად გახდის არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

რადიოთი მოძრავ სურათების გადაცემასთან ერთად ბერდი მუშაობს „ბნელში ხედვის" დარგშიც. მიუხედავად იმისა, რომ „ბნელში ხედვის" ამოცანის გადაჭრა ნაკლებ საინტერესოა, ვიდრე რადიოთი სურათების გადაცემის წარმატებით განხორციელება, ბერდიც და ინგლისის სამხედრო სამინისტროც, რომელიც ფინანსიურ დახმარებას უწევს ბერდს, თვლიან, რომ სწორეთ „ბნელში ხედვის" პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს პირველხარისხოვან ამოცანას. ეს მოსაზრება გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც ექნება „ბნელში ხედვას" მომავალ ომში. მტრის სამხედრო გემების ან აეროპლანების აღმოჩენა და მათთვის ყუმბარების დაშენა იმ დროს, როცა თვითონ მტერი ვერაფერს ხედავს—აი, ასეთ პერსპექტივებს შლის ბერდის უკანასკნელი გამოგონება. ზოგიერთი ცნობები ბერდის აპარატის შესახებ უკვე გამოქვეყნდა პრესაში, ბერდი საგნების „გასანათებლად" სარგებლობს ულტრა-წითელი სხივებით, რომლებიც სქელ ნისლშიც კი ატანენ. „განათებული" საგანი აღიბეჭდება სპეციალურ აპარატში, რომელიც უხილავ სხივებს ხილულად აქცევს.

ლითონის მწერები

სრულიად შემთხვევით—ქიმიკოსმა ზელინსკიმ აღმოაჩინა ლითონის მწერების დამზადების ისეთი წესი, როცა ეს მწერები ყოველგვარი წვრილმანით წააგავენ თავიანთ ორიგინალებს. მოხდა ეს შემდეგნაირად: ზელინსკი შეუდგა ზოგიერთი მწერების ქიმიურ გამოკვლევას, რისთვისაც მან ისინი დაფარა სპილენძის ჟანგის თხელი ფენით და შეუდგა მათ გათბობას ნახშირმჟავაან ატმოსფერაში. თავისი ცდის დასასრულს ზელინსკი გაოცებით დარწმუნდა, რომ მის განკარგულებაშია მთელი კოლექცია სპილენძის მწერების, რადგან მათი სხეულის მთელი გარეთა ნაწილები მთლიანად დაფარულიყო ლითონით და ბუნებრივი რქასებური გარსი მთელი თავისი პატარა ამოზნექილი ადგილებით და ზოლებით შეცვლილიყო სპილენძის თხელი ფენით.

მწერების დამზადების ამ წესის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუზეუმებისთვის, რადგან მისი წყალობით შესაძლებელი ხდება მწერების იშვიათი ეგზემპლარიების შენახვა დიდი ხნით.

გახურებული შანთით

შიოს „რაციონალიზაცია“

ყოველივე გენიალური, როგორც ვიცით, სწორედ იმიტომაა გენიალური, რომ ის მარტივია, ძალიან მარტივი, მაგრამ თავისებურად გენიალური საშუალება აღმოაჩინა აპარატის რაციონალიზაციის დარგში სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების საფინანსო ნაწილის გამგე შიო დოლიძემ. მან საკითხი მოკლედ და უბრალოდ გადასჭრა. რაციონალიზაციის მთელი საიდუმლოება მდგომარეობს სულ იმაში, რომ ერთი „ზაცია“ შესცვალო მეორე „ზაციით“. ბოდიშს ვიხდით ამ გამოგონების საიდუმლოების გამომჟღავნებისათვის. მაგრამ რაკი ამ გამოგონებას უაღრესი საზოგადოებრივი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ნებას მივცემთ თავს, უფრო თვალსაჩინოთ განვმარტოთ ის.

აი მაგალითად, თქვენ ხართ ვთქვათ დირექტორი, გამგე, თავმჯდომარე, მთავრობი ან სხვა რიმე ადმინისტრატიულ თანამდებობის პირი, თქვენგან მოითხოვენ აპარატის რაციონალიზაციას, ადექით და სიტყვა რაციონალიზაციას მოაცილეთ დაბოლოება „ზაცია“, მაგიერად ის სიტყვას „ნათესავ“-ს და კეთილხმოვანებისათვის შუაში ასო „ი“ ჩაუსვით. შემდეგ უწიწკლებოდ დასწერეთ ეს სიტყვა და ეცადეთ რაც შეიძლება ენერგიულად გაატაროთ ის ცხოვრებაში. თუმცა აქვე უნდა ითქვას, ამ გამოგონების წარმატებით გამოყენებისათვის, საჭიროა ობიექტიური პირობებიც გიწყობდეთ ხელს. მოგეხსენებათ, ჩვენს დროში „ობიექტური პირობები“ ხშირად ყველაფერს სწყვეტს. აი მაგალითად, თუ თქვენ ხართ ვინმე ეული, ნათესავსა და მოყვარეს მოკლებული ტლუ კაცი, ცხადია ნათესავიზაციის გატარება იმდენადვე ადვილი საქმე იქნება თქვენთვის, რამდენადაც პეტრე ხუცესის ჯოხისათვის ატკანის შოვნა, რაც არ არის—არ არის. რას იზამ? თავზე ზევით ვერ ახტები. მაგრამ საქართველოში უნათესავო კაცი სად გაგონილა? ძალიან რომ საჩხერელს შეხვდეს, ან მეტეხელი ყანდაურელს, უსათუოდ ერთმანეთის ნათესავი აღმოჩნდებიან ან დედის ან მამის, ან ბებიის და ან ბაბუის ხაზით. ჩვენში კი ნათესაობას მეტად აფასებენ. ძროხის მოზიარის ბიძაშვილსაც არ დასტოვებენ უნახავ-მოუკითხავს, თუ ის, რასაკვირველია, რაიმე თანამდებობის კაცია.

შიო დოლიძეს ამ მხრივ ბედი განსაკუთრებით სწყალობს. ნათესავები მას საკმაოზე მეტი ჰყავს. იქნებ ეს სახლისკაცები თანამდებობას, იქნებ თბილ და ტკბილ ადგილს, შიოსაც ეს უნდა. და ხდება ის, რაც სახარებაში სწერია—„ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“—ო.

დიდი ჯამბაზი უნდა იყოს კაცი, რომ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში ჯოხი მოიქნიოს და რომელიმე დოლიძეს თავში არ მოარტყას. აბა თვითონ გასინჯეთ:

1) დოლიძე შიო (საფინანსო განყოფილების გამგე).
2) დოლიძე ნიკოლოზ (საინვალიდო სახლის მნე).
3) დოლიძე ილია (ლოტო № 2 გამგე).
4) დოლიძე ბესარიონ (ლოტო № 2 თანამშრომელი).
5) დოლიძე სერაპიონ („პტიმუე“ № 2 თანამშრომელი).
6) დოლიძე ალიონ (ლოტო № 2 თანამშრომელი).
7) დოლიძე სერგო (ლოტო № 1 თანამშრომელი).
8) დოლიძე თამარა (ლოტო № 1 თანამშრომელი). ცოლ-ქმარი.
9) დოლიძე ეკატერინე (საინვალიდო სახლის თანამშრომელი).
10) დოლიძე მელით (ლოტო № 1 თანამშრომელი).
11) დოლიძე ნინო (ლოტო № 3 თანამშრომელი).
12) დოლიძე ელისაბედ (ინვალიდთა არტელის თანამშრომელი).

რა პასაჟია! თქვენ ალბად მოთმინება, მკითხველო. გთხოვთ მოთმინებას, არ მოგვქანცულა შიო დოლიძე. ნათესავიზაცია მას არც ისე ვიწროთ ესმის, როგორც ბევრს წარმოუდგენია. მართლაც და მართლაც ხომ დოლიძეებით არ ამოიწურება შიოს ნათესაობა? არც ისე უპატრონო კაცია ის ამ ქვეყანაზე. მტერ-მოყვარე მას იმდენი ჰყავს, რამდენიც თავზე ბალანი არ აბია. აი მაგალითად, ყოფილი მიკიტანი, ბიძაშვილის ქმარი. „სიძე თვალის სინათლე“—ვარდანაშვილი. რა ქნას სიძემ? კაცი ვართ, ყველას ცხოვრება გვინდა, ჭამა-სმა მეტად შესარგი. ამიტომ ბ-ნი ვარდანაშვილი, მცირეოდენი უფასოდ ლოტო № 2-ში ბუფეტი. რა უყოთ, რომ ამავე ბუფეტის იჯარით აღებაზე სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას კერძო მოიჯარადრეები 600 მანეთს აძლევდნენ? სად ფული და სად ნათესაური კავშირი, არც ისე შეირცხვენს თავს შიო, რომ ნათესავი ფულში გასცვალოს.

ან თუ გინდათ ლუკა შენგელია ბიძეთ. კაცი ინვალიდთა არტელ „გლარჯე“-ში მოეწყო ისე, თავის-თავად, როგორც ყველა პატიოსანი ადამიანი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ შიოს ცხვირი აქაც თუშმლში ყოფილა გასვრილი, ლუკა შიოს ოჯახობის გულის ძმა გახლავთ.

ვერც ალექსანდრე მაზიაძე დაემდურება თავის მამიდაშვილს, შიო დოლიძეს მფარველობაში. კაცი მოწყობილია ჩინებულად „პტიმუე“ № 2 თანამშრომლად. ასეთია მტერ-მოყვარის ბიჭი, შიო დოლიძე.

სხვებს ჯერ-ჯერობით აქ წერტილი დაესვათ. დასკვნას აქედან ალბად სათანადო ორგანოები გააკეთებენ. ჩვენ კი დასასრულ ერთი სურვილი გვინდა გამოვსთქვათ. ხშირად მომხდარა, რომ ერთი და იგივე გენიალური იდეა ერთ და იმავე დროს სხვადასხვა კაცის თავში დაბადებულა. ვშიშობთ—შიო დოლიძეც არსად აღმოაჩინდეს მის იშვიათ გამოგონებას თანამოზიარე. „ჯილდოზე“ ზრუნვა გამოგონებისათვის მას არ დასჭირდება. საბჭოთა ხელისუფლება ამ შემთხვევაში საჭირო გულუხვობას იჩენს.

მეოდნი.

ჯერ ფული-მერე სული

ჩვენში იცნობენ ერთი ჯურის ყასაბს. ეს არის კაცი, რომელიც ჯერ დაკლავს საქონელს და შემდეგ ტყავს გააძრობს. მაგრამ არის თურმე მეორე ჯურის ყასაბიც, რომელიც ჯერ ტყავს აძრობს, მხოლოდ შემდეგ თუ შემთხვევამ მოიტანა და მოკვდა ტყავგაძრობილი ობიექტი, ზევრად არც ამისათვის იტკივებს თავს. თქვენ ალბათ გიკვირთ, ასეთი ჯურის ყასაბი სად გაგონილა! გაუგონარი არაფერია ამ ქვეყანაზე. საჭიროა სურამის თემის ახლო-მახლო რაიონებში გაიაროთ, რათა დარწმუნდეთ იმაში, რომ არიან თურმე ამ ქვეყნად მეორე ჯურის ყასაბებიც. ამისათვის უნდა იკითხოთ აქ ექიმად წოდებული ამბარცუმ აკოფოვი.

ეს არის კაცი, რომლისთვისაც ყველაზე პირველად არსებობს ფული და შემდეგ, რაც გინდათ ყველაფერი. ეს არის ექიმი, რომელიც გროშის გულისთვის საფლავის კარებამდე ჩასდევს კაცს. საფლავის კანდიდატები-კი, სახელგანთქმულ ექიმს არასოდეს არ აკლია.

ვერავინ იტყვის, რომ აკოფოვი ცოდნის პატრონი ექიმი იყვეს, ხოლო ცხადია, რომ სახელი მას შორსა აქვს გავარდნილი. ამიტომ ხშირად ნახავთ მის კარებზე ავადმყოფობისაგან გაჭირვებულ გლეხის ოჯახის წევრს. მოდის ექიმთან, ევედრება წაჰყვეს და ინახულოს ავადმყოფი. აკოფოვი, ჯერ ფულზე ჩამოაგდებს ლაპარაკს, ვაჭრობს, როგორც უკანასკნელი ჩარჩი და შემდეგ, თუ სარფა რაიმე დაინახა, გადასდგამს ფეხს სახლიდან.

სპეციალობაც ძალიან აქვს არჩეული აკოფოვს, ან უკეთ, არც ერთი სპეციალობა არა აქვს მას. ის ყველაფერს ექიმობს, ყველა სნეულების მკურნალია, ის ღა აკლია, რომ „ოთხი წლის გარდაცვლილ ლაზარე“-ს ვერ აცოცხლებს, თორემ სხვას ნუღარ იკითხავთ.

აბა, გინეკოლოგობაში ბადალი ხომ არ ჰყავს აკოფოვს, მხოლოდ, აქაც ერთგვარი თავისებური განხრა აქვს მას. ეს გახლავთ მუცლის მოშლა, ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვით, იაფად და სწრაფად, მაგრამ არა ნისიათ.

განვითარებული ტეხნიკა კი ყოველთვის საჭირო არ ყოფილა. აკოფოვის „გინეკოლოგიამ“ კინაღამ იმსხვერპლა სხვათა შორის რკ. გზელ მუშის ლ—ძის ცოლი. ბედზე სხვა ექიმებმა აღმოუჩინეს ავადმყოფს დახმარება, თორემ აკოფოვის „გინეკოლოგია“ ავადმყოფს სიცოცხლეს გამოასალმებდა.

ამ პროფესიონალურ ხასიათის მიღწევებთან ერთად, აკოფოვს აქვს იშვიათი დიპლომატიური ნიჭი. რაღა რუშდი-ბეი, მაგალითად და რაღა აკოფოვი.

ჯერ, როცა გარეგნულად ძნელად გამოსაცნობი ავადმყოფი მოვა აკოფოვთან, ის მეგობრულ მასლაათს გააბამს, ესაუბრება და ამ საუბარში შიგა და შიგ საინტერ კითხვებს ჩაურთავს, ვინ ხართ, სად მსახურობთ, თქვენი სპეციალობა, პარტიული და ოჯახური მდგომარეობა და სხვა.

თუ შეატყო აკოფოვმა, რომ საშიშ კაცთან აქვს საქმე, წამსვე მილას ქუდივით დარბილდება, პირიდან თაფლი მოსდის, ფეხქვეშ ეგება მოსაუბრეს, როგორც თეირანის ფარდაგი.

ამიტომაა, რომ აკოფოვი, ასე ადვილად გადის ფონს, დღემდე არავინ აქცევს მის ასეთ ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას ყურადღებას. ეხლა კი დროა, ულიის ექიმს ფარდა ავხადოთ. ეს კი პირველ ყოვლისა თვით ექიმების, თვით სამკურნალო დარგის მუშაკების საქმეა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა ვისმე შეუხდება საქმეში ჩარევა.

ლიცბო.

რატომ გახმა ლერწამი

ჩვენ მომქმედი პირების გვარს არ დავასახელებთ, იმიტომ კი არა, რომ ეს გვეთაკილებოდეს, ან არ გვსურდეს ამ შენიშვნის გმირთა შავ დაფაზე აღნიშვნა, არამედ იმიტომ, რომ ჯერ სავსებით კიდევ არ არის გამორკვეული, ვინაა დამნაშავე და რა პასუხი უნდა აგოს დამნაშავემ მის მიერ ჩადენილ საქციელისათვის. ბოროტება კი თავის თავად ყოვლად მიუტევებელია. ამიტომ ჩვენ აღვნიშნავთ, იმას, რაც მოხდა, დამნაშავეს და პასუხისმგებელს კი ის მოსძებნის, ვისაც ეს შეეხება.

მოხდა კი შემდეგი: დუშეთის მაზრაში არის ბულაჩაურის სანერგე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მაზრაში ჯიშიან ხეხილებისა და ვენახების გაშენებისათვის. სანერგეზე საკმაო თანხაც იხარჯება.

წასულ წელს ბულაჩაურის სანერგემ მიიღო საფრანგეთიდან 185.000 ძირი ამერიკული ვაზის ლერწი. აქედან სადედეთ დაირგო სამ დესეტინის სივრცეზე 80.000 ძირი. დანარჩენი ლერწი კი ამავე მაზრის ოძისის მამულიდან ჩამოტანილი სხვა ლერწთან ერთად უპატრონოდ დარჩა მთელი ზაფხულის განმავლობაში. ზაფხულის სიცხისაგან ლერწი დახმა, როგორც ზესხვენის სარები, გამოიფიტა სფინქის ღერებივით.

გლეხებს გული ეწვოდათ, როცა ასეთ ბოროტებას მისჩერებოდნენ. მოგვეცით, დავრგავთ, დავამყნობთ და ნახევარს უკანვე მოგართმევთ, ევედრებოდნენ ისინი სანერგეს ხელმძღვანელებს, მაგრამ სანერგეს ხელმძღვანელნი ერთი სულდგმულის მზგავსად „არც თვითონ სჭამდნენ, არც სხვას აჭმევდნენ“.

შემოდგომაზე, როცა სანერგეს გამგენი დარწმუნდნენ, რომ ლერწის საქმე უკვე გათავებულია, ადგნენ და გლეხებს დაურიგეს გამხმარი ლერწი თავლების შესაკეთებლად.

ეს მოხდა მაშინ, როცა გლეხები თითო ცალობით ეძებენ ვაზის ნერგს და ხშირად ვერსად უშოვიათ ის.

იქნება მკითხველი ფიქრობს, რომ დუშელმა გლეხებმა ისარგებლეს რაიმე იმ ლერწიდან, რომელიც დარგული იყო სამ დესეტინა მიწაზე. ტყუილი იმედია. შეიძლება ვთქვათ, რომ ბულაჩაურის სანერგეს ხელმძღვანელნი უმალ ასწლოვან გადაფურჩქვნილ მუხას გაახმობენ, ვიდრე ვენახის ლერწს გააცოცხლებენ.

80.000 ძირი ლერწიდან მხოლოდ 37.000 ძირი გამოდგა და იმანაც ძალით გაიხარა თორემ სანერგეს პირობები ამას ხელს არ უწყობდნენ. მოდი და ასეთი სანერგეების პატრონმა ელაპარაკე გლეხს მეურნეობის ინტენსიფიკაციაზე, მექანიზაციაზე, აგრონომთან მჭიდრო თანამშრომლობაზე და სხვა ამგვარ მაღალ საქმეებზე. ადგება და ისე „შეგილოცავს“, რომ ჯანიონ ექიმის „გამოლოცვაც“ ვერ გიშველის.

აქედანვე ვიცით, რომ დამნაშავის ნახვა აქ არც ისე ადვილი საქმეა. ერთი მეორეს დააბრალებს, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს და დაიწყება „თხა ვენახი“-ს არაკი. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ასეთი დანაშაულის დაუსჯელათ დატოვება უდიდესი დანაშაული იქნებოდა. უნდა მოხვდეს იმ თავს, რომელმაც ეს ბოროტება ჩაიდინა, უნდა სამაგალითოდ დაისუსხოს ის ხელები, რომელთაც ამ საქმესთან კავშირი ჰქონდა. ეს იქნება საუკეთესო პროპაგანდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის.

კილა.

როგორ უნდა იგზავნებოდეს დეპეშები

ცირკულიარი

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ყველა სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებს

მეტ წილ სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებში ადგილი აქვს სხვა ქალაქის კორესპონდენტებთან ტელეგრაფის საშუალებით ურთიერთობის სრულიად არარაციონალურ გამოყენებას. დაწესებულებათა დეპეშები თითქმის არაფრით არ განსხვავდება წერილებისაგან. დეპეშები წერილებთან ერთად იგზავნება შესადგენად, ხელისმოსაწერად, რეგისტრაციაში და ტელეგრაფში გასატარებლად. მეტწილად დეპეშები ტელეგრაფში იგზავნება დღეში მხოლოდ ერთხელ, სამუშაო დღის გათავების შემდეგ; სამუშაო დღის განმავლობაში გასაგზავნი დეპეშები გროვდება პასუხისმგებელ პირთა ხელისმოსაწერად. ხშირად სამუშაო დღის დაწყებისთანავე გასაგზავნი დეპეშებს მთელი დღე აგვიანდება დაწესებულებაში, რაიც სრულიად დაუშვებელია, ვინაიდან სასწრაფოდ გასაგზავნი დეპეშა ხშირად უნდა იწერებოდეს და იგზავნებოდეს ტელეგრაფში, თუ ცნობას სასწრაფო ხასიათი არა აქვს, მაშინ არც უნდა იგზავნებოდეს ის ტელეგრაფის საშუალებით.

დეპეშების დაგვიანებით გაგზავნა ტელეგრაფში, თავისი მხრით იწვევს ტელეგრაფის მიერ დეპეშის დაგვიანებით გაგზავნასაც. დაწესებულებების მიერ დეპეშების დაგროვება და მათი ერთდროულად გაგზავნა სამუშაო დღის გათავების დროს, ტელეგრაფის ჭილში აფერხებს და აძნელებს ტელეგრაფის მოსამსახურეების მუშაობას და აიდიდებს შეცდომებისა და დამახინჯების პროცენტს.

შექმნილი მდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით, ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებს არ დააგროვონ დეპეშები და დაუყოვნებლივ გაგზავნონ ისინი ტელეგრაფში ხელისმოწერისა და რეგისტრაციაში გატარების შემდეგ და ამასთანავე მიიღონ ზომები, რომ ტელეგრაფით გასაგზავნი კორესპონდენციები სასწრაფოდ, რიგს გარეშე ტარდებოდეს დაწესებულების შიგნით. გარდა ამისა მიზანშეწონილია დეპეშების გადაცემა უშუალოდ ცენტრალურ ტელეგრაფში ტელეფონის საშუალებით.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სატელეგრაფო დაწესებულებებს წინადადება ეძლევა აცნობონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს ამ ცირკულიარის დარღვევის ყველა შემთხვევები.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილე **ხუმარიანი.**

ს. ს. რ. კ. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე **ყამარაული.**

7 აპრილი, 1928 წ.

საგეგმო კომისიაში

საექიმო დახმარება

ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი მეტყევეთა და ტყის დამზადებაზე მომუშავეთა საექიმო დახმარებით უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს სახ. საგეგმო კომისიამ მოიწონა იმ შესწორებებით, რომლებიც მასში შეიტანა სოც. კულტურულ სექციამ.

სატყეო მასალის ბაზრის მოწესრიგება

საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის დადგენილებით, სატყეო მასალების ბაზრის მოწესრიგების მიზნით საკავშირო ვაჭრობის კომისარიატთან ცალკე აპარატის შექმნა, მიჩნეულია მიზანშეუწონლათ, ვინაიდან ეს გამოიწვევს დიდ ხარჯებსა და ზედმეტ ტვირთად დააწვება საკავშირო ბიუჯეტს.

მაქსიმ გორკის საიუბილეო კამპანია

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა საქპროფსაბჭოს კულტგანყოფილების გეგმა მაქსიმ გორკის იუბილეს ჩატარების შესახებ.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებას საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირთან ერთად თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ თეატრში მოაწყოს დიდი ინტერნაციონალური საღამო მაქსიმ გორკის 35 წლის სამწერლო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად.

პრეზიდიუმმა გადასწყვიტა აგრეთვე მილოცვის დეპეშა გაუგზავნოს მაქსიმ გორკის და მისი საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ სთხოვოს მას ჩამოვიდეს საქართველოში.

გორკის იუბილეს აღსანიშნავად პრეზიდიუმმა დაადგინა აღმშენებელთა კავშირის ავლაბრის მუშათა კლუბს უწოდოს მაქსიმ გორკის სახელობის მუშათა კლუბი.

პურის ბაზრის მოწესრიგება

თბილისის აღმასკომთან არსებულ ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიის ცნობით, ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს პურის ბაზრის საქმეების მოსაწესრიგებლად.

დღემდე პურის რიგები გამოწვეული იყო პურის ცხობის ტეხნიკური მოუწესრიგებლობით. მაგალითად, კერძო პურის მცხობელები რაიონებში პურს აცხობდენ არა საკმაო რაოდენობით, თუმცა ფქვილი მიღებული ჰქონდათ ნორმის მიხედვით. გარდა ამისა, კოოპერატიული პურის წერტილები არ იყო საკმაო ყველა რაიონებში. ერთ რაიონში არსებობდა უფრო მეტი წერტილები, ვიდრე ეს საჭირო იყო, ხოლო იმავე დროს მეორე რაიონში ითვლებოდა გაცილებით ცოტა წერტილები, რის გამო ამ რაიონის მომხმარებლები მიდიოდენ სხვა რაიონში, სადაც მუშაობდა წერტილების საკმაო რიცხვი და ამ რიგად იქმნებოდა რიგები.

ასეთი არა ნორმალური მდგომარეობა გამოწვეული იყო აგრეთვე ზოგიერთი კერძო პურის საცხობების დაკეტვითაც, რომელთა სამაგიეროდ კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა პირველ ხანებში ვერ შესძლეს ქალაქისათვის საჭირო რაოდენობით პურის გამოცხობა და მათი განაწილება რაიონებში.

ამჟამად ქალაქის ყველა რაიონებში გახსნილია საჭირო რაოდენობით პურის სავაჭრო წერტილები, რომლებსაც ეძლევათ რაიონის მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით გამომცხვარი პური.

ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიის მიერ მიღებული ზომებით მთელს ქალაქში გაიხსნა 559 წერტი და გაძლიერებული იქნა პურის ცხობის საქმე.

ამავე კომისიის დადგენილებით, პურის საცხობებში გამოსაცხობი ნორმის 70 პროცენტი უნდა გამოცხვეს დილის 7 საათისათვის, ხოლო 30 პროცენტი—ნაშუადღევს 2 საათისათვის.

1 აპრილიდან მთელს ქალაქში დაკეტილი იქნა კერძო პურის საცხობები, და პურის ცხობის საქმე მთლიანად გადაეცა თბ. მუშათა მთლიან კოოპერატივს, „ზაკტპა“-ს და სამხედრო კოოპერატივს, ვიდრე ქალაქში გაიხსნება დეს პურის მთავარი ახალი საცხობები, მანამდე პურის ცხობა იწარმოებს იმ ფურნეებშიაც, რომლებიც წინად ეკუთვნოდა კერძო პირებს.

ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიის ცნობით პურის ბაზარზე შექმნილი არა ნორმალურ პირობების გამო გაუარესდა გამომცხვარ პურის ღირსებაც. ამ ნაკლის გამოსასწორებლად მიღებულია შესაფერი ზომები და შემდეგში ცუდი ხარისხის ბაზარზე გატანას ადგილი აღარ ექნება.

საერთოდ საჭირო რაოდენობის პურის თავის დროზე გასანაწილებლად წერტებს შორის პურის ღირსების გაუარესების თავიდან ასაცილებლად და ამავე დროს პურის ბაზარზე მუშათა კონტროლის დასაწესებლად, თბილისის აღმასკომის კოოპერატიულმა სექციამ გამოყო სპეციალური კომისია 24 კაცის შემადგენლობით, ამ კომისიამ თავისი წევრები უკვე მიამაგრა რაიონებზე და აღჭურვა სათანადო მანდატებით.

ფართლის განაწილება

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ამიერ კავკასიისათვის გამოყოფილია 300 ვაგონი ფართალი. ამ რაოდენობიდან საქართველო მიიღებს—123 ვაგონს.

საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ორგანიზაციათა შორის ფართალი გაანაწილა შემდეგნაირად: კოოპერაციას გადაეცა—98,5 ვაგონი, ხოლო დანარჩენ სავაჭრო ორგანიზაციებს—24 ვაგონი. ქალაქსა და სოფელს შორის ფართალი განაწილებულია შემდეგნაირად: თბილისს მიეცა—30 ვაგონი. პროვინციალურ ქალაქებს—22,5 ვაგონი და სოფლებს—70,5 ვაგონი.

კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციათა შორის ფართალი განაწილებულია შემდეგ ნაირათ: ცეკავშირს—58,5 ვაგონი, მუშკოოპს—20 ვაგონი, აფხაზეთის კოოპ. კავშირს—7 ვაგონი, „ზაკტპას“ (საქართველოსთვის)—7 ვაგონი, „ზაკვონენპო“-ს—6 ვაგონი, საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას—10 ვაგონი, „აჭარვაჭრობას“—2 ვაგონი, აფხაზეთის სახ. ვაჭრობას—3 ვაგონი და „ტექსტილტორგს“—9,5 ვაგონი.

საქართველოს რაიონებს შორის ფართალი განაწილებულია შემდეგი რაოდენობით: აფხაზეთს—11,07 ვაგონი, აჭარისტანს 9.84 ვაგონი, დასავლეთ საქართველო მიიღებს ცეკავშირისათვის გადაცემულ რაოდენობის 36 პროცენტს, აღმოსავლეთ საქართველო—ცეკავშირისთვის გადაცემულ რაოდენობის—45 პროცენტს, ხოლო სამხრეთ ოსეთი—2 პრ. ამ რიგად ცეკავშირისათვის გადაცემულ ფართალიდან (58,5 ვაგ.) აჭარისტანს მიეცემა—6 ვაგ. და სამხრეთ-ოსეთს—2,5 ვაგონი, დანარჩენი რაოდენობა განაწილებული იქნება ცეკავშირის ძირითად ერთეულების შორის — რეალურ მოთხოვნილებასთან შეფარდებით.

აღმშენებლობა გორის მაზრაში

გორი, 6 აპრილი. საქართველოს ს. მ. უ. ს. ახალმშენებლობათა განყოფილების სამუშაოთა მწარმოებელმა გორის მაზრაში ამხ. მამაცაშვილმა ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს წარმოებულ მუშაობის შესახებ შემდეგი აცნობა:

— გორის მაზრა წარმოადგენს მეხილეობისა და მებოსტნეობის ერთ-ერთ უმდიდრეს რაიონს, რომელიც ყოველწლიურად ამზადებს 1.200.000 ფუთ საექსპორტო ხილსა და ბოსტნეულს. ამ რაოდენობიდან საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ბაზარზე ყოველწლიურად იგზავნება 800.000 ფ.. დანარჩენი ხილი და ბოსტნეული მუშავდება გორის საკონსერვო ქარხანაში, რომლის წლიური პროდუქცია 30-40 ათას ფუთ კონსერვს უდრის. მაგრამ ეს ქარხანა მთლიანად ვერ ამუშავებს მაზრის ხილის პროდუქციას და ამიტომ საქართველოს ს. მ. უ. საბჭომ გადასწყვიტა ააგოს გორში ახალი საკონსერვო ქარხანა, რომელიც წლიურად დაამზადებს 100.000 ფუთ ხილის კონსერვს, 10.000 ფუთ ბოსტნეულის კონსერვს და 5.000 ფუთ ტომატს. გარდა ამისა სოფ. შინდისში და მეჯვრისხევში შენდება ორი ხილის საშრობი.

ამჟამად ახალი შენებლობის მდგომარეობა ასეთია: შინდისში უკვე დამთავრდა ხილის საშრობის შენობის აგება და ახლო მომავალში დაიწყებენ მის მოწყობას. მეჯვრისხევში უკვე ჩაყრილია შენობის საძირკველი და ამჟამად თბილი ამინდების დადგომის გამო, გაძლიერდება მშენებლობა. საკონსერვო ქარხნისათვის საჭირო მასალა უკვე დამზადებულია.

ხილის საშრობებისათვის და საკონსერვო ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობა მთლიანად მიღებულია უცხოეთიდან. თანახმად გეგმისა ხილის საშრობები მზად იქნება მიმდინარე წლის შემოდგომაზე, ხოლო საკონსერვო ქარხანა — მომავალი წლის შემოდგომაზე. (ადს)

სასამართლო

ბავშვი დედ-მამის მოწამლულია

სასამართლო ძიებით გამოირკვა, რომ მარტო კატო ხაბარაშვილი არ არის დამნაშავე ბავშვის მოწამვლაში. ბავშვის მამას **ნიკა ხაბარაშვილს** მოწამვლაში წილი უდევს.

პროკურორი ამხ. კუპრაშვილი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რომ პასუხისგებაში იქნეს მიცემული ბავშვის მამა ნიკა ხაბარაშვილიც.

სასამართლო გადის დადგენილების გამოსატანად.

ნაშუადღევის 3 საათზე სასამართლოს გამოაქვს დადგენილება: პასუხისგებაში იქნეს მიცემული ნიკა ხაბარაშვილი, როგორც თანამონაწილე ბოროტმოქმედების ჩადენაში და საქმე დამატებით გამოსაძიებლად გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოს.

ახლო მომავალში საბრალმდებლო სკამზე ვნახავთ დედ-მამას, რომლებმაც შაბიამნით მოწამლეს 9 დღის შვილი.

კომივოიაჟორი რუსინი

— ერთ დროს ცნობილი ინჟენერი ვიყავი, —ლაპარაკობდა ვასილ რუსინი,—მაგრამ „სხვადასხვა გარემოებამ“ მაიძულა მიმეტოვებია ჩემი სპეციალობა.

ეს „სხვადასხვა გარემოება“, უნდა გავიგოთ ისე, რომ რუსინმა უფრო იოლი და სარფიანი ხელობა მონახა. ჯერ იყო და „ცენტროპრომბიზილო“ (ბოთლების საცობების ტრესტია) „გააბედნიერა“ კომივოიაჟორობით ამიერკავკასიაში... ორიოდე წლის განმავლობაში 566 მანეთი „დააძრო“. შემდეგ კომივოიაჟორად დაუდგა „ურიტრესტს“ (ტრესტებში იყო ჩამწვარი!) და 2735 მანეთი შეულაპა.

ასე „იოლად“ მიდიოდა „ცნობილი ინჟენერი“, რომელმაც „სხვადასხვა გარემოების“ გამო თავის სპეციალობას უღალატა.

საკვირველი ის არის, რომ რუსინს მხოლოდ ლენინგრადის საგუბერნიო პროკურორის უამბო ყველაფერი გულახდილად. როცა აქ ძებნა დაუწყვეს, რუსინმა დაჰკრა ფეხი და ლენინგრადში ამოჰყო თავი. უშუალოდ „ცენტრ“-თან ამჯობინა საქმის დაჭერა.

სულ ტყუილად დახარჯა რუსინმა გზის ფული... ლენინგრადიდან მცველების თანხლებით რუსინი თბილისში ჩამოაბრძანეს და განცალკევებით მოათავსეს გამსახლში.

საქმე გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლომ ვასილ რუსინს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლით. მსჯავრდადებულმა განაჩენი გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში.

„სტაჟიანი“ უმუშევარი

აშოტ გრიგორიანი მესამე წელია უმუშევრად ითვლება. არის გატარებული თბილისის შრომის ბირჟის რეგისტრაციაში... მაგრამ მას აქვს მეორე რეგისტრაციაც სისხლის სამართლის მილიციაში, რომელიც დიდი უნდობლობის თვალით უყურებს მას.

მართალია, შრომის ბირჟის ზღურბლზე [illegible] და მისი გაგზავნა [illegible], მაგრამ როცა მისი რიგი მოვიდოდა, გრიგორიანი გამსახლში იჯდა.

ისე „[illegible]“ [illegible] შენობის წინ იყო გრიგორიანი.

დაინახავდა უმუშევართა რიგს, ჩადგებოდა თითონაც რიგში და დაუწყებდა მის წინ მდგომ უმუშევარს ჩხუბს.

დღე ისე არ გავიდოდა, რომ გრიგორიანს რომელიმე ახალმოსული უმუშევარისათვის შეურაცხყოფა არ მიეყენებია.

— შენ, კაცო, კუზის რიგში უნდა იდგე!.. აქ რა გინდა,—მიაძახებდა გრიგორიანი რიგში მდგომ ხანში შესულ უმუშევარს.

— ამას უსათუოდ კომისრად გაგზავნიან! ისეთი „ვიდი“ აქვს!—დასცინოდა ცოტად თუ ბევრად კარგად ჩაცმულ უმუშევარს.

— თქვენ აქ შედით! იმ ოთახში ქმრებს ურიგებენ უმუშევარ ქალებს,—ეტყოდა გრიგორიანი რიგში მდგომ ახალგაზრდა ქალს.

განსაკუთრებით გამწარებული იყვნენ გრიგორიანისგან ქალები, რომლებიც მისი შიშით გაურბოდენ ბირჟას.

ბირჟის თანამშრომლებსაც არ სცემდა პატივს ეს „სტაჟიანი“ უმუშევარი. ერთხელ ბირჟის თანამშრომელიც მოუბეგვავს.

თუ ციხეში არ იჯდა, ყოველ დღე ბირჟაში იყო გრიგორიანი, რომლის მიზანი იყო ახალი უმუშევრის აბუჩად აგდება და გამასხარავება.

შრომის ბირჟაში უმუშევრების რიგი სდგას. მოვიდა ახალი უმუშევარი ოგანეზოვი და ჩადგა რიგში. მას გვერდში ამოუდგა გრიგორიანი...

— თქვენ, ალბათ, ავტომობილითურთ გინდათ სამსახური,—ჩაულაპარაკა ჩვეულებრივ გრიგორიანმა.

უმუშევარმა ყურადღებაც არ მიაქცია მასხარა უმუშევარს.

— არა, მართალი მითხარი, ბიუროკრატობისთვის გამოგაგდეს ხომ?

უმუშევარი არაფერს არ უპასუხებს.

— გალსტუკი ცოტათი გაგხუნებიათ, დავარდით მწკილებიდან?—განაგრძობს გრიგორიანი.

როცა უმუშევარმა კიდევ უყურადღებოდ დასტოვა მისი უკბილო მასხრობა,—გრიგორიანმა თავში ჩაარტყა ხელი უმუშევარს და გაიქცა.

აღშფოთდა დამსწრე ხალხი. გაედევნენ და დაიჭირეს გრიგორიანი. შეადგინეს ოქმი და გადაუგზავნეს სასამართლოს.

საქმე დღეს გაარჩია სამორიგეო კამერამ.

აშოტ გრიგორიანი 10 თვით გაიგზავნა გამასწორებელ სახლში.

ბორ.

მეცხვარეობის განვითარებისათვის

საქართველოში მეცხვარეობის განსავითარებლად გასულ წელს ცენტრალურ სასოფ.-სამ. ბანკმა საქართველოს სახალხო მამულების ტრესტისათვის ა. კ. სასოფ.-სამ. ბანკს გადასცა 230.000 მანეთი.

ამ თანხიდან სახალხო მამულების ტრესტმა გასულ წელს გამოიყენა 145.297 მანეთი: დღევანდლამდე შეძენილია 6.871 სული ცხვარი, რაზედაც დახარჯულია—116.807 მანეთი, 87 სული მერინოსის ჯიშის ცხვარი—დახარჯულია—8.700 მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხა—19.790 მანეთის რაოდენობით დახარჯა ცხვრის ფარეხების მოწყობაზე.

გამოუყენებელი დარჩა—84.703 მანეთი, რომლის ფარგლებში უნდა დახარჯულიყო. 21.300 მანეთი საჭირო რაოდენობის მერინოსის ჯიშის ცხვრების შეძენაზე, 53.193 მანეთი—ჩვეულებრივ ცხვრის შეძენაზე და 10.210 მანეთი—ცხვრის ფარეხების მოწყობაზე.

რათა სახალხო მამულების ტრესტმა შესძლოს აღნიშნულ გეგმის შესრულება, ა. კ. ბანკმა მას გაუხსნა კრედიტი დარჩენილ (84.703 მან.) თანხის რაოდენობით. ეს თანხა გამოყენებული იქნება ცხვრის ფარეხების საბოლოოდ მოწყობაზე, 313 სულ მერინოსის ჯიშის და 3.129 სულ ჩვეულებრივ ცხვრის შეძენაზე.

ამგვარად, ცენტრალურ სასოფ.-სამ. ბანკის მიერ გაცემულ—230.000 მანეთიდან საქართველოს სახალხო მამულების ტრესტი შეიძენს: 400 სულ მერინოსის ჯიშის და 10.000 სულ ჩვეულებრივ ცხვარს.

რადიო-გადაცემა

კვირა, 8 აპრილი

დღეს, 9 აპრილს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

დღის 12 საათზე—რადიო-მიტინგი, რომელიც მიძღვნილი იქნება თესვის კამპანიისათვის.

საღამოს 6 საათიდან: პიონერთა გაზეთი და პიონერების გამოსვლა.

ჟენევის კონფერენციის შესახებ—ქართულ ენაზე.

საუბარი აგრონომიაზე—ქართულ ენაზე.

სცხოვრობდა თუ არა ქრისტე და აღსდგა თუ არა ის—ქართულ ენაზე.

კულტურული რევოლიუციის მნიშვნელობა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში—რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

აღსდგა სინათლე!...

(„სააღდგომო“ ძღვნად საბჭოთა სასოფლო მეურნეობათა კოლექტივებს ჩვენში)

სალამი ქედებს!

მოგესალმებით ქედებო
კავკასიონის მთებისა!
ცაზედ გაშლილო გედებო
ღრუბელთა ნაფლეთებისა!
ოცდა ხუთ თებერვალიდან
წითლად რომ იწყეთ შეფერვა,
ხვნობთ ერთფერ დროშას, არ გინდათ
სამფეროვანის შეკერვა,
რაკი ცაც ერთის გუმბათით
ჯიქად მოიდგით თავზედა,
მტერს რომ გაქრობას უქადით,
მოყვრებს რომ უხმობთ ზავზედა!
ზავი კი იდგმის ზვავადა:
თესვის, შენების, ბედისა;
ეგ დგმაა თავისთავადა
მშრომელი ხალხის ბედისა!
და ზვავად წინ გაშლილ სივრცეზე
ამჭუხარდება ძლევისა,
უმტკიცეს თვით სიმტკიცეზე
ხმები ვაჟკაცთა წვევისა,
რომ გადასჭიმონ ქაპანი
გორით-გორს, ხევით-ხევებზე,
ვით სცდიდენ მამაპანი
წარსულით მოსახვევებზე.
იმ განსხვავებით, რომ ეხლა
საბედისწერო ტევაა,
„უკანასკნელად მტერს შეხლა“,
მიზნად რომ მისი ძლევაა!...
და ხმებიც ჰიმნად შეწყნულნი
მთებით მთებს გადაჰხარიან:
„ადრე აქ ჩაგრულ - ვნებულნი
ახლა მკვიდრ ძმებათ არიან!
თავს აღარ აშვერს ყურანი
უშვერ - უკბეხი ენითა,
გზა არ ითელვის, ბორანი
„წმინდა გიორგის“ ცხენითა;
არც სუფ-სარქისის კვირაზე
დგბოლავს ცუდი სახელი
და არც მტკვრის განაპირაზე
„ქართული სულის“ ნაღველი!“...
„წახდა, წავიდა ჩოჩეთი,
რაღა ვქნათ ურჩოჩეთოთ!“...
ნორჩ მკერდში გული, მოცეთო,
ატოკდა სასიკეთოთა!...
აწ დარჩეულნი მხედარნი,
ადრე რომ იყვნენ მონებათ,
რკინის რაშებზე შემსხდარნი
მოჰქრიან მაყრიონებათ;
მოჰყავთ ახალი სასიძო,
საპატარძლოც ახალი,
ვერ დაიჭირავს გზა, ვიწრო,
ნარბევი, ნაპარტახალი...
მეც გესალმებით, ქედებო
კავკასიონის მთებისა!
პირიმე, ქვეყნის ქმედებო
მაგ შრომის ცეცხლის ნთებისა!
ყელში ჩაგეწან, „ზაჰესო“,
და „რიონჰესო“, — მკერდშია!
გული იმედით ამევსო,
რომ ხსნა აწ მხოლოთ თქვენშია.
გაშალეთ ძლევის ალამი,
იგივე დროშა შრომისა,
მიიღეთ ჩემი სალამი,
ღონეც და ნდომაც შრომისა!
ოცდა ხუთ თებერვალიდან
მოდის ეს მარჯნის ტირადა!..
გამოვალთ ჯავშნის რკალიდანც,
გარს რომ მოგვერტყმა ჭირადა!
და მაშინ ჩვენი ყოვილი
ცასაც გასწვდება, ცისეთსაც,
ხსნას ჰპოებს გულის ტკივილი
ასეთსაც, მერე ისეთსაც!...

ყანა შემთხვევითი

ასეთი პური ითესა
იმ ერთ წელს გივის ყანაში,
რომ მეზობელი, ქიტესა,
შურით დაეჭვდა ამაზე
„სად გაგონილა? ვინ სწრთა
ასე მიმდგარი ხორბალი?
ვისია, ნეტა, ვინ სძრავს
წაღმა ცხოვრების ბორბალი?“.
და რომ გვიხად შეიცნო
ყანა, ტყესავით მიმდგარი,
შური შუბლს ოფლად შეიდნო,
გულში ნაღვლად მიმდინარი.
გადმოირია ყანები
ჩივილითა და გლოვითა,
და გულის აქანებით
სოფელში ჩუმად მოვიდა.
იკითხა: „გივი ხოდაბურს
ვით იცნობთ ამისთანათა?
ვით ამუშავებს იგი პურს,
ერთი ათს რომ სჯობს ყანათა?!
ისე მიმდგარი ღეროები
მე სიზმრადაც ჯერ არ მსმენია!
მოწაფედ ჩავეწერები,
ჩემის კაცობის მრცხვენია“...
— მართლა ასეა?!.. ჰკვირობენ
და მოიწვევენ გლეხებს;
გივის პურს სანაპიროზე
მრავლად დაედგა ფეხები.
ურიცხვმა თვალმა გასთვალა
ნაქები ყანა პურისა:
თავთავში ჰქონდა ჩასთვალი,
გულში კი—თესლი შურისა;
და სახლში დაბრუნებულებს
მკერდში ეხვიათ ძარა,
ღამითაც ძილ-დაკლებულებს,
მარტო იმ შავ დღით კი არა...

გლეხი შეგნებული

გივი ფხიანი კაცია,
ყველაფერს არის მიმხვედარი;
ტანზე უბრალოდ აცვია,
ჭკუით კი არის მდიდარი.
მიწასაც ახმარს დიდ ხერხებს,
რაც კი ხვნა - თესვას სჭირია,
მას საქმეს ის ვერ უფერხებს,
თუ ნიადაგი მწირია.
ხელოვნურ სინოყიერით
ის თავის მიწას ასუქებს,
მიტომ სჩანს სულ სხვა იერით,
ყანა რომ თავთავს აჩუქებს!...
მაგრამ არ კმარა ეს მარტო,
ბევრსაც სხვას ითხოვს ხნულები:
თუ ქვიშნარია ან ღარდი,
ზვავით მკერდ ამოხრულებს,
ან თუ მიწაა ფაშარი
და წელმაც გვალვა იმეტა,
პურს დაეჩიუვის ხაშარი,
თავს არ დაჰკიდებს მძიმედა!...
და ყანაც, გივის ყანაც კი,
ჰგმობს მაშინ ფეხზე დგომასა...
ბევრი სჩვევია სხვაც მარცხი
გლეხის ცდასა და შრომასა.
თუ მიწაც შენი არა გაქვს
და იხდი მაზედ ღალასა,
ვერ მოიკიდებს შრომა ხვავს,
წაიღებს ჯანს და ძალასა.
და ყანის სიძაბუნისა
ხშირად ეს არის მიზეზი,
თუმც პური, ღირსი წუნისა,
გივის არ სდგმია მისდღემში!
აი, ამ მაგალითშიაც
ხედვენ გლეხები „სასწაულს“,
და არ უფარვენ პირშიაც
გივის ქებას და სამკაულს.
მხოლოთ ის არის, პირიქით,
გივის ქება და დიდება,
თუ შრომას იმ წეს-იმ რიგით
სხვა გლეხიც მოეკიდება!
და არ იქნება ნარჩევი
იმისი ყანა სხვისაში,
მაგრამ არხობის სარჩევი
სჩანდა ჯერ ისევ ქისაში.
ვინც შემძლე იყო, ასწრებდა,
ვინც არა, უკან რჩებოდა,
ფული ცხოვრებას ათრევდა,
ნარჩი ყოველს მძლედ ჩნდებოდა...
და ბედი მშრომელი ხალხის
ყველას ეკიდა ფეხებზე!..
თუმც, ჰა, აწ ხედვაც ომახის
ყოფნის სხვა გარდატეხებზე!..

ცისკარი ამომავალი

დიდი ოქტომბრის მზე მოხავს
ქვეყანას ოქროს ხვავათა,
ის ყანებს ისე შემოხავს,
მადლს სჯობდეს სანახავათა.
არა სწამს იმას არც სიტყვა,
არც გვალვა, არცა ჭყიფარი,
თუ პირი ერთხელ კი შეთქვა,
ნემსში გაძვრება ფიქრი,
დაშრება პალიასტომი,
წყლით გაიჟღინთვის შირაქი,
წყლებს კი ექნებათ საწტობი,
მიწას რომ არგებს პირიქით!
დიდია მისი მიღწევა,
ის ცხოვრების მეულამი,
გლეხთა სამოთხედ იქცევა,
თუ კი ისურვა, მეულანი;
და ყარაიას ველები
ტრაქტორითა დოლად იქცევა,
მოუვა მხვნელ - მთესველები
და კვლავ ახალი მიღწევა.
ოღონდ მას უნდა მიღება,
რომ გვექნას მისი წესები...
და ჰა, კარებიც იღება,
ცისკარზეც უკეთესები...
გამოჩნდა გმირი მხედარი,
მოაქვს ალამი მარჯვნისა,
ურმიც, ნამგალიც ზედ არი,
ნიშანი ცდის და გარჯისა!
გივი მას ხვდება ღიმილით,
ქიტესა—ცოტა წყრომითა:
ის უქმად იჯდა იმ დილით,
გივი რომ გაძღა შრომითა.
და როცა შემოდგომაზე
გივი ახალს წესს აქებდა,
ქიტესა ახლის ნდომაზე
ყოველს აზრს აჩანაგებდა...

სხვა დილა სოფელში

— ქიტესა! ჰეი, ქიტესა,
გამოხე ეზოს პირასა,
გეტყვი სამიამიტესა
ამბებსა, გასაკვირალსა.
ს ჩალაძიანთ ჭანჭრობში,
მტკვრის პირას რომა შმირია,
რა განუზრახავთ ამ დროში?
კაცს ეგონება: ჭორია!...
არხი გამოჰყავთ:—ხნულები
მოვრწყავთ მდინარის წყლითაო.
სთქვეს, თუ ეს განზრახულები
ჩვენმა რევკომმა ითავა...
დღეს მუშა ხელებს იწვევენ
ამ ქაჯურ სამუშაოში,
იმას კი აღარ იკვლევენ,
თუ რა გვაქვს საკუჭნაოში?
შარშან გვალვებმა დარუჯა,
რაც კი გვებადა ნათესი,
მთელ ზაფხულს გვემხო ცა ლურჯათ,
მზის შუქით გადანალესი.
კურკაც არ გაჩნდა ყანაში,
ისე დაიწვა ხორბალი;
დამნაშავეა ამაში
ჩვენივე ბედის ბორბალი.
მხოლოთ ეს მიკვირს: ეს ხალხი
კიდევ რათ აღარ გვისვენებს?
რათ უნდა სოფელს ეს არხი
ანუ რად გამოიყენებს?!.
— აქი სთქვეს: ხნულთა ხარწყავად,
თუ განმეორდა გვალვები!..
შენიშნა გივმა ამ თავად,
რა ესმა ესე ამბები.
მეზობლებს გივის შენიშვნა
ამჟამად თუმც არ იამათ,
გაჰწიეს სამუშაოში,
რომ აღარ დაეგვიანათ...

არხი ახალი და პური

გატყდა ავ ენის სიხინი,
გაიჭრა არხი ისეთი,
რომ დარბის შიგ მზის ხიცილი
და იბადრება ცისეთი!
ტანზე დასხმია შტოებათ
პატარა ნაკადულები
და ღვრიან ზედ სილბოებს,
სადაც მშრალია ხნულები...
წელში სწორდება გლეხობა:
გვალვა მას ველარ იმონებს!
ხალხი ახალს წესს ემხრობა,
წარსულს კი წყევლით იგონებს.
რადგან ახალმა, რა ჩაჰკლა
გვალვის შიში თუ ზიანი,
სიტყვას, ცას ებრძვის ის ახლა,
ამაღლდა ადამიანი!
მიწას სასუქით აპურებს,
მით იმსუბუქებს შრომასა,
და ზაფხულს თუ ოფლს აპკურებს,
ლხენით სვრეტს შემოდგომასა!
რადგან მიმდგარი პურებით
აივსო ორვულივ ყანები,
ოქტომბრის დამსახურებით,
ტრაქტორითა აქანებით...
ბეღელი პურით ივსება,
საბძელი — ბზით და ძალითა,
და გულის წახალისება
ხდება იმედის ძალითა!..

ალი და კვამლი

არა, ჯერ ქოხში კვლავ ბნელა,
ჭრაქი და კვარი ჰბოლავენ...
ადვილი არის სათქმელად,
მაგრამ სიცოცხლეს ჰქოლავენ...
თითქოს არა აქვს საშველი,
თითქოს არ ისმის ნუგეში,
გვკრავს უმწეობის საბელი
და ვართ სიბნელის უღელში!...
მაგრამ... ჩუ! მოდის ამბავი,
ამბავი გაუგონარი,
არის ყველაფრის გამთავი
ეს დრო, ვით კინოზონარი!
— დაძრულა მთელი ქალაქი,
ქალაქი თბილისისაო,
და მცხეთის ქვემოდ ალაგი
არაგვისა და მტკვრისაო,
სურთ გადასერონ არხითა,
წყალს გზა დაუხშონ ტიტინითო...
რა გინდათ სხვა ამ ხალხიდან?
მუშაობს ხალხი ტემპითო!...
სად გაგონილა მტკვრის შებმა
რკინის და ჯავშნის უღელში?
მაგრამ თბილისის მუშებმა
თუ მოგვცეს ამის ნუგეში,
სჩანს, ეს მართალი ყოფილა!
ჩვენც მივეშველოთ ბარებით!..
ქალაქთან სად გაყოფილა
სოფლები გზით და შარებით?!...
დასძახის გივი გლეხობას,
ბარ-გადებული მხარზედა,
და მას გლეხობაც ემხრობა,
შეყრილან გივის კარზედა.
ვის თოხი მოაქვს, ვის—ბარი,
ვის—წერაქვი თუ ნიჩაფი,
და ყველა ასე მიჩქარის
გახროლილ ტყვიის სისწრაფით!..

ალმა კვამლს სძლია!

არხი გაიჭრა, რა გვარი,
ავს თვალს არ ენახვებოდა,
იქით და აქეთ ნაღარი
მთის ფერდებივით წვებოდა...
სათავე ტინით გაჭრეს,
დულაბით, თუჯით, ჯავშნითა
და ჯავშნისავე საქანებს
ტალღებს უშენდენ თავშიდა.
შეჰკრეს, შეჰკოჭეს ოდესმე
არმაზის ფეხისაბანი,
საუკუნეთა მოწესე,
სხნის და მონობის საგანი.
გულ-ამღვრეული ნაყური
ორწოხოვანი ქედების,
უწყვეტი ლტოლვა ქაჯური
სხვა ძალთა გარდამეტების...
შეჰკოჭეს მტკვარი, ქავთარი,
შებოჭეს ლომი, ბებერი,
ოქროს-თმოვანი ფაფარი
მკერდს რომ აქვს დაუგებელი;
ყალყზე აყრილი ნიადაგ,
როგორც ფოლადის ჯაგარი,
და მომღელვარე ზვირთადათ
ურჩი, უტეხი, მაგარი!...
შეჰკრეს და გააყოფინეს
თავი ოთხ თუჯის კოდშია...
ეს მარცხიც არ აყოფინეს,
სულ „ამოსდეს ოთხშია“...
დაწრიტეს სრულად სისხლიდან,
დაჰგრიხეს ყველა ძარღვები...
თვალთაგან ცეცხლს რომ ისვრიდა,
მას მზედ იფენდენ ბაღები...
განათდა მთელი ქალაქი,
მოუდო სოფლებს გენია,
თვით მივარდნილი ალაგიც
უცეცხლოდ არ დარჩენია...
და ღამე ურიცხვ-ბნელ-თვალა,
უწინ ყაჩაღთა სათელი,
აწ დრომ მზე-თვალამ შესცვალა,
გზები გამოჩნდა ნათელი.
ქოხებს რომ ქარვა აცვია
ღამით, მზის მტვერი გვგონია,
და ყველგან ცეცხლთა ქაცვია,
თითქოს ცის კაბადონია.
თუმცად დაედგა მზე სოფლებს,
თუმც რაა კერძოთ სათქმელი?
გივის და იმის მეზობლებს
უწვავთ სულ თითო სანთელი!
და მაინც ღირდა ამისთვის
იქ, არხში ქედის მოკაკვა!
დღეს მზედ ნაკვესი ღამისთვის
უწინ იქ სიპებს ლოკავდა!
და თუ თათებით დაბორკვა
შენი მას მოუხდებოდა,
მან არ იცოდა დაზოგვა,
პირდაპირ ყელში გვწვდებოდა:
გაგკმენდდა, გამოგგუდავდა,
გულს აგივსებდა შლამითა...
იგი სავალ გზებს ზღუდავდა!
ის სავსე იყო შხამითა!..
ახლა კი ისე იცინის
ამ ჩაუშრეტი სანთლითა
თითქოს ზის ვინმე მიცლილი
და ღამეს დაღავს შანთითა...

არსება მისი გრძელია!

კაი მიცლილი ყოფილა,
თქვენ ნუ მომიკვდეთ, „ზაჰესი“!...
მარტო ის არ გვაყოფინა,
დღე რომ ჩამოსდგა ღამეში.
აგერ დინამო რომ ღავის,
აგერ რომ ჩარხი გრუხუნებს,
ვისი ძალაა ეს მკლავის,
ძარღვებს დროც რომ ვერ უღუნებს?
ეს ხომ „ზაჰესის“ ცეცხლია,
ცეცხლი, ძვრის ძალად ქცეული!
მეხი, ციდან რომ გვესვრიან,
აქ წყლით გვაქვს ამოთრეული!
ის შებმული გვყავს უღელში
თოთხმეტი ათას ცხენადა,
შრომაში ჩვენი ნუგეში,
დამხმარედ, შვებად, ლხენადა...
მით დღიდან დღითი, წლითი წლად
ისმის აქ ქარხნის გრიალი;
და მიდის იწევს ის წინ ვრცლად,
ვით ყოფნის ჩარხის ტრიალი...
ორმოცდაათას ცხენებად,
გვინდა, რომ მალე ვაქციოთ...
მე ამის ასაშენებლად
თვით მოვალ! აღარ მაწვიოთ!..
ამბობენ: უღელ-ტეხილით
გზა რომ ეშვება რკინისა,
ზედ ულო-ამოგრეხილიც
არ სჩანს უღელი იმისა;
არ არის გამძლე ხარები,
იქ რომ არ ნახონ მარცხია!
რკინის, ჯავშნის ფარები,
თუ ჩიხიც ბევრი ასხია,
მაგრამ არ არის საშველი
და მარცხიც მარცხებს მიყვება...
მოვიდა ბევრი ბრმა-მცდელი,
ბევრის ცრუ მიზნით იკვება...
„ურემი მაინც იქ გდია“,
იქვე „ოცოხნის კამეჩი“...
დღენი კი ისევ მირბიან
და ინთქებიან ღამეში...
მოდის ამ ღამის გამტეხად,
მოაქვს იმედი ხსნისაო,
ზღაპრული რაში, მრავალ ფეხა,
გულ-ანთებული მტკვრისაო!...
ცეცხლს რომ ჰყრის თვალებიდანა,
შუბლს რომ ასხია ისარი,
ტვირთის გამტანი მთიდანა
უმარცხოდ მხოლოდ ის არი!
შეუკოდელი ნაკადი
მოაქვს ცეცხლოვან ძლევისო...
ძველი წესებო, ნახვამდის,
ამ მთებზე ტვირთთა წევისო!..
მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგვყავს „წითელი მამალი“,
იგი სხვა ცისკრის ზარია,
სხვა მზეა ამომავალი!
იჭარა მისმა მნახველმა
და შვებით ამის მთქმელთა:
„ბნელსა აჯობა ნათელმა!..
არსება მისი გრძელია!“...
და მართლაც დაჰყვა მთის ფერდებს
თუჯის ახალი სვეტები,
ზოდებზე თვლებს რომ ამხედრებს
და ჰქრიან თავ-გამეტებით...
აღარც მარცხია, არც ლოდნა,
არც ძველი გზა და სვლის წესი...
შეერთდენ ძალა და ცოდნა
და მიაქვთ ყოფნის ექსპრესი!...

ელექტრონების მონობა

მტკვარმა სთქვა: „ბათომს ვაპირებ,
შევკაზმე რკინის ცხენიო.
არაგვო, ცივ ხმით გაყვირებ,
თუ არ შემიწყვე ხელიო!“
რიონმა შემოუთვალა:
„მტკვარო, ხარ ჭკუათხელიო,
მარტო არაგვი რას კმარა?
საქმეა უფრო ძნელიო.
გავეც ფიცხელი ბრძანება:
ყველგან გაიკრას გზებიო!..
შენ თავი ნუ გენანება,
მეც აქეთ გზაში გხვდებიო.
ავანთებ გამძლე ჟინჟილიებს
და მძლედ წინ შევეგებები,
რომ არ მოეწყო მთის ჭრილებს,
და არ აგიცდეს ფეხები.
თუ სადმე ღრანტე ხევია,
უნდა გასწორდეს ვაკეთა!
შენ იქით გზა გიკვლევია,
მე მომანებე აქეთა.
მხოლოთ ჯერ ცოტას დამაცლი,
რომ მოვიმაგრო მუხლები,
ცეცხლოვან ქოჩრის ავარცხნით
კვლავ მთებზე გადმოვქუხდები,
რომ გულის ცეცხლი, აზიზი,
მომქონდეს ძლევის წესათა!..
მოვკვდე, ვით ძველი ფაზისი,
აღსდგებით „რიონჰესათა!“
მტკვარს ესმა სიტყვა რიონის,
ეგონა ვინმე მკვეხარა;
ნაოჭი კავკასიონის
ცას შუბლზე ფიქრად ეყარა...
ფიქრია ეს თუ წუხილი,
ან იქნებ უმძიმს დასტური,
თუ ენანება ქუხილი,
აწ რკინის სიმზე გაბმული?
არც ღმერთი, აღარც ხელმწიფე,
არც ჩაგვრა, აღარც მონობა!..
მოდის ცეცხლოვან წესითვე
ცეცხლი და ელექტრონობა!!
მოდის, არა ვით ბატონი,
სხვის წინ მონურად ემხობა,
არიან მისი პატრონი
მუშათა სპა და გლეხობა.

საქმობს ახალი სოფელი

თემაღმასკომის კრებაა,
გივის თავმჯდომარეთა,
იქ ადგილი აქვს სჯა-ბაასს,
ბაასს, საქმიანს, ცხარეთა...
საკითხი მიწას ეხება,
რომ ჩამოართვეს თავადებს,
და განიზრახეს გლეხებმა
თანხმობით, თავისთავადა,
მოაწყონ შრომის არტელი,
შესდგენ შიგ კოლექტივათა,
აწყონ კულტურა, საცდელი,
რაც მოირჩეს,—ყანა—თივათა...
გამოიწერონ ტრაქტორი,
მანქანა სხვადასხვაგვარი;
თემია ცოდნის ამყოლი,
მკლავით და ძარღვით მაგარი.
ეს თავმჯდომარეც კაცია,
რაც სოფლურ საქმეს ეხება,
თვით ცნობიერი ვაჟია,
იციან ყველა გლეხებმა
ის ხომ მათ სულ წინ უძღოდა,
საერთო საქმის ხსენებით,
მიიღო ძალა და ცოდნა
სოფელმა მისი ჩვენებით!..
დღეს მას სინათლეც უხვად აქვს,
სკოლაც აქვს, შრომის სკოლაცა,
საუდარიც უდგას კლუბათა,
ქოხ-სამკითხველოს ტოლათა.
კოოპერატივ-დუქანში
იგი არ იკლებს საქონელს,
წვიმაა, თოვლია თუ ქარში,
დღეს მას რადიოც აგონებს..
სიდან სად მოდის ეს ხმები!..
აქ გაზეთებიც მოდიან...
ხალხთა შენათანხმები
და ეს ხუმრობა როდია!..
აქედან კომუნიზმამდე
ერთი-ღა ბიჯი გვაკლია,
და არ სწვდე მასაც მიჯნამდე,
რა სახელი ან ღვაწლია?!.
და გივიც კოლექტივისტობს,
მას ვერ აჩერებს მიღწევა,
კერძოს საერთო რომ კი სჯობს,
არ უმძიმს ამის გარჩევა.
თორემ სოფელი იბრუნებს
ერთსავ ადგილზე ტკეპნითა,
ყველა თვის ხვედრზე იზრუნებს,
საკუთარ თავზე კვეხნითა,
და არ ექნება საბამი
ახალი ყოფის გაშლასა..
მტრედს ჰგავს ოცნების საგანი
და წინ მზე—წითელ ატლასსა!..

ერთი და განუყოფელი

— რით არის გამოწვეული
ასეთი ზომა, ძმობილო,
რომ იქნას ხელმოხვეული
შენი თუ ჩემი დობილო?!.
ეზო, ყანა თუ სათიბი
რომ შევკრათ, შევაზიაროთ?
ნუთუ გზებია ნაკიბი,
ცალ-ცალკე ზედ ვერ ვიაროთ?!.
სვამდა ამ კითხვას ქიტესა
და სურდა გივის დაჭერა,
კრება რომ იყო იმ დღესა
ახალი ყოფის საკერად..
გივი ხოდაბურს, ჭკვიან გლეხს,
სულ არ სჩვევია დაბნევა,
ენით სჭრის, სიტყვით ქვებსაც სტეხს,
არ იცის უკან დახევა.
თუ კი მას ერთხელ წამოსცდა
რაიმე აზრი, მართალი,
ინებეთ მისი გამოცდა!
ის საბუთებით მზათ არი!
იმ დღესაც ასე დაიწყო:
„ცხოვრება, ყოფნის მდინარე,
აწ სხვაა, უწინ სხვა იყო,
უძრავი, დუნე, მძინარე...
დღეს ის წესები არ ვარგა,
პაპა რომ ქოხში აწყობდა,
თვით ჩამომხმარი ფარგალა
მდიდარ ბატონებს აძღობდა.
გადავიგდეთ მათი ქაპანი,
აწ არ ვითვლებით მონებათ,
ის დრო, ცრემლებით ნაბანი,
მძიმეა მოსაგონებლად!..
წინ სულ სხვა გველის სამყარო,
ჩვენივე ხელის საგები,
ჩვენც უნდა ფუძე ჩავყაროთ,
თუ კი ვართ ამხანაგები.
და მომავალი თაობა,
ვით ერთი, ჩვენი შვილთა..
რათ უნდა ვიდგეთ ჭაობათ,
თუ არხი წინ დაჭრილია?
თუ, მაგალითად, მტკვრის დინა
საუკუნებით გვსერავდა,
არ იყო მისგან ის ლხენა,
ღამეს რომ მზით დაჰფერავდა;
პირიქით, გვყოფდა, გვთიშავდა
გალმა-გამოღმა მტერებათ,
გვესხმოდა ქვათ და ქვიშადა,
თუ ბევრ სხვა უდიერებათ,
თუ დღეს ეს ძალა, უზეშო,
მოვხარეთ წელში რკალადა,
შევაბით რკინის უღელში,
ვაქციეთ უშრეტ ძალადა,
მზის და სიცოცხლის ნაკადათ
მშრომელთა არჩაგრულ მონადა,
მხოლოდ დამხმარეთ და ნადათ,
მჩაგვრელთა დასაღონადა,
რადგან მონობის საკითხი
ასე ავხსენით მკაფიოთ!
მისთვის ხარკს არავინ არ იხდის,
ჰგავს მოწოდების დაფიონს.
ასეთი ჩაგვრა მონობა
და სტიქიონთა ალაგმვა,
არ არის უკანონობა!
ეს უწყის ყველა ალაგმა.
მით უფრო—მშრომელთ კოლექტივს
ის თუ ეკუთვნის მთელადა,
თუ ყველა საქმის მიეტრფეს
ცხოვრების მოსართველადა,
და არა სადმე ბუნაგათ
შეაქვს თავგვივით ნაყოფი,
თუ არ ძრწის ძალა მსუნაგად,
მშრომელი ხალხის გამყოფი;
თუ ყველა ერთი პირია,
ვით მზე, ერთი აზრით ნათელი,
მოძალე მას არ სჭირია,
თვით იცის სათქმელ-საქნელი!..
და ამას იგი მიაღწევს,
როცა ერთია საგანი,
ცხოვრებას რაც წინ მიარწევს,
ვით ყრმას—აღმზრდელი აკვანი;
დღითი დღე რომ ძლიერდება
მასში ყრმა, ნორჩი, ახალი,
ქვეშ ხნულად რომ ფხვიერდება
ძველ წესთა ნაპარტახალი,
რათა ახალმა ფესვები
მასში ხალვათად გაიდგას...
დღესაც ახალი წესები
ითხოვს სვლის ახალ ნიადაგს,
როგორც ბებერი მტკვრის წყალი
ჩვენგან ახალ არხს ითხოვდა!
თორემ დღეც გვაკლდა მზის თვალი,
აწ ღამით რომ გვაგვითოვდა!
მაშ, დაიშული ცალ-ცალკედ
კვლავ რისთვის უნდა ვეწვალოთ?
რათ დავრჩეთ ძველ წესთ მოხარკედ?
აწ იგი უნდა შევსცვალოთ!
„ერთობა ჩვენთვის ტახტია“,
კოლექტივობა—მეტიცა!
მანქანა ყოფნის ლახტია,
ურმიც, ნამგალიც, კეტიცა...
კავიც, სახნისიც შიგ არის,
ჩვენც შიგ ჩავეწნათ ულითა:
მჭედელიც თუ ფეიქარიც,
ქვეყნის საჭირნახულითა..
დავირაზმებით, დავდგებით,
ვით ერთი შრომის არმია,
ვისაც კომუნის აგებით
დროთა სვლაც გვისაპყარნია!“
—„კარგით“, კრებაც ემხრობა
წინადადებას გივისა,
და აწ ეკუთვნის გლეხობა
ერთ ოჯახს კოლექტივისა.
მოისპო კერძო ოჯახი
და საკუთრება კერძოცა,
ყველას აქვს თავის ოთახი
ყველას პური, რძე, ერბოცა...
და ამ ოთახთა სიმრავლე
ერთ სასახლეში ეტევა,
შიგ კოლექტივიც, ლაღი, მძლე,
ერთი ხმა, ერთი შეტევა!..
მხოლოდ გარემო-ბუნება
მით უნდა იქნას ძლეული,
მარტო ის გაიყურება,
ვით მკრივში გამოწვეული.
ზედ ძლევა-მოსილ შრომის ხმას
გააქვს ზღვასავით გუგუნი...
აწ ჩვენ ხალხს ვხედავთ, ვით და-ძმას,
წახდა, წავიდა უკუნი!..

უდასასრული კიაფი

თითი მოჰკვა ქიტესამ
წინაშე უმრავლესობის!
ასე დაიწყო იმ დღეს აქ
ახალი ერა გლეხობის!
მოისპო ძველი თემობა,
ის კოლექტივმა შესცვალა,
უარჰყო მან შენ-ჩემობა,
უწინ რომ დიდხანს ეწვალა.
თემი თემს მისდევს, ხევი-ხევს,
ქალაქი ქალაქს ემხრობა,
ყველგან „საერთო“ „კერძოს“ სძლევს,
აღსდგა კომუნა-ერთობა!
სულ სხვა დამყარდა ადათი,
სხვა წესებს მიჰყვა დღეები,
არა ნიკორა-ლაბათი
აწ გადიხარვის კლდეები;
არ გადიხვნების ყამირი
სახნისით, გუთნით, კავითა,
მოვიდა ყოფნის გამისი
სხვა ზამბრიანი მკლავითა;
თან მოიტანა ჯავშანი;
დაჰგრიხა უღლო რკინისა!
მოჰქრის უღლგმო ავშარით
მერანი ელვის ჟინისა!
ის ველზე კი არ ბალახობს,
ღამით რომ უნდა ინამოს.
სოფლად ტრაქტორი ტრაბახობს,
ქალაქს ზნექს გრგვინვა დინამოს.
ყოფნას სჭვრეტს სხვაც ბევრ რამეებს,
სწრაფია როგორც კიაფი,
და ცეცხლებ-დაყრილ ღამეებს
დღესავით გააქვს კიაფი!
ქვეყნად ჩამოდგა სიმართლე
და მტკიცედ ამის მთქმელია:
„აწ არ ჩაჰქრება სინათლე,
არსება მისი გრძელია!“...

ნ. ზომლეთელი.

ქრონიკა

უნივერსიტეტის საბჭოს წევრები

სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს წევრებად საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა აირჩია ამხ. ფირალიშვილი, არ. მიქაძე, გ. ხიხარულიძე, ალ. ჯიჯაძე და ხ. გეგენავა. კანდიდატებათ: ამხ. შ. გეგენავა და ხიონ ორჯონიკიძე.

მცხეთის ხე-ტყის ქარხნის გაფართოება

ახლო ხანში საქართველოს ს. მ. უ. ს. შეუდგება მუშაობას მცხეთის ხე-ტყის ქარხნის გასაფართოებლად. აგებული იქნება რამოდენიმე ახალი შენობა და გადაკეთებული იქნება არსებული შენობები. ქარხანა უმთავრესად დაამზადებს საექსპორტო სატყეო მასალას.

კრედიტები კოოპერაციას

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა საქართველოს კოპერაციის ფინანსების უზრუნველყოფის საკითხი და ამ მიზნით საკავშირო საშუალებებიდან გადადებული 211.600 მანეთი გაანაწილა შემდეგნაირად: „სოფლის კავშირს" მიეცა—101,600 მანეთი, საბინაო-საამშენებლო კოოპერაციას—60.000 მანეთი და შინა-მრეწველობის კოოპერაციას—50,000 მანეთი.

184 მოგება

სახელმწიფო ბანკის თბილისის საოლქო კანტორამ 25 თებერვლიდან 1-ლ აპრილამდე გაანაღდა ინდუსტრიალიზაციის სესხის მეორე ტირაჟის 184 მოგება 21.605 მანეთის რაოდენობით.

ბავშთა სამდღიური

სრ. საქართველოს ცაკთან არსებული უპატრონო ბავშთა დამხმარე კომისია, ლენინის დაბადების დღის აღსანიშნავად 22, 23 და 24 აპრილს აწყობს სამდღიურს—უპატრონო ბავშთა დამხმარე ფონდის გასაძლიერებლად.

სამდღიურის ჩასატარებლად დაარსებულია ცენტრალური კომისია ამხ. ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის მოადგილეებათ არჩეულნი არიან ამხ. მარიამ ორახელაშვილი და ამხ. კ. ხომერიკი.

კომისიაში წევრებად შედიან პარტიულ, პროფესიონალური, საბჭოთა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ცაგერ-ლვირიშის გზა-ტკეცილი

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს განკარგულებით, ლეჩხუმის მაზრის აღმასკომს მიეცა 60 ფუთი ასაფეთქებელი მასალა ცაგერ-ლვირიშის გზატკეცილის გაყვანის საჭიროებისთვის.

თბ. აღმასკომში

◆ **ყინულის ქარხანა.** თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიამ დაადგინა ქალაქის ყინულით უზრუნველსაყოფად ამუშავებული იქნეს ყინულის მე-2 ქარხანა. ქარხანა წელს დაამზადებს 3440000 ფ. ყინულს.

◆ **თიანეთის ხე-ტყის ქარხანა.** ამავე კომისიამ დაადგინა გაფართოებული იქნეს თიანეთის ხე-ტყის ქარხანა და ამ ქარხნის ელსადგურით მოეწყოს თემის განათება.

◆ მხატვართა საზ-ბას გამოფენების მოსაწყობათ თბ. აღმასკომმა დაუთმო „ორიანტი"-ს ქვეშა ერთი დიდი დარბაზი ახალ ბინას აღმოჩენამდე.

მიწსახკომში

◆ **ბაღი-ვენახი.** მიწსახკომის ხელმძღვანელობით წელს გორის მაზრაში გაშენებული იქნება 1000 ჰექტარზე ხეხილის ბაღი-ვენახი.

◆ **მებოსტნეობა.** მიწსახკომმა გადასწყვიტა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოაწყოს მებოსტნეობის საჩვენებელი ნაკვეთები.

საგეგმო კომისიაში

◆ **პროლეტარულ სტუდენტთა** საერთო საცხოვრებლის მოსაწყობად საქ. საგეგმო კომისიამ დაადგინა გადადებული იქნეს 200.000 მანეთი.

◆ **გეოდეზიური კაბინეტი.** საქ. საგეგმო კომისიამ დაადგინა სახ. მეურ. უმ. საბჭოსთან მოეწყოს გეოდეზიური კაბინეტი.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **სამკურნალო** ფაკულტეტს უნივერსიტეტის გამგეობამ გაზაფხულის სემესტრში მუშაობის გასაფართოებლად გადასცა 62000 მან.

◆ **სამხედრო ლაშქრობა.** სახ. უნივ. სოც.-ეკ. ფაკულტეტის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკომი 13 აპრილს ხუდადოვის ტყის მიდამოებში აწყობს სამხედრო ლაშქრობას ორივე სქესის სტუდენტთათვის.

◆ **პლენუმი.** სამშაბათს, 10 აპრილს, დღის 12 საათზე შესდგება სახ. უნივ. სტუდენტთა აღმასბიუროს გაფართოებული პლენუმი პროფკომების წევრებთან და კურსის რწმუნებულებთან ერთად.

◆ **სოც.-ჰიგიენის ინსტიტუტის აუდიტორიაში** დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება საექიმო ფაკულტეტის სტუდენტთა პროფ. კახიანის სახელობის სამეცნიერო წრის საჯარო კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს სტ. ალ. გზირაშვილი: „ვიტამინები და მათი მნიშვნელობა".

საექსკურსიო ტურისტულ ბიუროში

◆ **ექსკურსია.** დღეს, საექსკურსიო ტურისტული ბიურო დაბახანა-თელეთში აწყობს ექსკურსიას. ექსკურსიაში მონაწილენი უნდა შეიკრიბონ დღეს, დილის, 8 საათზე თავისუფლების მოედანზე.

◆ **ლექცია.** ორშაბათს, 9 აპრილს, საღამოს 7 საათზე საექსკურსიო ტურისტულ ბიუროში (ორჯონიკიძის ქ. № 4) ამხ. სტრელეცკი რუსულ ენაზე წაიკითხავს ლექციას: „ექსპედიციის ასვლა მყინვარ წვერზე გასული წლის აგვისტოში".

კრებები და მოხსენებები

◆ **„მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზ-ბა"** ორშაბათს, 9 აპრილს, საღამოს 7 საათზე ამხ. ნარიმანოვის სახ. კლუბში ჰერცელ ბააზოვი ქართულ ენაზე გააკეთებს მოხსენებას: „მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობის საზ-ების პრაქტიკული საქმიანობა, მისი ამოცანები და მიზნები". შესვლა თავისუფალია.

სხვადასხვა

◆ **საბჭოთა რეპერტუარზე.** დღეს, საღამოს 8 საათზე მუშათა სახლის მცირე დარბაზში გაიმართება დისპუტი საბჭოთა რეპერტუარზე.

◆ **წითელი ჯვარის ცენტრ. კომიტეტი** წინადადებას აძლევს იმ პირებს, რომლებმაც დამთავრეს პირველ საექიმო დახმარების კურსები და ირიცხებიან წითელი ჯვარის საზოგადოების პირველ დახმარების რაზმებში, გამოცხადდენ დღეს, დილის 8 ს. წითელი ჯვარის ცენტრ. კომიტეტში.

◆ **კომუნალური კომისიათა კრება.** დღეს, დღის 12 ს. დანიშნულია კომუნალურ სექციების ყველა კომისიების კრება კომსექციებში მუშაობის გაცხოველების მიზნით, ამავე დღეს სამილიციო რაიონების კომისიების სხდომა შესდგება სამილიციო შენობებში საღამოს 5 საათზე.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები** მარტვილიდან—ფალავას, ტურტორიდან—ბაბაევს, ახალციხიდან—გრუზინსკის, სოხუმიდან—კიკალიშვილს, ლენინაკანიდან — ცალიკაშვილს, პრებალოდან—ღვალს, ნუხიდან—ტოპლაშვილს, ბათომიდან—მანჯალაძეს.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში მოთავსებულ წერილში: „თვითდაბეგვრის საკითხები" ზოგიერთი ციფრები არ არის სწორი.

აღმოსავლეთ საქართველოში განთავისუფლებულ იქნა დაუბეგრავი მინიმუმით მეურნეობათა არა 16,3 პროც., არამედ 35,5 და დასავლეთ საქართველოში კი 28,5 პროც. ნაცვლად—51,9 პროცენტი.

ხელოვნების ქრონიკა

კომკავშირელ მწერალთა წრეში

დღეს, საღამოს 6 ს. ხელოვნების სასახლეში შესდგება კომკ. მწერ. წრის კრება. დღის წესრიგში დგას: 1) კ. ბობოხიძის მოხსენება წრის ბიუროს მუშაობის შესახებ, 2) ბიუროს გადარჩევა. კრებას უნდა დაესწრონ წრის შემდეგი წევრები: ვ. ლუარსამიძე, დ. რიონდელი, კ. კალაძე; ა. სულავა; ილ. ხოშტარია; კ. ბობოხიძე; ფრ. ნართუშვილი; კ. ფელდოსიშვილი, ს. წვერავა; მ. კაჭახიძე; შ. კარსანიძე; ა. ბუჩნიკაშვილი; გ. ზარიძე; ლ. ჭიჭინაძე; ვ. ქავჟაია; კ. ნესტორაშვილი; შ. ჩაგუნავა; ნ. ხეთაგური; თ. ქვიტირელი და ი. ასათიანი, პ. ქავჟაია.

სანდრო ინაშვილი, ორშაბათს —ხელოვნების მუშაკთა კავშირის დღეს, სახ. ოპერის თეატრში გამოვა ოპერა „ფაუსტში", რომელშიაც პირველად შეასრულებს მეფისტოფელის პარტიას.

— **მე-15 საბავშვო ბაღის სასარგებლოდ** კინო „აპოლოში" დღეს, დღის 11 ს. ნაჩვენები იქნება საბავშვო კინო-სურათები. მიდის შემდეგი სურათები: „მისს კეტი" და „მისტერ დეჯ" დუროვის ცხოველების მონაწილეობით.

— **საჩვენებელი წარმოდგენა.** მუშათა თეატრში ამ დღეებში გაიმართება სახ. კონსერვატორიის საოპერო კლასის საჩვენებელი წარმოდგენა ს. ინაშვილის ხელმძღვანელობით.

— **„მსხვერპლი".** დღეს, პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის პიესა: „მსხვერპლი".

— **ავტო-კლუბში** დღეს, ოპერის მსახიობთა კოლექტივის მიერ წარმოდგენილი იქნება „სევილიელი დალაქი".

— **სახ. კონსერვატორიის დარბაზში** ორშაბათს, 9 აპრილს, გაიმართება რუსული მუსიკის საჩვენებელი საღამო ტერ-სტეფანოვის კლასის სტუდენტების მონაწილეობით.

— **მუშათა ახალ კლუბში,** ოთხშაბათს, 11 აპრილს პროლეტარულ დრამატ. სახელოსნოს კოლექტივის მიერ წარმოდგენილი იქნება გ. ტულუშის პიესა „აღმშენებლობა". დადგმა დ. კობახიძის, მხატვარი—დ. კაკაბაძე.

— **ოპერის თეატრში** დღეს შესდგება ლიუკომის და შავროვის გამოსათხოვარი გასტროლი.

— **„რღვევა".** მუშათა თეატრში რუსულ დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

— **დ. კაკაბაძის სურათების გამოფენა.** ახლო ხანში თბილისში გაიმართება მხატვარ დ. კაკაბაძის სურათების გამოფენა.

— **რეჟისორი ქუსიტაშვილი.** რეჟისორი ქუსიტაშვილი, რომელიც ამჟამად იმყოფება პარიზში და მუშაობს მთავარ რეჟისორად თეატრ „ატელიე"-ში საქართველოში ჩამოვა შემოდგომაზე.

◆ **გლეხური შემოქმედების საღამო.** ორშაბათს, 9 აპრილს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება გლეხურ შემოქმედების საღამო გარე-კახელ მომღერალ გლეხების მონაწილეობით.

ბიბლიოგრაფია

«БОЛЬШЕВИК ЗАКАВКАЗЬЯ».

საკ. კ. პ. (ბ) ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის ორგანო №№ 1 და 2.

ამ ჟურნალის გამოსვლას უნდა მივესალმოთ, რადგან აუცილებლობა თეორეტიული ხასიათის ჟურნალისა, რომელიც გაარკვევდა მთელ რიგ სერიოზულ საკითხებს ამიერ-კავკასიის თავისებურებასთან დაკავშირებით, კარგა ხანია იყო წამოჭრილი. პარტიული მასა და განსაკუთრებით პარტიული აქტივი მოკლებული იყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში ასეთ ჟურნალს. პოლიტიკის, ეკონომიკის და კულტურის პერიოდულ ორგანოს საჭიროების დამატებითი მოტივი გამოიხატება იმაში, რომ ბრძოლა იდეოლოგიურ გადახრებთან, ნაციონალისტურ აზროვნებასთან და ძველი სოციალ-პოლიტიკური წყობილების რესტავრაციის ცდებთან, განსაკუთრებით მწვავეა ამიერ-კავკასიაში.

ამას აღნიშნავს ჟურნალის რედაქციაც, რომელიც სწერს, რომ „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, სადაც ლენინის მიერ დასახელებული ხუთი სამეურნეო წყობა წარმოდგენილია მთელი თავისი სისრულით—მომთაბარეობიდან მექანიზაციაქმნილ ნავთის სარეწაოებამდე და ხის კავიდან მძლავრი ელექტრო-სადგურებამდე, სადაც კლასიური დაბრკოლებანი არაჩვეულებრივ დიდია, ს. კ. პ. (ბ) მე-15 ყრილობის მიერ მითითებული „ბრძოლის განსაკუთრებულ გაძლიერებას იდეოლოგიურ და კულტურულ ფრონტზე" აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

ჟურნალის პირველი ნომრები დადებით შთაბეჭდილებას ახდენს მასალის შერჩევისა და ავტორთა მხრივ. აღსანიშნავია, რომ ჟურნალში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მთელი რიგი პასუხისმგებელი ამხანაგების, თუმცა ეს მონაწილეობა ჯერ-ჯერობით არ არის სრული იმ მხრივ, რომ საჭიროა არა ერთი და იმავე ამხანაგების, არამედ რაც შეიძლება მრავალის ჩაბმა ამ საქმეში.

პირველ ნომერში მოთავსებულია ამხ. მამია ორახელაშვილის ვრცელი წერილი „საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია და კულტურული რევოლიუციის ამოცანები". ამხ. მამია აყენებს ზოგად მოსაზრებას, რომ წინააღმდეგობა სწრაფად მოზარდ საწარმოო ძალთა და დახავსებულ სოციალურ-ეკონომიურ გარეკანს შორის იჭრება საერთოდ რევოლიუციაში. ათი წლის წინად ოქტომბრის რევოლიუციამ შექმნა სათანადო პირობები ამ წინააღმდეგობის, ამ თავისებურ „მაკრატელის" მოსასპობათ.

ამის შემდეგ ავტორს მოჰყავს ლენინის შეხედულება საბჭოთა კავშირის კულტურული გარდაქმნის და წარმატებითი სოციალისტური მშენებლობის შესახებ. „კულტურული ფრონტი—ლაპარაკობს ამხ. მამია—შეიქნა მესამე ფრონტი. მაგრამ არა იმის გამო, რომ პროლეტარიატი, მისი პარტია ან ბელადი არ აფასებდენ კულტურული ფრონტის მთელ მნიშვნელობას, არამედ იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნების გარეშე, პირველ რიგში, მისი სამეურნეო საფუძვლის ცოტათ თუ ბევრად გამაგრების გარეშე, არავითარ კულტურაზე არ შეიძლება ლაპარაკი".

კულტურის საკითხის აქტუალურად დასმის გამო, წამოიჭრა საკითხი ძველი კულტურის „მემკვიდრეობის" გამოყენების შესახებ, რაიც დადებითად იქნა გადაჭრილი თვით ლენინის მიერ, რომელმაც განსაკუთრებული სიძლიერით გაუსვა ხაზი ძველი კულტურის „მემკვიდრეობის" გამოყენების აუცილებლობას.

წერილის მეორე ნაწილში ავტორი ეხება ინდუსტრიალიზაციას, როგორც სამეურნეო რევოლიუციის შინაარს და იმ კონკრეტიულ ამოცანებს, რომელიც დასმულია დღეს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ამ გზაზე. უკანასკნელ ნაწილში ავტორი არკვევს კულტურულ რევოლიუციის საკითხს, როგორც სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებას და ლაპარაკობს იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს ამიერ-კავკასიის პირობებში კულტურულ რევოლიუციას.

ამხ. მამიას წერილი მოთავსებულია ჟურნალის მეორე ნომერშიც, სათაურით „მებრძოლი ნაციონალიზმი კერზონის მარქსისტისა". ეს წერილი მიმართულია ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ იმ უთანხმოებასთან დაკავშირებით, რომელიც არსებობს დღეს ჟორდანია-რამიშვილის მებრძოლ მენშევიზმსა და დან-აბრამოვიჩებს და წერეთელს შორის. ჯერ-ჯერობით მოთავსებულია წერილის პირველი ნახევარი.

პირველ ნომერშივე მოთავსებულია ამხ. ოინოვის წერილი „რისთვის არის ასე საჭირო პარტიაში ტროცკიზმის ლიკვიდაცია", სადაც მოცემულია ტროცკისტული იდეოლოგიის ძირითადი ხაზები და დაპირისპირებულია ლენინიზმის პრინციპიალურ საფუძვლებს პარალელურად განხილულია ტროცკიზმთან დაკავშირებულ ანტილენინურ დაჯგუფების იდეოლოგია და მისი ნათესაობა წვრილ ბურჟუაზიულ აზროვნებასთან.

ამხ. გულოიანი პირველ ნომერშივე იძლევა პურის დამზადების დაბრკოლებათა მიზეზების ანალიზს. ყურადღებას იპყრობს ამხ. კარინიანის მეტად საინტერესო წერილი, სადაც დახასიათებულია სომხური ნაციონალისტური მიმდინარეობანი. ავტორის ყურადღების ცენტრში სდგას „დაშნაკცუტიუნი", თავისი ნაციონალისტური პროგრამით და იმპერიალისტური ზრახვებით. დიდ ადგილს ამხ. კარინიანი უთმობს სომხეთის ბურჟუაზიის წარმოშობის და ბურჟუაზიის რეაქციონური იდეოლოგიის გამომხატველ „მებრძოლ დაშნაკცუტიუნის" ჩამოყალიბების გარკვევას.

სხვა წერილებს შორის, უნდა მოვიხსენიოთ ამხ. გრიგორიანის „ჩვენი სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია". წერილში მოცემულია ინდუსტრიალიზაციის ზოგადი პრინციპები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკი" მეტ ადგილს უნდა უთმობდეს ადგილობრივ მასალას, და ამ თვალსაზრისით ბევრად უმჯობესი იყო, რათა ამხ. გრიგორიანს გაერკვია არა ის, ან არა მარტო ის, თუ როგორ ესმის პარტიას საერთოდ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, არამედ ინდუსტრიალიზაცია განეხილა ამიერ-კავკასიის ქვეყნების სასოფლო მეურნეობის თავისებურებასთან დაკავშირებით.

ასევე ხაზი უნდა გაესვას ბოლოტნიკოვის წერილს (№ 1), „რევოლიუციონური მარქსიზმი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გაუქები" და სუტირინის ნარკვევებს ლიტერატურულ საკითხებზე.

ზ. ასი.

შემთხვევები

მოკვლის განზრახვა

გუშინწინ, ღამით ალიქ ბებელისძე ჯაფაროვმა მოკვლის მიზნით „ბრაუნინგის" რევოლვერიდან ესროლა ვასილ კარაპეტისძე მღებრიშვილს (მცხ. მალაკანთა ქ. № 50), რომელიც უვნებლად გადარჩა. ჯაფაროვი დააპატიმრეს. დაკითხვისას მან განაცხადა, რომ მღებრიშვილს ესროლა არა მოკვლის მიზნით, არამედ „შესაშინებლად".

თავის მოწამვლა

გუშინ, დღისით თვითმკვლელობის მიზნით იოდით თავი მოიწამლა ნიკოლოზ პარმენისძე მაღრაძემ (მცხ. ბროსეს ქუჩა № 4).

მაღრაძეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში. თავის მოწამვლის მიზეზი გამოურკვეველია.

ქურდი შვილი

გუშინ, დღისით დავით ლალიევს (მცხ. წყნეთის ქ. № 12) მისმა შვილმა ბალიმ მოპარა 60 მანეთის საოჯახო ნივთები. გამოირკვა, რომ ნივთების მოპარვაში მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე ბალი ლალიევის ამხანაგი—ბორია ალიფრეევი. ქურდები დაპატიმრებულია.

თვითმკვლელობა

გუშინ, დღისით ნინა კახუს ასულმა ქობალავამ (მცხ. პარკოვის ქ. № 25) იოდით მოიწამლა თავი. ქობალავას ქალი უგრძნობ მდგომარეობაში გადგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში.

თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზი ირკვევა.

დაჭრა

რამოდენიმე ხნის წინად ლევან აკოფისძე ტერ-ოგანეზოვმა დანით მსუბუქად დასჭრა აფეთ ხაზხაზიანი, ტერ-ოგანეზოვი გუშინ დააპატიმრა თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისთვის დააპატიმრა ალექსანდრე იოსებისძე ლევონენკო და საშა მარკოზის ასული ნააკიანი.

რკინისგზაზე

ბრძოლა სახალხო მატარებლების დაგვიანებასთან

სახალხო მატარებლების დაგვიანებასთან ბრძოლის კამპანია ამ.-კავკასიის რკინის გზებზე წარმატებით მიმდინარეობს. კომისია, რომელიც გამოყოფილია სპეციალურად ამ კამპანიის ჩასატარებლად, უკვე განიხილა მთელი რიგი საქმეები მატარებლების დაგვიანების შესახებ და დამნაშავე რკინისგზელებს მიუსაჯა შესაფერისი ადმინისტრატიული სასჯელი.

საყვედური გამოეცხადათ: სადგ. მინგეჩაურის უფროსის თანაშემწეს **აბდულაევს** ჩქარი მატ. № 1-ს სადგურში დაკავებისათვის; სადგ. სამუხის უფროსის თანაშემწეს **მუსეიბოვს** მატ. № 11-ს ბარგის გადმოტვირთვის გამო სადგურში ზედმეტად გაჩერებისათვის; სადგ. ბალაჯარის უფროსის თანაშემწეს **ჩერქეზოვს**—იმისათვის, რომ არა თავის დროზე გაუშვა საბარგო მატარებელი, რამაც გამოიწვია სახალხო მატარებლის დაკავება; სადგ. კავთისხევის უფროს **გოგეცაძეს**—დაკეტილ სემაფორთან მატ. № 4-ს დაკავებისათვის; სადგ. მცხეთის უფროსის თანაშემწეს **უშვერიძეს**—მატარებელზე ბილეთების გაყიდვის დაგვიანებისათვის.

გზაში მატარებლების გაჩერებისა და დეპოებიდან ორთქლმავლების არათავის დროზე გამოშვებისათვის საყვედური მიიღეს: მემანქანეებმა **ასათიანმა** და **მარგარიტოვმა.** საყვედური გამოეცხადა აგრეთვე ბაქოს დეპოს მორიგეს **ლაზარენკოს**—მოძრავ შემადგენლობის ცუდად გასინჯვისათვის, რამაც გამოიწვია მატარებლის გზაში გაჩერება. ამასთანავე შენიშვნა მიეცათ ვაგონების გამსინჯავებს: **ჟიგლოვს, ალიევს** და ზეინკალებს: **პუხაევს** და **ივანოვს.** მათ გარდა შენიშვნა მიეცათ მემანქანეებს: **სულაძეს, მაკაროვს, ზურაბოვს** და **მზეთავს ვანიაშვილს.**

მატარებლის ნელა წაყვანისათვის საყვედური გამოეცხადა მემანქანე **გოცაძეს.**

ჭადრაკი

ტურნირი საჭადრაკო კლუბში

აპრილის შუა რიცხვებში თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყობა დიდი ტურნირი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 100 კაცი. ტურნირში მონაწილენი დაყოფილი იქნებიან ჯგუფ-ჯგუფად. კონკურსის გარეშე ტურნირში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ვ. გოგლიძე.

მოჭადრაკე ქალის ერთდროული სეანსი

თბ. ცენტრ. საჭადრაკო კლუბში ამ დღეებში შესდგება ჭადრაკის თამაშის ერთდროული სეანსი, რომელსაც ჩაატარებს მოჭადრაკე ქალი—ჟანდიერი. სეანსში მონაწილეობის მიღების მსურველთ ჩაწერა შეუძლიათ ცენტრ. საჭადრაკო კლუბში.

პროფკავშირთა საჭადრაკო ტურნირი

საქარ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას განზრახული აქვს მასიური საჭადრაკო ტურნირის ჩატარების შემდეგ, მოაწყოს საკავშირო ტურნირი. ტურნირზე მონაწილე თვითეული პროფკავშირი შეადგენს შვიდ მოჭადრაკესაგან შემდგარ რაზმს, რომელშიაც იქნება თითო მოჭადრაკე ქალი.

მბეჭდავთა სრულიად საკავშირო ტურნირზე

საქ. მბეჭდავთა კავშირის ცენტრ. გამგეობამ მბეჭდავთა სრულიად საკავშირო ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში გაგზავნა მიხ. დანილოვი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

ხვალ, 9 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: აარაპეტ ნეხასოვი, იოსებ მერგენცი.

მშენებელ მუშათა მეხუთე სექციიდან: სერგო ბერინაშვილი, მელიქ ნაზაროვი და ზაქარია ბაღდასაროვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ტატიანა ბაინოვა, ლიუბა აბობაძე. ოლღა რადკო, ქეთო ალავერდოვა, ელენე დანელია, მარიამ დურგლიშვილი, ვასილ ჩურატიევი, თამარ გძელიშვილი, ელენე ტემნაევი, მიქაელ ალექსეევი, ელენე ბორისოვა.

რკ. გზელთა სექციიდან: მარიამ გრძემიშვილი, ანნა ხადანგაზოვა და ივანე გუვარიძე.

ბრძოლა უმუშევრობასთან

შრომის ბირჟამ ა. წ. 3 აპრილს. ბექალაში გახსნა შუშის ქარხანა, რომელიც ამზადებს ბოთლებს, ბანკებს, წამლის შუშებს და სხვა. დღემდე, ქარხანას დაუმზადებია 15.000 ბოთლი. მუშაობა თანდათან გაფართოვდება.

ჯერ ჯერობით სამუშაოზე მიღებულია 70 უმუშევარი ბირჟიდან.

ამ მოკლე ხანში განზრახულია ქ. თბილისში გაიხსნას მთარგმნელთა წერტები. წერტებზე გაიგზავნებიან აღრიცხვაზე აყვანილი უცხო ენის მცოდნე უმუშევრები.

ბიბლიოთეკებიდან აბონენტთათვის წიგნების ბინაზე მისაწოდებლად (ისე, როგორც ეს ხარკოვშია შემოღებული), ბირჟა ამ ახლო ხანში აარსებს საშუამავლო ბიუროს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხუთშაბათს, 12 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში—ამხ. მამულიას კაბინეტში შესდგება **აგიტპროპკოლეგიის სხდომა.**

დღის წესრიგშია: საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა გორის მაზრაში (გორის სამაზრო კომიტეტის აგიტპროპგანყოფილების გამგის მოხსენება და ხაშურის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის, ბორჯომის რაიკომის და ცეკას ინსტრუქტორის თანამოხსენებები), ქუთაისის საბჭოთა პარტსკოლის გამოკვლევის შედეგები, მიმდინარე საკითხები.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ს. მამულია, კ. მეგრელაძე, კ. პატრაია, სნეგირევი და ჭანკვეტაევი, დ. კანდელაკი, ვ. იმედაძე, ერ. ასრიბეკოვი, მ. მაშკევიჩი, ვ. ჯაფარიძე. ახტურუა, არჩ. მიქაძე, ალ. ფირალიშვილი, ვ. ჟორჟოლაძე, კ. პატარაია, სნეგირევი და ჩანკვეტაძე.

მომხსენებლები უნდა გამოცხადდნენ 11 აპრილს დილის 10 საათზე ამხ. ს. მამულიასთან.

ორშაბათს, 9 აპრილს, საღამოს ზუსტად 8 საათზე საქ. კ. პ. თბილისის კომიტეტის საორიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის მორიგი სხდომა.

მიმღები კომისიის ყველა წევრების თავის დროზე გამოცხადება აუცილებელია.

სამშაბათს, 10 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია ქალაქისა და სოფლის კავშირის უჯრედების ბიუროს და აქტივის ფართე კონფერენცია.

მოწვეულნი არიან კომპარტიის უჯრედთა აგიტპროპორგანიზატორები, საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების კულტკომისიების თავმჯდომარენი.

დღის წესრიგშია ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება—საშეფებლებო კამპანიის შესახებ.

საქ. უნივერსიტეტთან არსებულ ახ. ლ. კ. უჯრედთა ბიურო კოლექტივის მორიგი სხდომა შესდგება ხვალ, 9 აპრილს, დღის 12 საათზე. ბიურო-კოლექტივის წევრ-კანდიდატების გარდა, უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები.

ანტისააღდგომო პერიოდში კლუბებში და წითელ კუთხეებში ანტირელიგიურ თემებზე მოხსენებებისა და ლექციების ჩასატარებლად საქარ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი გზავნის და რაიკომებზე ამაგრებს შემდეგ ამხანაგებს: **პირველ რაიკომში:** კურბანოვს, (ამ. კავ. პარტსკოლა), მთვარელიძეს (ცენტრ. პარტსკოლა), ნიკოლაევსკის, ორაგველიძეს (საქ. კ. პ. (ბ) ცეკა), სნეგირევს (კავ. წით. დროშ. არმიის პოლიტსამმართველო), მეგრელიძეს (საქ. კ. პ. (ბ) ცეკა). **მეორე რაიკომში:** გეგენავა (ცენტრ. პარტსკოლა), ტარასოვს (საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტ.), ორლოვს, (ამ. კავ. პარტსკოლა), პონარენკოს, პოლოსოვს, (განათ. მუშაკ. კავშ.) პიტოევს, მურადიანს; **მესამე რაიკომში:** ზავენ ადამიანს (სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტ.) შახდინაროვს, ხუციშვილს (ცენტრ. პარტსკოლა), ზურაბოვს, ასლანიანს (ამიერ-კავკ. კომუნის. უნივერსიტეტი), ს. ხუნდაძეს (სახ. უნივერსიტეტი), აშოთ თუმანიანს, სოსიანს (ჯანმრთელობის განყოფილება); **მეოთხე რაიკომში:** ანდრიაძეს, შელიას, ჩახვაძეს, კვიცარიძეს, (სახ. უნივერსიტეტი) საჭაპურიძეს, იონოვს (ამიერ-კავკ. კომ. უნივერს.), დუდუჩავას, და ბოლოტნიკოვს.

საქ. კ. პ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ტერენტი არდაშელიას გამოცხადდეს ხვალ 9 აპრილს, დილის 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული ოთახი № 9).

საქ. უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტთან არსებულ მიმდინარე პოლიტწრის მეცადინეობა ამხ. პაპავას ხელმძღვანელობით შესდგება ხვალ, 9 აპრილს საღამოს 7 საათზე სტუდენტთა კლუბში.

საქ. უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტის პარტკოლექტივის და ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროების გაერთიანებული სხდომა შესდგება ხვალ, 9 აპრილს, დღის 3 საათზე (პროფკომის ოთახში). ბიუროს წევრების გარდა, უნდა გამოცხადდნენ ამხ. დ. ლეჟავა. გ. ჯიმშელეიშვილი და დ. კაკაბაძე.

ორშაბათს, 9 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. № 23, მეორე სართული, ოთახი—10) შესდგება მიმღები კომისიის მორიგი სხდომა. პარტიაში მისაღებ ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება აუცილებელია: **1-ლი ლენინის რაიონი:** სერგო გიორგისძე დავითაშვილი, რობერ იაკობისძე რაიზერი, ბარნაბ მიხეილისძე ასათიანი, პავლე ვარლამისძე ამირანაშვილი, ვლადიმერ ბარნაბასძე ნიჟარაძე, გალუსტ წყალობისძე სოლოღაშვილი, ვასილ ივანესძე უშკოვი, პანას ბახიშვილი გასანოვი, მიხეილ დიმიტრისძე ელიჯარაშვილი და დავით ლუკასძე კილურიძე. **მეორე არსენალის რაიონი:** ლიუდვიმ ოსიპისძე კოკოიანცი, არკადი ნონისძე ალანოვი, ნოდარ კონსტანტინესძე ამაშუკელი, ნიკოლოზ ლაზარესძე ლიჩელი, მიხეილ კარაპეტისძე მნაცაკანოვი, **მესამე ავლაბარ-ხარფუხის რაიონი:** გიორგი არტემისძე აბაშიძე, ფარნაოზ საჩინოსძე ჯანელიძე, ნატალია პროკოფის ასული კედროვსკაია და მამედ ჯუნშუტ ოღლი ხუდავერდოვი, **მეოთხე ქალაქის რაიონი:** შალვა დიმიტრისძე ბზიკაძე, გარეგინ მკრტიჩისძე მაღლიანი, ნიკოლოზ ლევანისძე ოგანეზოვი, შიო ისიდორესძე ქანტურია, შალვა გრიგოლისძე კასრაშვილი, მიხეილ გიორგისძე ვარდასანიძე, მიხეილ თიმასძე უგლოვა, ლეონიდ ივანესძე ვაგინი, აბრამ ზაქარიასძე ბარაძიმაშვილი, სოკრატ ლამბრიანისძე ტრიანდაფილიდი, შალვა მიხეილისძე ფოფხაძე, ნიკოლოზ ზაქარიასძე ივანოვი, რეზო ვასილისძე კობესოვი, ზინაიდა ივანოვის ასული ლიტვინცოვა, გერმანე იოსებისძე კილაპტარი, გრიგოლ ალფესისძე იმნაძე, ალექსანდრე სპირიდონისძე კარპოვი, კონსტანტინე დიმიტრისძე სილაგაძე, ასლან ასლანისძე ათაბეკოვი, კაჯიკ ანასტასისძე აკოპიანი, პეტრე კარპესძე მინასოვი, გურგენ სურენისძე სურენიანი, ელიზბარ პეტრესძე ელიზბარაშვილი, პლატონ ელიზბარისძე ჩიქოვანი, პავლე ლეონარდისძე ნაკონეჩნი, აგაევი აგა-ბალა-ჰეიდარ ოღლი, ნიკოლოზ მიხეილისძე კიკნაძე, კურბან მუსტაფა-ოღლი კულიევი, ვლადიმერ დიმიტრისძე კომახიძე, ფირდულ აბას-ოღლა, ფარაჯაევი, აიკანუშ ზაქარიას ასული კირაკოზოვა, აბრამ მიკირტუმისძე ოსიპოვი, იაკობ ივანესძე გოლოვაჩინი, პავლე სამსონისძე მახარაძე და ნიკოლოზ არკადისძე ოგანოვი.

სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე ამხ. სერებრიაკოვი (ამ. კავ. კომუნ. უნივერსიტეტის კომუჯრედის მდივანი), არმაის ვართანოვი (ამ. კავ. კომუნ. უნივერსიტ.), ნინო დავითის ასული ბაგინოვა (თბილისის ტელეფონის ქსელი).

იურიდიული რჩევა-დახმარება

კავშირის წევრს წიგნაკი № 7714 კორნელი ქ.—ს.

კითხვა:

ბორჯომის სასამართლოში მაქვს აღძრული სარჩელი შრომის ხელფასის შესახებ. მოპასუხის შუამდგომლობით საქმე გადაიდო ხუთჯერ. მე მიხდება სიარული ბორჯომში და დამეხარჯა გზაზე 95 მან. შემიძლია თუ არა ავინაზღაურო ეს ხარჯი.

პასუხი:

საგზაო ხარჯებს ვერ აინაზღაურებთ კიდევაც რომ მოიგოთ საქმე, რადგან ეს კანონით არ არის გათვალისწინებული.

ნიკოლოზ ჩიქვაიძეს

კითხვა:

შეუძლია თუ არა მდგმურს გადმომცეს ოთახი სახლის პატრონის უნებართვოდ.

პასუხი:

ოთახის დაკავება სახლის პატრონის ნებადაურთველად არ შეგიძლიათ.

ენიქიძეს

კითხვა:

ჯამაგირს ვღებულობ ორმოცდა ორ მან. და 50 კაპ.; დაქირავებული მაქვს ერთი ოთახი, სივრცით 16 კვად. მეტრი; თვიურად ვიხდი რვა მან. რამდენი უნდა ვიხადო ნიხრით.

პასუხი:

თვეში უნდა იხადოთ 1 მან. 18 კაპ.

[illegible] აბაშიძეს

კითხვა:

ვარ ამბულატორიის [illegible] ვალდებული ვარ თუ არა—ვემსახურო ექიმს ე. ი. [illegible] დო ბინა, დავუჩეხო შეშა, დაუნთო ცეცხლი, უწმინდო ჩექმა და სხვა.

პასუხი:

ექიმის სამსახური არ შეადგენს თქვენს მოვალეობას.

კაპიტონ ტრაპაიძეს

კითხვა:

ვმსახურობ სოფ. ნაგომარში 7 წლიდან მასწავლებლად. ჯამაგირს ვღებულობ ორმოცი მანეთს. მიჭირავს ერთი პატარა ოთახი ფოსტის შენობაში, რომელიც აღმასკომის მიერ კერძო პირისაგან ჩამორთმეულია. ვალდებული ვარ თუ არა ვიხადო ბინის ქირა და თუ ვალდებული ვარ რამდენი უნდა ვიხადო თვეში.

პასუხი:

ბინის ქირა უნდა იხადოთ სახლის პატრონთან შეთანხმებით. უკეთუ თქვენ შორის ქირა უკვე განსაზღვრულია შეთანხმებით, სახლის პატრონს, სამოქ. სამ. კოდ. 156 მუხ. თანახმად არ შეუძლია ეს ქირა გაადიდოს.

ნიკო ნიკოლაძის

ოჯახი ულრმეს მადლობას უძღვნის ყველას, ვინც პატივი სცა განსვენებულს. 2023

აკაკი ივანეს-ძე სვანიშვილი თავის ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 5 აპრილს, უდროოთ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი ძვირფასი მეგობარი

ივანე (ვანო) ვლადიმერის-ძე დეკანოსიძე

დაკრძალვა 10 აპრილს, სოფ. ღარისხევში (ხარაგოული). 2024

უზომოდ დამწუხრებულნი: მეუღლე კატო პატარა თამრიკოთი, დედა ანუშკი, ძმა აქსენტი, ბიძა ქუჩა ცოლშვილით დეკანოსიძეები, სიმამრი სპირიდონ კიკნაძე მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ივანე (ვანო) ვლადიმერის-ძე დეკანოსიძე

წასვენებულია თბილისიდან ხარაგოულში. დაკრძალვა ს. ღარისევში 10 აპრილს. 2027

სენაკის სას.-სამ. ტექნიკუმის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 კურსის მსმენელები მწუხარებით იუწყებიან ამავე ტექნიკუმის მე-4 კურსის მსმენელის, ძვირფას ამხანაგის

ლევან ნინუას

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 893

ახალ-სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგიური საბჭო და მასწავლებლები უსაზღვრო მწუხარებით აღნიშნავენ, რომ ა. წ. 5 აპრილს დღის 2 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი მე-4 კურსის მსმენელი

ლევან ნინუა

დაკრძალვა კვირას, 8 აპრილს, სოფ. კოტიანეთში (სენაკის მაზრა). ნ. 893

დამწუხრებულნი მეუღლე თამარა შვილებით, მამა გრიგოლ, დედა პელაგია, ძმები: დათიკო და ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას მათთვის ძვირფასი

გერმანე თენიეშვილის

დაკრძალვა ქ. ოზურგეთში 10 აპრილს. ნ. 894

ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 4 აპრილს უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ამხანაგი ამავე დაწესებულების თანამშრომელი

გერმანე გრიგოლის-ძე თენიეშვილი

ნ. 894

ღრმად დამწუხრებული მშობლები: გრიგოლი და პელაგია, მეუღლე: თამარა გობრონის ასული, ძმები: დათიკო, ალექსანდრე, ბიძაშვილები: ეპიფანე და ისაკი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 5 აპრილს, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გერმანე გრიგოლის-ძე თენიეშვილი

დაკრძალვა მოხდება ქ. ოზურგეთში, სამშაბათს, 10 აპრილს, 2 საათზე. გამოსვენება საკუთარი სახლიდან, ობოლაძის ქუჩა, № 10. 2019

სურამის სახალხო მოსამართლე გიორგი ბლიაძე, შალვა მშველიძე, მარიამ გვერწითელისა, ილია ქურდევანიძე და დამცველთა კოლეგიის წევრები: ნიკოლოზ აბაზაძე, ესტატე ლომიძე და ვლადიმერ ცაგურია აუწყებენ საზოგადოებას, რომ 31 მარტს, ქ. სოხუმში გარდაიცვალა დამცველთა კოლეგიის წევრი

ვლადიმერ არჩილის-ძე სალარიძე ნ. 898

დამწუხრებული დედა ევდოკია, მამა ალექსანდრე, დები: იულია, მარო, ეკატერინე და თამრო და პატარა შვილი დათიკო იუწყებიან, რომ მათი დაუვიწყარი

ივანე ალექსანდრეს-ძე კანდელაკის

გარდაცვალების ერთი წლის თავზე კვირას, 8 აპრილს, დღის 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2029

სახელმწიფო ოპერა

ორშაბათს, 9 აპრილს, **ფაუსტი** მეფისტოფელი—სანდრო ინაშვილი

მონაწ. დანიელიანი, ვოლჩანეცკაია, ნეიმანი, კრუზო, ვენაძე, სანდრო ინაშვილი, გაეცკი.

დადგმა ი. ა. გრეჩნევის. დირიჟორი ა. შ. მელიქ-ფაშაევი.

სახელმწიფო ოპერა

კვირას, 8 აპრილს, დილით უკანასკნელი საბავშვო წარმოდგენა **ქეთო და კოტე** (მეორე აქტი) და ბალეტი. ფასები დაკლებულია.

საღამოთი ლ. ი. ლიპკოვსკაიას, და დამსახ. მსახ. ე. მ. ლიუკომის და ბ. ვ. შავროვის შეერთებული გასტროლი.

1. სევილიელი დალაქი
2. კონცერტი—ლ. ი. ლიპკოვსკაია
3. საბალეტო დივერტისმენტი—ე. მ. ლიუკომ და ბ. ვ. შავროვი

სამშაბათს, 10 აპრილს, ლ. ი. ლიპკოვსკაიას მე-5 გასტროლი

ქ-ნი ბატერფლეი. ფასები დაკლებულია

ნ. 895

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლო, არფასტო, სოლეი, დარბაზი, ოდეონი, პროლეტარი (ავლაბარი)

ორიგინალური კომედია **სოროკინის გაზრდა** გოგოლის მოთხრობის მიხედვით

სიცოცხლე სიცოცხლისათვის ორშაბათიდან „პარიზელი ქალი"

განკიცხულნი ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით 1 და 2 სერია ერთად ორშაბათიდან 3 და 4 სერია

პირლ უაიტი ამერიკულ კინო-რომანში **ვუ-ფანგის საიდუმლოება** 1 და 2 სერია ერთად

მსოფლიო შედევრი **„სიცოცხლე სიცოცხლისათვის"**

სეზონის საუკეთესო ფილმი **რომანოვების დინასტიის დამხობა** რეჟისორი ე. შუბ.

0—6

დამთავრდა დადგმა მხატვრული ფილმის

კრაზანა

საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები

ვოინიჩის რომანის მიხედვით

დადგმა რეჟისორ—კოტე მარჯანიშვილის

ოპერატორი—ს. ზაბოზლაევი

ნ. 900

„საქართველოს ღვინო"

ბუნებრივი კახური, იმერული ღვინოები, არაყი, ძველი კონიაკები და უმაღლესი ხარისხის ლიქიორები. ყველა მაღაზიებში თბილ. მუშკოოპისა, „ზაკტპოს", და „ზაკვოენპოსი"

იყიდება ბუნებრივი ღვინოები მხყიდველის ჭურჭელში

კახური ვედრა	7—50
კვარტი	75
იმერული ვედრა	7
კვარტი	70

მუშკოოპის ქვემოთ ჩამოთვლილ მაღაზიებში

№ 1 ლენინის ქუჩის და ელბაქიძის აღმართის კუთხე

№ 9 თავისუფლების მოედანი

№ 7 კახეთის მოედანი

ცენტრალური—პლეხანოვის და ჟორესის ქ. კუთხე

№ 14 პლეხანოვის და 25 თებერვლის ქ. კუთხე

№ 68 პლეხანოვის პროსპექტი—პოჩტამტის პირდაპირ

ნ. 892 „საქართველოს ღვინო"

სამშაბათს, აპრილის 10-ს, ქ. თბილისში საქ. გლეხთა სახლის მიერ მოწვეულია გლეხთა სახლების გამგეების

რესპუბლიკანური თათბირი

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. გლეხთა ცენტრალურ სახლის ანგარიში სამი წლის მუშაობის შესახებ.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. გლეხთა სახლების მორიგი ამოცანები—მომხ. ამხ. კ. ხომერიკი
4. მიმდინარე საკითხები.

თათბირი გაიხსნება გლეხთა ცენტრალურ სახლში (ვოლოდარსკის ქ. № 11) საღამოს 6 საათზე.

გლეხთა სასახლის 3 წლის თავის შესრულების გამო

პირველი სხდომა საზეიმო იქნება, საზეიმო სხდომაზე მოწვეული არიან პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალურ, საზოგადოებრივი და სხ. ორგანიზაციების, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები. ნ. 897

მინოგრაფია

СТЕКЛОГРАФИЯ

სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოდ

ამით ცხადდება, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნებართვით (№ კ 47001, 7 მარტს 1928 წ.) ვამზადებ მინოგრაფიისთვის საჭირო მასალი ხარისხის **რეაქტივებს** რომლებიც დაეთმობათ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე მინოგრაფებს ოფიციალურ მოთხოვნის წარმოდგენისათანავე

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.

რძისა და კეფირის ლაბორატორიაში

25—1

კინო **სოლეი**

ხვალ ორშაბათიდან 9 აპრილიდან მხატვრული ფილმი

განკიც ხულნი

ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით

3 და 4 სერია

ნ. 901

სია გაზ. „კომუნისტის" იმ ხელისმომწერთა, რომლებიც არ იღებენ გაზეთს სწორი მისამართების უქონლობის გამო.

სახელი და გვარი	ხელის მომწერის მიერ ნაჩვენები მისამართი
1. მამისათვალოვი	ნორაშენის 1 გასავალი 5
2. ნემსაძე	კრასნოგორის ქუჩა № 47
3. ლალოშვილი	არსენალის გზა-ტკეცილი № 2
4. ჩხეიძე ნინო	კურსანტის შეს. № 4
5. ცურგულაძე	პლეხანოვის გამზ. № 152
6. ბარათაშვილი	კირკის ქუჩა № 57
7. მარგიშვილი	ლენინის შეს. № 7
8. სარქისოვი პ.	ნახოთის შეს. № 8
9. ხაჩიძე ვასილი	საბჭოთა ქ. № 68 ფოსტის საშუალებით
10. ლომთაძე ნიკოლოზ	ყაზბეგის ქ. № 42 ფოსტის საშუალებით
11. ქსოვრელი მელქო	ყოფილი უბანის № 9
12. მაისურაძე	ზედაუბნის ქუჩა № 345
13. ეპიტაშვილი	გერცენის ქუჩა № 29.

ზემოთაღნიშნულ ხელისმომწერლებს ვთხოვთ აცნობონ გაზეთ „კომუნისტის" ექსპედიციას თავიანთი სწორი მისამართი.

გაზეთ „კომუნისტის" ექსპედიცია.

მისამ.: კამოს (ყ. დიდი მთავრის) № 68, ტელ. 5—48.

2—2

ქ. ქუთაისი

ექ. **თ. ვ. აპოფაშვილი**

შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა.

ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ.

25—1 25—9

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

1— 25 ტელ. 12—76

ექიმი **ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**

ავადმყოფების მიღება ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები, 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.

საბჭოთა № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ჟორესის ქ. კუთხე.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტ უმროო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელმშენი 11—78

25—0

ექიმი **ნ. ტურიაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

25—1

კბილის ექიმი **დ. ს. რიჟინაშვილი**

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

2018—25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.ტელ ეფ. № 1—90 25—11. 25—1

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—

დაჰკარგა საკანდიდატო ბარათი № 5876 საკ. პ. (ბ) ელპიდა შელიას სახელზე, ჩ. გ. 2017

დაჰკარგა ვინაობის წიგნაკი და თვითმშრომელთა კავშირის წიგნაკი № 509 ილია ზაქარიასძე ჯავახიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2020

დაჰკარგა: დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 10, პროფკავშირის წიგ. № 30053 და კომკავშირის წიგნ. 1772 ირაკლი დიანოზისძე გორდეზიანის სახელზე, ჩ. გ. 2022

დაჰკარგა: პროფკავშირის წიგნაკი № 24 და ოზურგეთის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 3287 სონია ვადაჭკორიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 894

დაჰკარგა: მედსანშრომის წიგნაკი № 58 თამარ ბეგთაბეგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2026

დაჰკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 19309 ნიკო მარგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2030

დაჰკარგა: ა | კ. რკ. გზების პროფკავშირის წიგნაკი № 11958 და წლიური ბილეთი რკინის გზებზე მიმოსვლისათვის № 2524 კ. ჯაფარიძეს სახელზე, ჩ. გ. 2028

კოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 62